

"საქართველო პოზიტიურ ტალღაზე იმყოფება" A2



ბერლუსკონი მოკავშირეს კარგავს A5



სახალხო დამცველი დამნაშავე პოლიციელების დასჯას მოითხოვს A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 16 აპრილი, 2005 წელი. №86 (946)

ფასი 50 თეთრი

## უცხოეთი

### კოფი ანანი აშშ-სა და ბრიტანეთს ადანაშაულებს



"სკანდალში, რომელიც ერაყული პროგრამის - "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ", გარშემო გაჩაღდა, ნაწილობრივ, აშშ და ბრიტანეთი არიან დამნაშავე", - განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა.

A8

## ფიქრები

### დაუსრულებელი აბზაცები...



სამშობლოს არავისთვის სცალია...
ჩვენ უნდა გვეცალოს მისთვის...
სამშობლო არავის მომფერებელი არ არის, მასზე ჩვენ უნდა ვიზრუნოთ და ველოლიავოთ...
სამშობლოს არავინ ვჭირდებით...
გვჭირდება ჩვენ, რომ ღირსება ბოლომდე შეგვრჩეს...

A8

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 16/4 | 17/4 | 18/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 23 | 22 | 27 |
| ქუთაისი | 22 | 17 | 27 |
| ბათუმი | 19 | 19 | 26 |
| სოხუმი | 17 | 14 | 23 |
| ფოთი | 21 | 17 | 26 |
| თელავი | 23 | 21 | 26 |
| ზუგდიდი | 22 | 16 | 27 |
| გორი | 18 | 14 | 23 |
| ახმეტა | 23 | 22 | 27 |
| ჭიათურა | 20 | 14 | 24 |
| გაგრა | 14 | 16 | 22 |
| სამტრედია | 21 | 17 | 27 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8300 |
| ევრო | 2.3494 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.4450 |
| რუბლი | 0.0656 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ქვირა | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| ფიქრები | A8 | სხვადასხვა | B8 |


# ადამიანური თანაგრძნობის ჩანასახები დმანისიდან

## ქართველი მეცნიერების აღმოჩენა კვლავ ყურადღების ცენტრშია

2005 წლის 7 აპრილს ჟურნალ "ნეიჩერში" (ბუნება) გამოქვეყნდა სტატია "მსოფლიოში უძველესი უკბილო ჰომინიდის თავის ქალა". პუბლიკაციის ავტორები არიან ქართველი მეცნიერები: დავით ლორთქიფანიძე, აბესალომ ვეკუა, მედეა ნიორაძე, ალექსანდრე მუსხელიშვილი, გოჩა კილაძე; აგრეთვე, ამერიკელები: ფილიპ რაიტმაიერი, მარტა ტაპენი, რიდ ფერინგი, კრისტოფ ცოლიკოფერი და მარცია პონცე დე ლეონე-ციურიხის უნივერსიტეტიდან, ჯორდი აგუსტი - ბარსელონადან. "ნეიჩერი" და "საიენსი" (მეცნიერება) მსოფლიოს უმაღლესი რეიტინგის (ციტირების ინდექსის) მქონე სამეცნიერო ჟურნალებია, სადაც ყოველკვირეულად ქვეყნდება პუბლიკაციები მსოფლიო მეცნიერებაში მომხდარი უდიდესი მოვლენების შესახებ. ეს უკვე მეხუთე სტატიაა დმანისის შესახებ ამ გამოცემებში. უპრეცედენტო შემთხვევაა, რომ მსგავსი მასშტაბის ჟურნალები ასეთი სიხშირით აშუქებდნენ ერთსა და იმავე თემას. სტატიას ფართო გამოხმაურებები მოჰყვა და დმანისი კვლავ მოხვდა "ნიუ-იორკ ტაიმსის" პირველივე გვერდზე, "ნეიშნლ გეოგრაფიკმა" და "გეომ" ამ თემას ათეულგვერდიანი პუბლიკაციები მიუძღვნეს.

დმანისში აღმოჩენილი ადამიანისა და ცხოველთა განამარხებული ნაშთები და ქვის იარაღები დაახლოებით 1,75 მილიონი წლით თარიღდება. ამ აღმოჩენებმა თავდაყირა დააყენა მტკიცედ დამკვიდრებული მოსაზრება აფრიკიდან ჰომინიდების პირველი განსახლების შესახებ და ევრაზიის კოლონიზაციის თარიღი ასობით ათასი წლით უკან გადასწია.

ზოგადი პალეოანთროპოლოგიური ჭეშმარიტება მიიჩნევდა, რომ პირველი ადამიანები, რომლებმაც აფრიკა დატოვეს, მაღლები, დიდტვინიანები და რთული ქვის იარაღით შეიარაღებულნი იყვნენ და რომ მათ ჩრდილოეთით მიგრაცია, დაახლოებით, მილიონი წლის წინ დაიწყეს.

დმანისის აღმოჩენები თავიდანვე რევოლუციური ხასიათისა იყო: საქართველოში ნაპოვნი ნაშთები, როგორც ანატომიური, აგრეთვე, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, მოსალოდნელზე უფრო პრიმიტიული აღმოჩნდა.

საქართველოში აღმოჩენილი ნამარხები მეცნიერებს აიძულებენ, ხელმეორედ გაიაზრონ ეს სცენარი.

აქაური ნამარხები ნახევარი მილიონი წლით უფრო ძველია, ვიდრე მანამდე ყველაზე ძველ ნამარხებად აღიარებული ნაშთები აფრიკის გარეთ. დმანისში კარგად შემონახული ადამიანისა და ცხოველთა განამარხებული ნაშთები და ქვის იარაღები აღმოაჩინეს, რომლებიც დაახლოებით 1,75 მილიონი წლით თარიღდება, არც ერთი ადრეული ჰომოს ადგილსაპოვებელი მსოფლიოში არ ყოფილა ასეთი ნაყოფიერი, ასეთი მდიდარი...

დმანისში აღმოჩენილი ნამარხი ძვლები, პალეოანთროპოლოგიური სტანდარტებით, აურაცხელი განძია, აკადემიკოსი აბესალომ ვეკუა კი - მსოფლიო რეკორდსმენია ასეთი ადრეული ჰომინიდების ნაშთების ამოღებაში. დმანისში აღმოჩენილი თითქმის ყველა ჰომინიდის ნაშთის მიწიდან ამოღება მისი ხელით განხორციელდა.

მოპოვებული მასალა მეცნიერებს უნიკალურ საშუალებას აძლევს, ჩაიხედონ ჩვენი წინაპრების ცხოვრებაში, წინარეისტორიულ ხანაში. ეს აღმოჩენები სვამენ კითხვას: რამ აიძულა ჩვენი წინაპრები, დაეტოვებინათ თავიანთი სამშობლო - აფრიკის კონტინენტი? გარდა ამისა, ისინი მეცნიერებს საშუალებას აძლევენ, შეისწავლონ არა მხოლოდ ცალკეული ეგზემპლარები, არამედ ჰომოს მთელი პოპულაცია.

ამ აღმოჩენების შემდეგ მეცნიერებს უამრავი თავსატეხი გაუჩნდათ: გასარკვევი გახდა არა მარტო ის, თუ რატომ დატოვეს აფრიკის კონტინენტი პირველმა ჰომოებმა, არამედ ისიც, თუ როგორ მოახერხეს ეს. თუმცა, ჰომინიდები ჰგვანან "ჰომო ერექტუსს", რომელიც ვითარდებოდა აფრიკაში 2 მილიონი წლის წინ და გავრცელდა ევრაზიაში, მაგრამ დმანისის ინდივიდები უფრო პრიმიტიულები და დაბლები იყვნენ სხვაგან მცხოვრებ "ჰომო ერექტუსებთან" შედარებით.

გაგრძელება A4 გვერდზე



David Lordkipanidze*, Abesalom Vekua*†, Reid Ferring‡, G. Philip Rightmire§, Jordi Agusti||, Gocha Kiladze*, Alexander Mouskhelishvili*, Medea Nioradze¶, Marcia S. Ponce de León#, Martha Tappen★, Christoph P. E. Zollikofer#

*Georgian State Museum, Tbilisi 0105, Georgia
e-mail: geomathist@ip.osgf.ge
†Institute of Palaeobiology, Tbilisi 0104, Georgia
‡Department of Geography, University of North Texas, Denton, Texas 76203, USA
§Binghamton University, Binghamton, New York 13902, USA
||Institut de Paleontologia M. Crusafont, 08201 Sabadell, Spain
¶Georgian Archaeological Centre, Tbilisi 0102, Georgia
#Anthropologisches Institut, Universität Zürich, 8057 Zürich, Switzerland
★Department of Anthropology, University of Minnesota, Minneapolis, Minnesota 55455, USA

Supplementary information accompanies this communication on Nature's website.
Competing financial interests: declared none.

NATURE | VOL 434 | 7 APRIL 2005 | www.nature.com/nature

©2005 Nature Publishing Group

# მომავალ ელჩებს პარლამენტში ხასიათი წაუხდინეს

გიორგი ასანიშვილი

საპარლამენტო ცხოვრების "სპეციფიკას" მთავრობის წარმომადგენლებმა ალლო ვერაფრით აუღეს. ნოღაიდელის კაბინეტის წევრები საკომიტეტო მოსმენაზე დროულად გამოცხადდებიან ხოლმე, კვორუმის არარსებობის გამო კი საკითხის განხილვა, როგორც წესი, მინიმუმ, ნახევარი საათის დაგვიანებით იწყება.

ასე მოხდა გუშინაც: სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე დილის 11 საათზე უკვე პირველი რესპუბლიკის სახელობის დარბაზში იყო და დეპუტატების მოლოდინში, ბოლთას სცემდა.

**"რამე ხომ არ შეიცვალა?"** - თანმხლებ პირებთან ცდილობდა იგი სიტუაციაში გარკვევას, რადგან პარლამენტარების გამოჩენას საშველი აღარ დაადგა. არა, საკომიტეტო სხდომების წინასწარ გაწერილ განრიგში გუშინ ნამდვილად არაფერი შეცვლილა: იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა, ტრადიციულად, "ოდნავი შეყოვნებით" დაიწყო.

პარლამენტში კახა ბენდუქიძის სტუმრობა "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვამ განაპირობა. ამ საკითხს კანონმდებელთა მაინცდამაინც დიდი ინტერესი არ გამოუწვევია და მის ირგვლივ მსჯელობა ძალიან მალე დასრულდა.

**"შემიძლია, წავიდე?"** - პარლამენტარების პასიურობით გაოცებული დარჩა კახა ბენდუქიძე, რომელმაც გუშინ ისიც გაიხსენა, რომ ცოტა ხნის წინათ ნიკო ლეკიშვილმა და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხვა წევრებმა მას მწვავედ შეუტიეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საარჩევნო კოდექსის განხილვა კიდევ გადაიდო

## "რესპუბლიკელები" კი შუალედური არჩევნების დანიშვნას ითხოვენ

თამარ მჭედლიშვილი

*გუშინ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საარჩევნო კოდექსში მეორე და მესამე მოსმენით შესატანი ცვლილებების განხილვა გადადო. ამის ოფიციალურ მიზეზად კომიტეტის თავმჯდომარის და, ამავდროულად, ახალი კოდექსის პროექტის ავტორის ლევან ბეჟაშვილის საქართველოში არყოფნა დასახელდა. თუმცა, ისიც ცხადია, რომ პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტი მეორე და მესამე მოსმენებისთვის ჯერ მზად არ არის და ამას კომიტეტის წევრებიც აღიარებენ. ასე რომ, გუშინ ამ საკითხის გადადება სავსებით ლოგიკური ნაბიჯი იყო. მომავალ სამშაბათამდე კი (სწორედ ამ დღეს დაინიშნა კომიტეტის სხდომა) კომიტეტში კანონპროექტის საბოლოო დახვეწას შეეცდებიან.*

საარჩევნო კოდექსში პირველი მოსმენით უკვე შესულია ცვლილებები, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესს ეხება. ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის პროტესტის მიუხედავად, პარლამენტმა ადმინისტრაციის დაკომპლექტების ისეთი მოდელი მიიღო, რომლის მიხედვითაც, პარტიებს ცესკო-ში წევრის წარდგენის უფლება არ აქვთ.

თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები და რა პრინციპით შეირჩევიან ისინი ამ თანამდებობაზე, ეს კანონპროექტის მუხლობრივი განხილვის დროს გაირკვევა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საქმეში ყოფნას კიდევ 50 წელი ვაპირებ

*მიუხედავად იმისა, რომ დღეს ის ბევრ რამეს სკეპტიკურად უყურებს, 65 წლის ასაკში ამ სიტყვებს მაინც ამბობს. ორიოდე დღეში გოგი თოფაძეს იუბილე აქვს. ფაქტია, დღეს ის საქართველოში ლუდის მაგნატია. როგორც ჩანს, მოძრაობა მშობლიური თერგიდანაც მოსდგამს და ყაზბეგელი ბაბუისგანაც, რომელმაც თბილისში პირველმა შემოიყვანა "მერსედესის" ფირმის ტენტიანი მანქანები. აი ასე - ცხვრები გაყიდა და მანქანები იყიდა. გერმანიაში მეორედ სათადარიგო ნაწილების ჩამოსატანად წავიდა და ცოლიც გამოაყოლა. ბატონ გოგის, მის ბიძაშვილებს და მამიდაშვილებს, როდესაც მშობლები გადაუსახლეს, სწორედ ეს მკაცრი გერმანელი ბებია ზრდიდა, რომელმაც ჩამოსვლიდან ერთ წელიწადში მშვენივრად ისწავლა ქართული ენა, ხინკლის მოხვევა და ხაბიძგინები. ოღონდ, ეს იყო ძალიან ადრე. მას შემდეგ იყო ეპოქა კომუნისტური. მაშინ მეწარმეებს "ცეხავიკებს" ეძახდნენ და საჭიროების შემთხვევაში "ობეხეესი" 96-ე პრიმა მუხლს მიუყენებდა, რაც 10 000 მანეთის გადახდას და 15 წლიან ციხეს ნიშნავდა. კომუნისტები, ეროვნული მთავრობა, შევარდნაძის მმართველობა, "ვარდების" მთავრობა - აი, ასეთ დროებებს გაუძლო "ყაზბეგმა". იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხა ეს, ქვემოთ თავად გოგი თოფაძე გვიამბობს.*

მაია ჭალაგანიძე

**- თქვენი ცხოვრების რა ეტაპია ახლა?**

- შუახანს მიღწეული მამაკაცი მიწოდეთ და შეგიძლიათ გაახმაუროთ, რომ 65 წლის ვხდები, რომ ვარ ენერგიით სავსე ბიზნესმენი, რომელსაც ბევრი რამის გაკეთება უნდა და საქმეში ყოფნას კიდევ 50 წელი აპირებს. ამიტომაც, ხანგრძლივვადიანი პროგრამები გვაქვს და მისი დიდი ნაწილის შესრულებას პირადად ვაპირებ.



გაგრძელება B1 გვერდზე

# ბოლნისში მიწებს რევოლუციური დამსახურების მიხედვით არიგებენ

მაია მოსიაშვილი

გუშინ ბოლნისის გამგეობის წინ ასამდე ბოლნისელმა აქცია გამართა. თავყრილობას ორგანიზება ადგილობრივმა კონსერვატორებმა გაუკეთეს. მათმა წარმომადგენელმა კაკო კაპანაძემ "24 საათს" განუცხადა, რომ ბოლნისში მიწების არაკანონიერად გაცემა მიმდინარეობს.

**"სპეციალურ კომისიაში მიწის იჯარით აღების მსურველთა 1200-მდე განაცხადი შევიდა და მათგან არც ერთი არ დაკმაყოფილდა. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "ხიდისყური-2000", რომელმაც ჯერ კიდევ 2001 წელს თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. გაუქმებული შპს-ს ბაზაზე სახელმწიფო წილით შექმნეს ახალი ორგანიზაცია, რომელსაც გამგეობამ ათასობით ჰექტარი მიწა მისცა,"** - ამბობს კაპანაძე. მისი თქმით, ხალხი უკმაყოფილოა, რადგან შპს-ს ხელმძღვანელი ადგილობრივი კი არა, თბილისელია და, სავარაუდოდ - რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი არავიძის ინტერესის გამტარებელიც.

ზემოთ ხსენებულ შპს-ს ბოლნისელები იმასაც უჩივიან, რომ ფიქსირებული 57 ლარის ნაცვლად, მისი ხელმძღვანელობა ხალხს 250 ლარის გადახდას სთხოვს.

**"ამ შპს-მ მიიღო 8 ათას ჰექტრამდე ყველაზე ნაყოფიერი მიწა, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები კი სრულიად იგნორირებულია,"** - აცხადებენ ბოლნისელი კონსერვატორები.

გამგებელი გიორგი არევაძე ბრალდებებს უარყოფს და კონსერვატორ კაპანაძის პირად დაინტერესებაზე საუბრობს, რომელსაც "გაურკვეველი ბიზნესის" წარმოება სურდა და გამგებლისგან უარი მიიღო.

**"ამ შპს-ს ხელმძღვანელობს ადამიანი, რომელიც რევოლუციის აქტიური მონაწილე და "ნაციონალური მოძრაობის" ისნის რაიონის ორგანიზაციის წევრი იყო. ვის უფრო მეტი დამსახურება აქვს - კაპანაძეს, რომელიც მამალაძეს კუდში დასდევდა, თუ იმ კაცს?!"** - კითხულობს არევაძე.

**"თუ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან სათანადო რეაგირება არ იქნება, ჩვენ მორიგ აქციას კიდევ მოვაწყობთ. მით უფრო, რომ მარტო მიწებზე არ არის საუბარი. გვაქვს ინფორმაცია, რომ რაიონის ბიუჯეტიდან სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასახმარებლად გამოყოფილი მილიონი ლარიდან დიდი ნაწილი ხალხამდე ვერ აღწევს და იმ ფულით მავანნი საზღვარგარეთ მოგზაურობენ. უახლოეს პერიოდში კონსერვატორული პარტია ამ საკითხზე სასამართლოში შეიტანს სარჩელს,"** - აცხადებს კაკო კაპანაძე.

კომენტარის გაკეთება ძნელია, თუმცა აშკარაა, რომ ახალი ხელისუფლება ქვემო ქართლში, კონკრეტულად კი ბოლნისში, მიწების ხელახალი გადანაწილებისას უპირატესობას "რევოლუციურ დამსახურებას" ანიჭებს, რაც თავისთავად ცუდი არ არის, რომ არა ერთი ფაქტი, საიჯარო მიწებთან დაკავშირებით სწორედ იგივე მეთოდებით სარგებლობდა რევოლუციით გაძევებული ძველი ხელისუფლებაც.

# გიორგი ხაინდრავა ჟენევის მოლაპარაკებათა შედეგებით უკმაყოფილოა

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ჟენევაში ქართულ-აფხაზური შეხვედრის გამართვით კმაყოფილია, თუმცა, მოლაპარაკებათა შედეგებთან დაკავშირებით უკმაყოფილებას გამოთქვამს. ამის შესახებ გიორგი ხაინდრავამ "ინტერ-პრესთან" საუბრისას განაცხადა.

ჟენევაში გამართული მოლაპარაკებების შედეგად, შემოდგომაზე, გალის რაიონში სამშვიდობო ოპერაციის ფარგლებში, სამოქალაქო პოლიციის კომპონენტი ამოქმედდება, გალში გაერო-სა და ეუთო-ს ადამიანის უფლებების დაცვის ერთობლივი ოფისი გაიხსნება და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი გალის რაიონში დაბრუნებულ დევნილთა რეგისტრაციას განახორციელებს.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თქმით, შეხვედრაზე აფხაზური მხარე "კონსტრუქციულობით არ გამოირჩეოდა", თუმცა სოხუმის დელეგაცია იძულებული გახდა, საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ანგარიში გაეწია და გალში გაერო-სა და ეუთო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნაზე თანხმობა განეცხადებინა.

ხაინდრავას შეფასებით, ჟენევის მოლაპარაკებები არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით მიდგომა სერიოზულად შეიცვალა. თუმცა, მისივე განცხადებით, გაერო-ს ეგიდით გამართულმა შეხვედრამ დაადასტურა, რომ მხარეები კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტისთვის აქტიურად ითანამშრომლებენ.

*ინტერ-პრესი*

## საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 2,000,000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 10 ოქტომბერს, გამოტანილ იქნება N12 აუქციონზე, რომელიც შედგება 2005 წლის 20 აპრილს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2005 წლის 20 აპრილის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მომოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ " დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

*აუქციონის კომიტეტი*

## განცხადება

ლონდონის რეკვალიფიკაციის აკადემიის უნივერსიტეტში ვაცხადებთ იმ სტუდენტთა მიღებას, რომელთაც არა აქვთ სრული უმაღლესი განათლება, განვლილი აქვთ სამი კურსი და არ გააჩნიათ კვალიფიკაცია. აკადემია სთავაზობს მათ გამოცდების ჩაბარებას ინგლისურ ენაზე, დისტანციური მეთოდით, ექსტერნად ლონდონიდან, ქვეყნიდან გაუსვლელად ჰუმანიტარულ და ეკონომიურ ფაკულტეტებზე. გაიცემა ბაკალავრის წოდების ეკვივალენტური დიპლომები, ხოლო, მათ, ვინც არ იცის ინგლისური და კომპიუტერული პროგრამები, შეუძლიათ მიმართონ რეკვალიფიკაციის აკადემიის და უნივერსიტეტის წარმომადგენელს თბილისში - კერძო სკოლა "დავითიანს," სადაც მაღალკვალიფიციური პედაგოგები გაგვიწევენ სათანადო დახმარებას ხელმისაწვდომ ფასებში.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ რეკვალიფიკაციის აკადემიის წარმომადგენელს კერძო სკოლა "დავითიანს". მისამართი: მარჯანიშვილის ქუჩა №5, ტელ: 70-55-08.

# "საქართველო პოზიტიურ ტალღაზე იმყოფება"

### ოპტიმისტურად არის განწყობილი ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ტერი დევისი

ნინო ბომართელი

*ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ტერი დევისი სამი დღეა, რაც თბილისში იმყოფება. იგი ქვეყნის ხელისუფლების პირველ პირებთან შეხვედრებს მართავს და განიხილავს საკითხებს, რომლებიც საქართველოში დემოკრატიზაციის განვითარების პროცესს, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებას და ევროპის საბჭოს წინაშე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას ეხება. "24 საათთან" საუბარში ტერი დევისი თბილისში ვიზიტის სამ მიზეზს ასახელებს და იმედიანად უყურებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ სამხრეთ ოსეთისათვის შეთავაზებულ სამშვიდობო ინიციატივას.*



ტერი დევისმა არმაზ ახვლედიანს ევროსაბჭოს მედალი გადასცა.

**"მე საქართველოში კარგი მეგობრები მყავს, ყველა პოლიტიკური პარტიიდან. ბუნებრივია, პატივს ვცემ პრეზიდენტს. მე მიხეილ სააკაშვილთან ერთად აქტიურად ვიყავი ჩართული საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებისათვის თანხმობის მიღებაში. ეს იყო ექვსი წლის წინ. ასე რომ, ჩემი ვიზიტის პირველი მიზეზი, მეგობრობის განახლება იყო,"** - აღნიშნავს იგი.

რაც შეეხება მეორე მიზეზს, ის საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თხოვნას ეხება, რომ ტერი დევისი სამხრეთ ოსეთის საკითხით პირადად დაინტერესებულიყო.

მესამე მიზეზი კი არის ის, რომ განხილულიყო საქართველოს პროგრესი ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების კუთხით.

**"ეს ძალზედ მნიშვნელოვანი ვალდებულებებია და მე მინდა აღვნიშნო, რომ ბევრი მათგანი უკვე შესრულებულია. ასე რომ, ჩამოვედი განმეხილა ის, რაც შესრულდა და რაც უნდა გაკეთდეს დანარჩენის შესასრულებლად.**

**ევროპის საბჭოს სტილი არ არის ხალხისთვის ლექციების წაკითხვა, არამედ მათთან როგორც თანასწორუფლებიანთან, საუბარი და საჭიროების შემთხვევაში, მათთვის დახმარების გაწევა,"** - აღნიშნავს ევროსაბჭოს გენერალური მდივანი "24 საათთან" საუბარში.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ ევროპის საბჭოს ტრიბუნიდან სამხრეთ ოსეთისათვის სამშვიდობო ინიციატივის შეთავაზებას, გენერალური მდივანი მიიჩნევს, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის აქამდე მათთვის არარსებული ფართო ავტონომიის შეთავაზება ძალზე საინტერესო წინადადებაა და **"რაც დრო გადის, მეტად და მეტად, ხალხი იწყებს იმის გაანალიზებას, რომ ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი და წინ გადადგმული ნაბიჯი. ასე რომ, ვიმედოვნებ, დროის გასვლასთან ერთად, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა ამ შეთავაზებას გაანალიზებს და პრეზიდენტ სააკაშვილის შეთავაზებას აუცილებლად უპასუხებს. ეს კი, ვფიქრობ ძალზე მნიშვნელოვანია ყველასათვის მთელ საქართველოში, მათ შორის - სამხრეთ ოსეთისთვის. დღეს რაც უნდა გაკეთდეს, არის ის, რომ არ უნდა ვიყუროთ წარსულში და უნდა ვიფიქროთ მომავალზე,"** - აღნიშნავს ტერი დევისი.

გუშინ ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი საქართველოს სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავას შეხვდა და კონფლიქტების მოგვარების და მაჰმადიანი მესხების რეპატრიაციის საკითხები განიხილა.

ტერი დევისი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების საკითხში საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო გეგმით კმაყოფილია.

მისი შეფასებით, საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტებთან დაკავშირებით **"პოზიტიურ ტალღაზე იმყოფება"** და იგი კმაყოფილია იმ ინფორმაციით, რომელიც კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივებთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლების გეგმებთან დაკავშირებით მოისმინა.

დევისმა ასევე კმაყოფილება გამოთქვა დეპორტირებული მესხების რეპატრიაციის საკითხში საქართველოს სამთავრობო კომისიის საქმიანობასთან და გეგმებთან დაკავშირებით. ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება "ეროვნული უმცირესობების შესახებ" და "ეროვნული უმცირესობების ენების შესახებ" კონვენციებს შეუერთდება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვასა და სამოქალაქო ინტეგრაციას.

ევროსაბჭოს გენერალური მდივნის თქმით, სტრასბურგში დაბრუნების შემდეგ იგი, კოლეგებთან ერთად, "სერიოზულად განიხილავს" მაჰმადიანი მესხების დაბრუნებასთან დაკავშირებულ წინადადებებს, რომლებიც გიორგი ხაინდრავამ გააცნო და ევროსაბჭოს დახმარება ითხოვა.

ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების თანახმად, მაჰმადიანი მესხები თავის ისტორიულ სამშობლოში - საქართველოში, 2016 წლამდე უნდა დაბრუნდნენ.

მაჰმადიან მესხთა საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის 2 მარტის განკარგულებით, სპეციალური სახელმწიფო კომისია შეიქმნა, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ხელმძღვანელობს.

ამასთან, საქართველოში ვიზიტით მყოფმა ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა გუშინვე თბილისის პოლიტიკური სკოლის ხელმძღვანელი არმაზ ახვლედიანი საქართველოში დემოკრატიის განვითარებისათვის ევროსაბჭოს ღირსების მედლით დააჯილდოვა.

როგორც ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, თბილისის პოლიტიკური სკოლა, რომელსაც ხუთი წელი შეუსრულდა, საქართველოს, სამხრეთ კავკასიასა და ევროპის საბჭოს შორის ხიდად იქცა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში და, მთლიანად, კავკასიის რეგიონში ევროპული ფასეულობებისა და დემოკრატიის განვითარებაში.

თავად არმაზ ახვლედიანის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ხუთი წლის განმავლობაში თბილისის პოლიტიკური სკოლა საქართველოში მოღვაწე 600-მდე იურისტმა, ეკონომისტმა, ჟურნალისტმა, სახელმწიფო მოხელემ, მოსამართლემ და პოლიტიკოსმა გაიარა, ამ ხნის განმავლობაში გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

მისივე თქმით, პოლიტიკური სკოლა მზადაა, არ დაიშუროს მცდელობა საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობების მოსაგვარებლად. **"გვსურს, ისეთი კადრები გამოვზარდოთ, რომლებიც ყოველთვის შეძლებენ ხელისუფლების ოპონირებას, მისთვის "ცივი შხაპის" როლის შესრულებას, რათა უფრო ღრმად დააფიქრონ ხელისუფლება იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომელთა მოწესრიგება მხოლოდ მიზანმიმართული, თანმიმდევრული პოლიტიკის გატარების გზით არის შესაძლებელი,"** - აღნიშნა არმაზ ახვლედიანმა "24 საათთან" საუბარში.

შეხვედრას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, საპარლამენტო უმრავლესობის და ოპოზიციის წარმომადგენლები და თბილისის პოლიტიკური სკოლის კურსდამთავრებულები ესწრებოდნენ.

# ბუშის გზა თბილისში

ნანა ქადაგიშვილი

*აშშ-ს პრეზიდენტის ღირსეულად დასახვედრად, ისანი-სამგორის რაიონში გამავალი ცენტრალური ქუჩები და მათზე მდებარე სახლების ფასადები დაჩქარებული ტემპით ახლდება. როგორც რაიონის გამგებელი გვპირდება, 10 მაისისთვის რამდენიმე ცენტრალური ქუჩა ისე შეიცვლება, რომ იქაურობა "ამსტერდამს დაემსგავსება."*

ნავთლუღის ბაზარზე გამავალ გზას ოდესმე რამე თუ ეშველებოდა, აქაურებს უკვე აღარ სჯეროდათ. შარშან დაწყებულმა სამშენებლო სამუშაოებმა ამ გზით მოსარგებლე მძღოლები და მგზავრები ცოტა დააიმედა, მაგრამ გასულ წელს გზის გაკეთება მხოლოდ მეტრო "ისნიდან" "სამგორამდე" მოესწრო. დანარჩენის - მეტრო "სამგორი"-მოსკოვის გამზირი მონაკვეთის სარემონტო სამუშაოების დასრულება წლევანდელ ბიუჯეტში გაითვალისწინეს. თუმცა, ბუშის ჩამოსვლა რომ არა, ამ გზის ასე სწრაფად გაკეთებას არ აპირებდნენ. სამუშაოების დასრულება ივნისის ბოლოსთვის იყო დაგეგმილი.

საპატიო სტუმრის ღირსეულად დასახვედრად, აღნიშნული გზის გარდა, კიდევ ბევრი რამ გაკეთდება. კახეთის გზატკეცილიდან დაწყებული, ქეთევან წამებულის გამზირის გავლით, ბარათაშვილის ხიდით დამთავრებული, გზები მთლიანად აღდგება და დასუფთავდება, განახლდება ქუჩისპირა სახლების ფასადები, მოწესრიგდება გარე განათებები. განსაკუთრებული ყურადღება კი მეტეხის მიმდებარე ტერიტორიას მიექცევა, რადგან, სავარაუდოდ, აშშ-ს პრეზიდენტს, ჩვენი დედაქალაქის საერთო ხედის უკეთ აღსაქმელად, მეტეხის პლატოდან გადმოახედებენ და შემდეგ იქიდან აბანოთუბანში ფეხით ჩაიყვანენ. სავარაუდოა, რომ თბილისის მოსახლეობას აშშ-ს პრეზიდენტის ხილვის საშუალება ტელევიზორის დაუხმარებლადაც შეეძლება.

ასე რომ, ისანი-სამგორის რაიონი ვარდობისთვეს შესაფერისად დახვდება. აქაურები უკვე ხუმრობენ, ბუშისთანა სტუმრები, ნეტა, ხშირ-ხშირად ჩამოდიოდნენო.

საპატიო სტუმრის დასახვედრად დაგეგმილ საქმიანობაში ჰოლანდიელების წვლილიც საკმაოდ დიდი იქნება. გზების რეკონსტრუქციაზე, ქართულთან ერთად, ჰოლანდიური კომპანიებიც მუშაობენ. 2005 წლის მარტის დასაწყისში გამოცხადებულ ტენდერზე სამმა ქართულმა ("ცეკური", "საფარი", "თბილისი") და ერთმა ჰოლანდიურმა კომპანიამ გაიმარჯვეს.

სხვათა შორის, ქალაქის მთავრობას 2005 წლის დასაწყისში, გზების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, სულ სხვა გეგმები ჰქონდა. მერია ამ საქმეში ქართული კომპანიების ჩართვას არ აპირებდა. ქართულ კომპანიებს შესაბამისი არც ტექნიკა გააჩნიათ და არც პროფესიონალები ჰყავთ. თანაც, სამუშაო იმდენია, ადგილობრივი კომპანიები ვერ გაწვდებიანო, აცხადებდა ქალაქის მერი და თურქული კომპანიების მოწვევას აპირებდა. თუმცა, ბოლო დროს ყველაფერი შეიცვალა. ქალაქის ხელმძღვანელობამ თურქულ კომპანიებს ჰოლანდიური არჩია და ქართული ძალების გამოყენებაც გადაწყვიტა. ოღონდ, როგორც ქალაქის კეთილმოწყობის სამსახური გვარწმუნებს, საქმის ასე შემობრუნება, ბუშის ვიზიტის გამო გზების რეკონსტრუქციის დაჩქარებას არ უკავშირდება. **"ტენდერის შესახებ ინფორმაცია 8 მარტს გამოვაქვეყნეთ. მაშინ ბუშის ჩამოსვლის თარიღი ჯერ ცნობილი არ იყო,"** - აცხადებს სამსახურის უფროსი ტარიელ ხიზანეიშვილი.

ასეა თუ ისე, ქართულ-ჰოლანდიურმა კომპანიებმა საქმე ძმურად გაინაწილეს. მეტრო "სამგორიდან" მოსკოვის გამზირამდე გზას ქართული კომპანიები გააკეთებენ, აეროპორტის გზას, შავი ზღვის, ქეთევან წამებულის ქუჩებს - ჰოლანდიური კომპანია. ტექნიკა, ძირითადად, ჰოლანდიური კომპანიის გამოიყენება, მასალა და მუშახელი - ქართულია.

## მოკლედ

### ედუარდ კოკოითის მორიგი განცხადება

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის მზად არ არის.

"ჩვენი ოპონენტები კონფლიქტების დიალოგის გზით მოგვარებისათვის მზად არ არიან," - აცხადებს კოკოითი, რომლის მტკიცებით, ევროკავშირი და აშშ უპერსპექტივოს უწოდებენ საქართველოს ხელისუფლების მცდელობას, ძალისმიერი მეთოდებით მოახვიოს საკუთარი ნება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. კოკოითის ინფორმაციით, რუსეთის პრეზიდენტთან სოჭში გამართულ შეხვედრაზე მან და აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა ეკონომიკური პრობლემები, რუსეთ-საქართველოს შორის არსებული სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებული თემები და სხვა საკითხები განიხილეს, რომელთა დაკონკრეტებისაგან კოკოითმა თავი შეიკავა. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**ცხინვალი.** სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ცხინვალში მურატ ჯიოევი ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტისა და ადამიანის უფლებების სფეროში ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციის დელეგაციას შეხვდა. უცხოელ უფლებათა დამცველებს აინტერესებდათ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებული მდგომარეობის გაცნობა, აგრეთვე ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტა. მათი განცხადებით, აუცილებელია "სამხრეთ ოსეთში" დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრი სულთან სოსნალიევი გუდაუთაში რუსეთის სამხედრო ბაზაზე რუსი ინსტრუქტორების მიერ აფხაზი მფრინავების მომზადებას უარყოფს. სოსნალიევი აცხადებს, რომ გუდაუთის სამხედრო აეროდრომიდან არანაირი საწვრთნელი ფრენები არ ხორციელდება. მანამდე გავრცელებული ინფორმაციით, გუდაუთის სამხედრო აეროდრომიდან თხუთმეტამდე საწვრთნელი ფრენა განხორციელდა, რომლებშიც რუსი ინსტრუქტორების მიერ მომზადებული აფხაზი მფრინავები მონაწილეობდნენ. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი ვალერი გელბახიანი მთავრობას ეკონომიკურ პოლიტიკას უწუნებს. როგორც მან განაცხადა, მთავრობის არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ შესაძლოა არასასურველი შედეგები გამოიღოს. "გამკაცრებული ადმინისტრირებისა და ლიცენზირების პირობებში არასასურველი ეკონომიკური ეფექტი მივიღეთ. ახალი "საგადასახადო კოდექსის" ამოქმედების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა აქციზიდან მიღებული შემოსავლები, რაც შესაძლოა ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებში უფრო მკვეთრად აისახოს," - განაცხადა გელბახიანმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ბრიგადაში დღეს ახალწვეულების სამხედრო ფიცის დადების ცერემონია გაიმართა. სამხედრო ფიცი 43-ე მსუბუქ ქვეითთა ბატალიონის 261 ახალწვეულმა საზეიმო ვითარებაში დადო.

ფიცის დადების ცერემონიალს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი და სხვა სამხედრო მაღალჩინოსნები დაესწრნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** საქართველოს უშიშროების ექსმინისტრის იგორ გიორგაძის აჭარელი მხარდამჭერები გააქტიურდნენ. 15 აპრილს პოლიტიკური პარტია "საქართველოს სამართლიანობის კავშირის" წევრები ბათუმის ცენტრში შეიკრიბნენ და საქართველოში იგორ გიორგაძის დაბრუნება მოითხოვეს. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ გიორგაძის მომხრეებს იმედი გაუჩნდათ, რომ მათი ლიდერი სამშობლოში დაბრუნდებოდა, მაგრამ დღეს ისინი აცხადებენ, რომ ეს იმედი გაუცრუვდათ. საპროტესტო აქციაზე სოციალური მო- [illegible] **მედიანიუსი**






მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## "კონსერვატორებმა" ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს

გუშინ "კონსერვატორებმა" დანაპირები შეასრულეს და პლებისციტის პროცედურა - ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. თბილისელებს მხოლოდ ერთ შეკითხვაზე მოუწევთ პასუხის გაცემა: თანახმანი არიან თუ არა, რომ თბილისის მერი პირდაპირი წესით იყოს არჩეული.

"კონსერვატორებმა" პირველი "ღონისძიება" პარლამენტის შენობაში გამართეს.

შესაბამისად, სტუმრებიც იქ მიიწვიეს. პირველი ხელმომწერები არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წევრები იყვნენ - "თავისუფლების ინსტიტუტის", "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის", მწერალთა კავშირის, "სახალხო ფორუმის" წარმომადგენლები.

**"მეორე შეხვედრა მწერალთა კავშირში გაიმართება, რათა საზოგადოებამ ნათლად გამოხატოს საკუთარი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მნიშვნელობა არ აქვს, რა პოლიტიკურ პლატფორმაზე დგანან არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები, უმნიშვნელოვანესია, რომ თბილისს არჩეული მერი ჰყავდეს,"** - განაცხადა "კონსერვატორების" ლიდერმა კობა დავითაშვილმა.

## კახელი "ნაციონალების" ვნებები ჩაცხრა

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*პროგნოზი იმის შესახებ, რომ კახელი "ნაციონალების" დაპირისპირება გუშინდელ კონფერენციაზეც იჩენდა თავს, არ გამართლდა. ამჯერად, პარტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელების დანიშვნას მქუხარე ტაშით ხვდებოდნენ.*

გუშინდელი დღის ყველაზე "ცხელ წერტილად" გურჯაანის რაიონი მოიაზრებოდა, მაგრამ ყველაზე მშვიდად კონფერენციამ და პარტიის ახალი რაიონული ხელმძღვანელობის არჩევნებმა აქ ჩაიარა. ხმათა უმრავლესობით, სახელისუფლებო ბლოკის ლიდერად კვალვ იოსებ კარდენახიშვილი დაინიშნა - სწორედ ის ადამიანი, რომელსაც, თავის დროზე, თანაპარტიელბი, პარტიის არასწორი კურსის გატრების გამო, არაერთხელ დაუპირისპირდნენ. მდივნად კი აირჩიეს ერთ დროს რაიონის გამგეობაში მუშტი-კრივით განთქმული როინ ქოჩორაშვილი. კონფერენციის ჩატარებით უკმაყოფილოები ის ყოფილი "ნაციონალები" იყვნენ, ვისაც მოსაწვევები არ გაუგზავნეს და დარბაზში ვერ მოხვდნენ. ისინი მოვლენების განვითრებას თვალს შორიდან ადევნებდნენ.

გუშინ პარტიაში ახალი წევრების მიღებაც იყო დაგეგმილი, მაგრამ როგორც ყოფილი ნაციონალები ამბობენ, მედიის გამოჩენის გამო, "ფოკუსების" ჩატარებას პარტიის რაიონული ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელები მოერიდნენ.

ნაციონალურ მოძრაობაში არანაირი პარტიული უთანხმოება არ არის - ამაზე გუშინ, თელავში ჩატარებულ კონფერენციაზე, სწორედ ის დეპუტატი საუბრობდა, რომელიც რამდენიმე კვირის წინ, პრეზიდენტის თელავში სტუმრობის დროს, ზოგიერთი თანაპარტიელის გარიცხვის მიზნით, სკანდალის აგორებას ცდილობდა. თამაზ ხიდაშელი ამჯერად ყველაფერს ვარდისფერებში ხედავდა და კონფერენციაზე დამსწრე მიხეილ მაჭავარიანს არწმუნებდა, რომ თელავი ღირსეულად იქცევა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რაიონული კონფერენციები მთელ რეგიონში ჩატარდა. ერთადერთი, სადაც მცირე ინციდენტი დაფიქსირდა, ლაგოდეხის რაიონი აღმოჩნდა. აქ სიტყვიერი შელაპარაკება, რომელიც ბოლოს დიქტოფონის წართმევით დასრულდა, პარტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიშა კაკლაშვილის და ერთ-ერთი რეგიონული გაზეთის ჟურნალისტს შორის, კონფერენციის დაწყებამდე, გამგეობის შენობაში მოხდა.

კონფერენცია ყველგან სახელისუფლებო ბლოკის სარეკლამო კლიპების ჩვენებით დასრულდა. ერთსაათიანი კონფერენციის 40 წუთი, სცენარის თანახმად, სწორედ კლიპების ჩვენებას ეთმობოდა.

## ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

**რადიო "მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4**

**"ხალხის ტრიბუნა" ყოველ საღამოს შაბათ-კვირის გარდა 7-დან 8 საათამდე**

**"მერიას ორთვიანი კომპენსაციების გადახდა სამართლებრივად არ ეკისრება"**



**წამყვანი -** სოფო ოხანაშვილი

**სტუმარი -** ზურაბ ჭიაბერშვილი, თბილისის მერი

**ზურაბ ჭიაბერშვილი:** მართალია, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკანონიერად სცნო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის შეტანილი ცვლილება, რომელიც საჯარო სამსახურიდან დათხოვნილებს ორთვიანი სარგოს მიღების საშუალებას არ აძლევდა, თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მთავრობას საჯარო სამსახურიდან დათხოვნილი მოქალაქეებისათვის კომპენსაციების გადახდის ბოლო ვადად 2006 წლის პირველ იანვარს უსაზღვრავს მერიას არ ეხება.

პრეზიდენტმა ხელი მოაწერა მერიის ახალ დებულებას, რითიც გაუქმდა ძველი და დაფუძნდა ახალი სამსახურები. ეს არის იმ ტიპის სამართლებრივი სიტუაცია, რაც არ გვაკისრებს ჩვენ ამ ტიპის ორთვიანი კომპენსაციების გადახდას.

## მომავალ ელჩებს პარლამენტში ხასიათი წაუხდინეს

პირველი გვერდიდან

მთავრობის წევრებზე "შეტევა" არც საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრებისთვის არის უცხო ხილი - თავის დროზე, კოტე გაბაშვილსა და სალომე სამადაშვილს არაერთხელ გამოუთქვამთ შენიშვნები საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის მიმართ. თუმცა, გუშინ დეპუტატებმა "შეტევის მიმართულება და ობიექტი" შეცვალეს: საგარეო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე დამსწრე ოპოზიციონერი პარლამენტარები, ძირითადად, ირაკლი ჩუბინიშვილსა და სალომე სამადაშვილს "აძაგებდნენ" (როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა სააკაშვილმა პირველი მათგანის კანდიდატურა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე წარადგინა, მეორე კი - ბენილუქსის ქვეყნებში ელჩად და ევროკავშირში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად).

"რესპუბლიკელი" ივლიანე ხაინდრავა ღიად აცხადებს, რომ ირაკლი ჩუბინიშვილი არ არის საუკეთესო კანდიდატურა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დიპლომატიური მუშაობის გამოცდილება არ გააჩნია, მეორეც - პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რუსეთში 6 წლის განმავლობაში ბიზნესსაქმიანობას ეწეოდა.

**"დისკომფორტს უნდა ქმნიდეს ის, რომ ერთი წლის განმავლობაში რუსეთში მესამე ელჩს ვამტკიცებთ. არადა, რუსეთი ნამდვილად არ არის ის ქვეყანა, სადაც ასეთი ექსპერიმენტების ჩატარება შეიძლება,"** - პრეზიდენტის მიერ განხორციელებული საკადრო გადაადგილებებით უკმაყოფილებას ვერ მალავდა ხაინდრავა და ახსნა-განმარტებას ითხოვდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ნიშნით შეარჩიეს თავის დროზე ელჩებად ჩეჩელაშვილი და კემულარია, ან - მალევე რატომ გამოიწვიეს უკან.



*"იქ, სადაც ქვეყანას დიდი პოლიტიკური ამოცანები აქვს გადასაწყვეტი, ელჩებად, ხშირად, ბიზნესისას და მასმედიის წარმომადგენლები ინიშნებიან," - აცხადებს კოტე გაბაშვილი.*

საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს ოპოზიციის პრეტენზიები უსაფუძვლოდ მიაჩნიათ. დავით ბაქრაძის თქმით, უკეთესია, რომ რუსეთში საქართველოს ელჩი პოლიტიკური ნიშნით შეირჩეს, ვიდრე პროფესიონალური კუთხით. მის მოსაზრებას კოტე გაბაშვილიც იზიარებს.

**"იქ, სადაც ქვეყანას დიდი პოლიტიკური ამოცანები აქვს გადასაწყვეტი, ელჩებად, ხშირად, ბიზნესისას და მასმედიის წარმომადგენლები ინიშნებიან,"** - აცხადებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე და თავისი სიტყვების დასტურად რიჩარდ ჰოლბრუკის მაგალითს ასახელებს. გაბაშვილი ხაინდრავას კიდევ ერთ ბრალდებასაც პასუხობს და შენიშნავს, რომ რუსეთიდან გამოწვეული ელჩები (ჩეჩელაშვილი და კემულარია) ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობზე დაინიშნენ, რაც მათი მაღალი რენომეს დადასტურებაა.

ოპონენტებს გუშინ თავად ირაკლი ჩუბინიშვილიც ეპაექრებოდა. მომავალი ელჩი შეეცადა ოპოზიციონერები დაერწმუნებინა, რომ რუსეთში საკუთარი ბიზნესი არ ჰქონია და ერთ-ერთი დასავლური კომპანიის წარმომადგენლად მუშაობდა.

**"რუსეთში არანაირი ქონება არ გამაჩნია და ამ ქვეყანასთან არანაირი ვალდებულებები არ მაკავშირებს,"** - აცხადებს ჩუბინიშვილი, რომელიც თვითონაც ადასტურებს, რომ რუსეთში ელჩად მისი დანიშვნა უფრო პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებაა.

გუშინდელ საკომიტეტო მოსმენაზე პრეტენზიები სალომე სამადაშვილის მისამართითაც ისმოდა: "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი მანანა ნაჭყებია დაჟინებით ამტკიცებდა, რომ უფრო მიზანშეწონილი იყო, სამადაშვილის ნაცვლად, ხელისუფლებას ბრიუსელში კარიერული დიპლომატი წარეგზავნა.

თუმცა, "რესპუბლიკელებისა" და "მემარჯვენეების" პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია: ჩუბინიშვილმა და სამადაშვილმა საკომიტეტო "ბარიერი" უპრობლემოდ გადალახეს.

## საარჩევნო კოდექსის განხილვა კიდევ გადაიდო

პირველი გვერდიდან

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გიგა ბოკერიას თქმით, მთავარი პრინციპები უკვე შემუშავებულია. ამის მიუხედავად, კომიტეტის ხელმძღვანელობა მომავალ სხდომამდე მათ საჯარო გამომზეურებას გუშინ მაინც მოერიდა. ასე რომ, ამ კრიტერიუმების შესახებ სამშაბათს გახდება ცნობილი.

სამშაბათს, ასევე, გაირკვევა, დანიშნავს თუ არა ცენტრალური საარჩევნო კომისია შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებს ბათუმის, ხულოს, შუახევის, ქობულეთისა და ტყიბულის საარჩევნო ოლქებში (ეს რაიონები მაჟორიტარი დეპუტატების გარეშეა დარჩენილი).

ოპოზიცია არჩევნების გაზაფხულზე დანიშვნას კატეგორიულად ითხოვს. განსაკუთრებით აქტიურობენ "რესპუბლიკელები". დავით ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ **"ცალკე პარლამენტი და ცალკე აღმასრულებელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გაზაფხულზე მაჟორიტარული არჩევნები არ გაიმართოს და კენჭისყრის თარიღმა შემოდგომამდე გადაიწიოს."**

გუშინ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე სპეციალურად ამ საკითხის გასარკვევად მისულ დავით ბერძენიშვილს საკმაოდ "მწარე" შელაპარაკება მოუვიდა უმრავლესობის წევრებთან - ნინო კალანდაძესთან და გიგა ბოკერიასთან. კონფლიქტი კი მოჰყვა დავით ბერძენიშვილის შეკითხვას, ნინო ბურჯანაძის დავალების თაობაზე. პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნით, პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს უნდა მოემზადებინა და სხდომაზე განსახილველად გაეტანა დადგენილების პროექტი, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას იურიდიულ ბარიერებს მოუხსნიდა და კომისიას შუალედური არჩევნების დროულად დანიშვნის საშუალებას მისცემდა (საუბარია არჩევნების გასამართად აუცილებელი კონკრეტული პროცედურების ვადების დაკონკრეტებაზე).

გიგა ბოკერიამ დავით ბერძენიშვილის კითხვას პირდაპირი პასუხი არ გასცა და განაცხადა, რომ შუალედური არჩევნების ბედი მაშინ გაირკვევა, როცა პარლამენტი მეორე და მესამე მოსმენით საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს მიიღებს.

თავის მხრივ, დავით ბერძენიშვილი კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ შუალედური მაჟორიტარული არჩევნების დანიშვნა **"არანაირ სამართლებრივ კავშირში არ არის საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან."** მისივე თქმით, "ნაციონალური მოძრაობა" არ იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით, რადგან დარწმუნებულია, რომ "რესპუბლიკური პარტიის" კანდიდატი ბათუმში მაჟორიტარულ არჩევნებში "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატს სძლევს.

## გიორგი ბარამიძე: "საქართველო ყოველთვის ევროპის ნაწილი იყო"

*13-15 აპრილს ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში საერთაშორისო ფორუმი გაიმართა. "კრანს-მონტანას ფორუმში" ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პრემიერ-მინისტრები და მთავრობის სხვა წევრები მონაწილეობდნენ და ევროკავშირის გაფართოების საკითხებს განიხილავდნენ. ფორუმზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე წარმოადგენდა.*

გიორგი ბარამიძემ 14 აპრილს, ფორუმზე, ევროპის გაფართოების თემაზე მოხსენება წაიკითხა. სახელმწიფო მინისტრმა ფორუმზე აღნიშნა, რომ **"საქართველო, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით, ყოველთვის ევროპის ნაწილს წარმოადგენდა და ჩვენი მისწრაფება, გავხდეთ ევროპის წევრი, სავსებით ბუნებრივია."**

მან, ასევე, ისაუბრა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებსა და იმ წარმატებებზე, რასაც ქვეყანამ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მიაღწია.

**"ჩვენ ყველა სექტორში უნდა ავამაღლოთ პროფესიონალიზმი, დავამკვიდროთ კანონის უზენაესობა, გავაძლიეროთ ადამიანის უფლებათა დაცვა, გავაუმჯობესოთ საინვესტიციო გარემო, განვახორციელოთ საჭირო ადმინისტრაციული და მარეგულირებელი რეფორმები,"** - დასძინა სახელმწიფო მინისტრმა.

გიორგი ბარამიძემ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტი. მან აღნიშნა, რომ ჩვენ აზიასა და ევროპას შორის დამაკავშირებელი ფუნქცია გვაკისრია. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შავი ზღვის ქვეყნებთან, განსაკუთრებით - უკრაინასა და მოლდოვასთან, ორმხრივი კავშირების ამოქმედება-გააქტიურებას.

გუშინ სახელმწიფო მინისტრი ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის მთავრობათა წარმომადგენლებს საქართველოში კანონის უზენაესობასა და ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესებზეც ესაუბრა.

გიორგი ბარამიძემ საქართველოში არსებულ რეგიონულ კონფლიქტებზეც გაამახვილა ყურადღება. საერთაშორისო ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ აღინიშნა საქართველ-რუსეთის საზღვარზე საერთაშორისო მონიტორინგის, როგორც მთლიანად რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების ერთ-ერთი გარანტიის არსებობის აუცილებლობა. ბარამიძე თავის მოხსენებაში შეეხო საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ბაზების დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხს.

*24 საათი*

კომპანია GMS
სამუშაოდ იწვევს
25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს სამედიცინო პროდუქციის მენეჯერის თანამდებობაზე.
მოთხოვნები:
- სამედიცინო განათლება;
- უცხო ენა;
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

გთხოვთ მოგვაწოდოთ რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენაზე.
ელ-ფოსტა: info@siesta.ge
ფაქსი: 32 02 91
დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
ტელ: 53 72 18 15-17 საათამდე

## გავაძლიეროთ კონტროლი სამხედრო ძალებზე

**არასამთავრობოების ახალი ინიციატივა**

*გუშინ, არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართა კონფერენცია თემაზე: "დემოკრატიული კონტროლი სამხედრო ძალებზე". ღონისძიება, სხვა საკითხთა შორის, მიზნად სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების განვითარებას ისახავდა.*

ვერიკო თევზაძე

ამ თვალსაზრისით, დღეს სერიოზული პრობლემები რომ არსებობს, გუშინდელმა კონფერენციამაც ნათლად ცხადყო. საქმე ის გახლავთ, რომ მიწვეულთაგან აქ ძალოვანი უწყების არც ერთი პირველი პირი არ ყოფილა. სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ, სხვებთან შედარებით, გარკვეული პასუხისმგებლობა გამოიჩინა და ღონისძიებაზე თავისი აპარატის წარმომადგენელი გაგზავნა. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი ბიწაძე ერთადერთი უმაღლესი პირველი პირი აღმოჩნდა, რომელიც ღონისძიებაზე მივიდა. კონფერენციას ასევე ესწრებოდა დაინტერესებულ დეპუტატთა ჯგუფი, მათ შორის, "მემარჯვენეები" და "კონსერვატორი" კახა კუკავა.

კონფერენციის ორგანიზატორი სამხედრო საკითხებზე მომუშავე ოთხი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო: ასოციაცია "სამართალი და თავისუფლება", "საქართველო ნატო-ში", "საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის ასოციაცია", "ევროატლანტიკური კვლევითი ცენტრი".

ასოციაცია "სამართალი და თავისუფლების" იურისტის შალვა თადუმაძის მოხსენება სამხედრო ძალებში და თავდაცვის სფეროში ერთი წლის განმავლობაში მიმდინარე რეფორმების მიმოხილვას წარმოადგენდა. თადუმაძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა 1997-2003 წლების პერიოდის რეკომენდაციებზე, რომლებიც საქართველოსთვის საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს. **"სამწუხაროდ, მათგან, პრაქტიკულად, არაფერი შესრულებულა. ერთი წლის მანძილზე არ შემუშავებულა უსაფრთხოების კონცეფცია. შესაბამისად, დღეისთვის მოქმედებს 1997 წლის სამხედრო დოქტრინა, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს. რეკომენდაციებში საუბარი იყო ერთიან სამხედრო სისტემაზე, რომელიც ჩვენთან ჯერ კიდევ არ შექმნილა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტი კვლავ დამოუკიდებელ სამხედრო ძალას წარმოადგენს. შეგვიძლია ვისაუბროთ პროგრამული ბიუჯეტის არარსებობაზე, ანუ იმაზე, რომ პრიორიტეტები არ არის გაწერილი,"** - განუცხადა თადუმაძემ "24 საათს". შალვა თადუმაძის მოხსენებაში, ასევე, საუბარი იყო რეზერვზე: **"სახეზე გვაქვს გაურკვეველი სპეციალობის და დანიშნულების ათი ქვედანაყოფი. არადა, ამ საქმეზე საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა."**

ექსპერტ კახა კაციტაძის მოხსენება მიეძღვნა სამხედრო ტიპის საფრთხეებს, რომელიც შეიძლება 10-15 წლის პერიოდში ჩვენს ქვეყანას შეექმნას. **"ეს არ იქნება კლასიკური, მასირებული სამხედრო მოქმედების საფრთხე. იგი დაკავშირებული იქნება საშიშროების ძალიან მაღალი ხარისხის გაურკვეველ პროცესებთან, რომელიც ჩრდილო კავკასიაში ვითარდება. კერძოდ, თეზისი ასეთია: რუსეთსა და ჩრდილო კავკასიას შორის ომი გაფართოვდება, არეალი ვოლგისპირეთამდეც კი შეიძლება ავიდეს. აქედან გამომდინარე, ჩრდილოეთის მიმართულება დარჩება ყველაზე ინტენსიური საფრთხის წყაროდ. ყოველივე ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სამხედრო დაგეგმვისას,"** - განუცხადა "24 საათს" კახა კაციტაძემ.

მესამე მომხსენებლის, ნიკა ლალიაშვილის გამოსვლაში ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, **"თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე იმ პოზიტიურ პროცესებზე, რომელთა შესახებაც საზოგადოებას ინფორმაცია არ მოეპოვება."** უნდა აღინიშნოს, რომ მომხსენებელ ლალიაშვილს კონფერენციაზე ერთდროულად ორ ამპლუაში მოუხდა ყოფნა. იგი წარმოადგენდა არასამთავრობო ორგანიზაციას და, იმავდროულად, თავდაცვის სამინისტროს ყოფილ თანამშრომელს. ლალიაშვილის თქმით, სამინისტროში ძალიან ბევრი კონცეპტუალური დოკუმენტი შემუშავდა. თუმცა, როგორც გუშინდელი დისკუსიისას გაირკვა, მისთვის უცნობია ამ დოკუმენტების ბედი დღევანდელ დღეს.

ლალიაშვილის თქმით, თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა ეროვნული სამხედრო სტრატეგია და სამხედრო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციიდან. ვინაიდან ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია არ გაგვაჩნია, ლალიაშვილის განმარტებით, სამინისტროს ხელმძღვანელობამ, როგორც მას ეს კონცეფცია წარმოედგინა, ისე შეიმუშავა უწყებრივი დოკუმენტები. თუ ახალი უსაფრთხოების კონცეფცია გველირსა და იგი თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის წარმოდგენებს არ დაემთხვა? - ამ კითხვაზე ნიკა ლალიაშვილს ცალსახა პასუხი არ გაუცია. თუმცა მას, საბოლოო ჯამში, მწვავე ოპონენტები არ გამოუჩენია.

წინასწარი ინფორმაციით, კონფერენციების ციკლი, რომელიც მიზნად ისახავს სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების განვითარებას, სამხედრო პრობლემატიკის წინა პლანზე წამოწევას და ამ საკითხით საზოგადოების დაინტერესებას, თვეში ერთხელ უნდა გაიმართოს. რაც მთავარია, ამგვარი შეკრებების მიზანია, გამოინახოს ეფექტური გზები და მექანიზმები სამხედრო ძალებზე დემოკრატიული კონტროლის გასაძლიერებლად.

## ჩეჩენი დევნილები დახმარებას არ იღებენ

გუშინ პანკისის ხეობაში მცხოვრებმა ჩეჩენმა დევნილებმა მორიგი საპროტესტო აქცია გამართეს. მათ საერთასორისო არასამთავრობო არგანიზაცია "ტაგს" უნდობლობა გამოუცხადეს და მათგან ჰუმანიტარული დახმარება არ მიიღეს. როგორც დევნილები ამბობენ, აღნიშული ორგანიზაცია კორუფციაშია გასვრილი. ჩეჩნების თქმით, ის სამედიცინო პრეპარატები, რომლებიც მათ კანონიერად ეკუთვნით, ადრესატამდე დროულად არ მიდის. დახმარებას კი მაშინ ანაწილებენ, როცა წამლებს ვადა გასდის.

ორგანიზაცია "ტაგში" კი, რომელიც გაერო-ს კომისარიატის წარმომადგენლობაა ახმეტაში, აცახდებენ, რომ მათ დახმარება მოსახლობაში მაშინ შეაქვთ, როცა მას გაერო მიაწვდის.

*24 საათი*

# გზავნილი წერაქვიდან

დალი კუპრავა

### გეოგრაფიული პროლოგი

სოფელი წერაქვი მარნეულის რაიონშია, მდინარე შულავერის ხეობაში. ვაკე ნამდვილად არ ეთქმის, უფრო, როგორც იტყვიან, მთაგორიანი ადგილია დაბალი მთებითა და მწვანით გარშემორტყმული, ხრიოკი არ არის, ჰავაც ზომიერად თბილია, ნესტიც არ იგრძნობა. მოსახლეობის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მსხვილფეხა საქონლისა და სახლ-კარის მოვლაა. სახლ-კარი ზოგს - კარგად და ზოგს უკეთესად გამართული აქვს. წყალი და წყაროები უხვად არის, მაგრამ "არა გვაქვს სარწყავი არხი," - გვეუბნება მოხუცი ქალბატონი, ნანული ბურნაძე, მიხეილ ჯავახიშვილის მესამე თაობის ბიძაშვილი (მწერლის დედა ბურნაძე იყო!). ქალბატონმა ნანულიმ სოფლის ყველაზე დიდი სატკივარიც გვითხრა: "ბავშვები აღარ ჩნდებიან, ბიჭებს ცოლები ვერ მოუყვანიათ და ქალები ვერ გათხოვილან, როგორ ვაცხოვროთ ცოლ-შვილი. სამუშაო არ არის. და გვტოვებენ, ზოგი - მარნეულში, ზოგი - თბილისში და ზოგი სად მიდის. ხალხია საჭირო. აი, თქვენ რომ ჩამოხვედით, იცით რა სიხარულია! (განათლების სამინისტროს და ჟურნალისტების დელეგაციას გულისხმობდა).

### წერაქვის სკოლა

1919 წელს იოსებ იმედაშვილმა წერაქვში სკოლა დააარსა. სკოლა არა მხოლოდ ასაკით, შინაარსითაც ისტორიულია: ბევრს უსწავლია და ბევრს უსწავლებია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მწერალი ნოდარ წულეისკირიც იყო სკოლის დირექტორი. "ორი წელია, სკოლას თავი დაანება, ჩემსავით მოხუცი დირექტორი სკოლას არ გამოადგებაო," - გვითხრა მისმა ქალიშვილმა ირმა წულეისკირმა.

სკოლაში 15 მასწავლებელი და 27 მოსწავლეა. პირველი კლასი არ არის (გაისისთვის ერთი ბავშვია პირველი კლასის ასაკის, "სკოლის და სოფლის იმედი" და ღმერთმა კარგად ამყოფოს!). მრავალრიცხოვანია მეათე კლასი - ექვსი მოსწავლეა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩამბარებელი კი ერთადერთი მეთერთმეტეკლასელია.

თამაზ მელიქიშვილი (ისტორიის მასწავლებელი): **"თხუთმეტი წლის წინ გადმოვედი წერაქვში და სკოლაში ვასწავლი. ის, რაც ყველაზე დიდი სატკივარია (დანარჩენს მოევლება), ახალგაზრდობის მდგომარეობაა. უსაქმურობა და ნარკომანია, ამას რა ვუყოთ. სამუშაო, სპორტული თუ გასართობი კლუბი - ამას ყველაფერს მოკლებულნი არიან და ცუდს კარგით ვერ ვაბალანსებთ. დახმარება გვჭირდება".** თამაზ მელიქიშვილი მერაბ კოსტავას "მოწოდებით" აღმოჩნდა წერაქვში - წადით საქართველოშიო.

ელიზავეტა ზაკალიშვილი წერაქვის სკოლაში 38 წელია, ბიოლოგიას ასწავლის, 75 წლისაა და გაკვეთილზე დაგვიანება ცოდვად მიაჩნია, მოსწავლეს ვერ ვულალატებო. **"მაგრამ ზოგჯერ, იცით, როგორ მინდა, რომ ვინმემ მადლობა მითხრას, ამდენი ხანი რომ ვასწავლი?"** - გულწრფელად ინატრა მან.

### მისიონერები

14 აპრილს, მარნეულის რაიონის სოფელ წერაქვში, მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში, სახელმწიფო ენის დღესთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება - "სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ". ღონისძიების ორგანიზატორები არიან "მისიონერები" - განათლების სამინისტროს მიერ პროექტ "მომავალი იწყება დღეს" ფარგლებში არაქართულენოვან რეგიონებში წარგზავნილი პედაგოგები. წერაქვის ღონისძიება მარნეულში წარგზავნილმა "მისიონერებმა" მოამზადეს.

ღონისძიებას, რაიონის და სოფლის მცხოვრებლებთან ერთად რაიონის მმართველი ელიტა, განათლების სამინისტროს დელეგაცია, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და პრესისა და ტელევიზიის ჟურნალისტები დაესწრნენ.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ შაუმიანის სომხურენოვანი და რუსულენოვანი სკოლები, ალკულის აზერბაიჯანულენოვანი სკოლა, წერაქვის ქართული სკოლა, მარნეულის ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი. აზერბაიჯანელი და სომეხი მოსწავლეების დიდ ნაწილს ჯერ კიდევ, ლექსის სწავლის იქით, ბევრი ქართული არ ესმის, ბევრი "რა გქვიაზეც" ძლივს გაგცემს პასუხს, მაგრამ მისიონერების ჩასვლამ და მათი მუშაობის სტილმა ოპტიმისტური დინამიკა შექმნა. ახალი მისიონერები მათ ქართული ენის გარემოს უქმნიან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია.

**"გურჯაანიდან ვარ. 55 წლის აქ ინსტიტუტიდან გამანაწილეს, ჩამოვედი და დავრჩი. ასე რომ, ნახევარი საუკუნეა, "მისიონერი" ვარ. ამ ბავშვებს აკლიათ "სიტყვა", მათ მარტო გაკვეთილზე არ უნდა ესმოდეთ ქართული სიტყვა და უნდა ჰქონდეთ ქართული გარემო. თბილისელი სომეხი ეროვნების ბავშვისთვის ქართულის სწავლა უპრობლემოა, ალკულის აზერბაიჯანულენოვანი და შაუმიანის სომხურენოვანი მოსწავლეებისთვის კი სირთულე არსებობს - მათი გარემო ქართული არ არის. თუმცა, ახალი მისიონერები ცდილობენ, დიდი დრო გაატარონ ბავშვებთან, ითამაშონ, გაართონ...ცხოვრობენ მათთან ერთად ქართული სიტყვით. მე, თუმცა ძველი მისიონერი ვარ, გული მწყდება, რომ ჩემი და მათი ხელფასი სხვადასხვაა. იქნებ, სამინისტრომ ეს პრობლემაც მოგვიგვაროს."**

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ ღონისძიებაზე განაცხადა, ქუთაისში გაიხსნება სახელმწიფო მოხელის სკოლა, სადაც ექვსთვიან კურსს სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეები გაივლიან, **"და ნელ-ნელა ენის შესწავლის პრობლემაც იკლებს, უკვე დანარჩენებისთვის გზა ხსნილი იქნება,"** - თქვა მან.

### მწერალი

ღონისძიებაზე მწერალი ნოდარ წულეისკირი მოვიკითხეთ. აქ არ არის, ერიდება ამგვარ თავყრილობებსო, - გვითხრა ირმა წულეისკირმა. მთა-მუჰამედის კალამბური გავიხსენე და თავად ვესტუმრე.

ქართული კალამი გოლგოთურ კალამს ჰგავსო, - წერდა მიხეილ ჯავახიშვილი.

ათი წლის წინ მწერალი ნოდარ წულეისკირი სოფელ წერაქვს შეეფარა და არა იმ პატრიოტული მოსაზრებით, ან "გამარიაჟებით", რომ წერაქვი მიხეილ ჯავახიშვილის სამშობლოა და მიხეილ ჯავახიშვილი - ისტორიული სინამდვილის ამაოებით რეპრესირებული ერთ-ერთი მწერალი. ამ პრინციპით თავისუფლად შეიძლებოდა, მას კონსტანტინე გამსახურდიას ძველი აბაშა, ან გალაკტიონის ჭყვიში აერჩია - ნოდარ წულეისკირს წერაქვში საკარაკე, მშენებლობადაუმთავრებელი სახლი ჰქონდა. იქ ცხოვრობს დღესაც, ქალიშვილთან და შვილიშვილთან, თათია შენგელაიასთან ერთად.

ბატონო ნოდარ, სიზარმაცე ხომ არ შეგეპარათ, რატომ არ წერთ-მეთქი. შეიძლებაო, მორჩილად დამთანხმდა. **"არ ვიცი, შეიძლება არსებობენ მწერლები, რომლებსაც, რომ არ წერონ, არ შეუძლიათ. ვინმეს სჭირდება, მე რომ ვწერო? ან, საერთოდ, ვისთვის რა საინტერესოა, რა ვიცი მე, რა მახსოვს, როგორი მახსოვს და რას ვხედავ. მე 1978 წლის 14 აპრილი ვიცი, 1989 წლის 9 აპრილი ვიცი და კიდევ რაღაც-რაღაცები. ვის აინტერესებს, რომ იმ ცხრა აპრილის ირაკლი წერეთელი სხვა იყო (სამჯერ დამაჩოქა რუსთაველზე!) და დღეს, ცხრა აპრილის "მოსახსენებელი" სატელევიზიო სიუჟეტის ირაკლი წერეთელი სხვაა. მოდით, კარგი ღვინო მომიძღვნეს და ის ერთად გავსინჯოთ,"** - შემოგვთავაზა ბატონმა ნოდარმა. ღვინო არ გაგვისინჯავს, არადა, კარგი იქნებოდა, სუფრაზე უფრო ეხსნებიან ადამიანები ერთმანეთს. ჯავახიშვილის მუზეუმის ეზოში მიმდინარე ღონისძიებაზე დავბრუნდი. წულეისკირის სახლის აივნამდე იქაური ხმები კარგად აღწევდა და მივხვდით, ღონისძიებაც რომ დასასრულს უახლოვდებოდა. მოვდიოდით და ვფიქრობდი: მართალია ნოდარ წულეისკირი - რატომ არ შეიძლება, ორზე მეტი კარგი ქართველი ერთად დიდხანს დადგეს?!

წერაქვში დენი არის, აჩვენებს მხოლოდ პირველი არხი, არ არის სარწყავი არხი, მასწავლებლებს დაბალი ხელფასი აქვთ, მისიონერ მასწავლებლებს სკოლამდე ათიოდ კილომეტრის გავლა მაინც უწევთ...

მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილს ორჯერ მოუხდა მშობლიური ენის აღდგენა-შესწავლა და მერე დაწერა "თეთრი საყელოც", "კვაჭი კვაჭანტირაძეც" და "ლამბალო და ყაშაც".

აი, შობადობა რომ უნდა გაიზარდოს და პირველკლასელები გამრავლდნენ, ამას წყალი არ გაუვა. ხალხი უნდა ჩავიდეს წერაქვში - სახლები არისო.

# ადამიანური თანაგრძნობის ჩანასახები დმანისიდან



ლეო გაბუნია



დმანისის ექსპედიციის წევრები - 2000 წელი



მ.ნიორაძე, გ.ბოსინსკი, ვ.ჯაფარიძე, ა.ვეკუა, ჯ.კოპალიანი - 1991 წელი

პირველი გვერდიდან

ახალი, რიგით მეოთხე თავის ქალა და ქვედა ყბა 2002-2004 წწ. საველე სეზონების მანძილზე აღმოჩნდა და მათმა ლაბორატორიულმა დამუშავებამ და მეცნიერულმა შესწავლამ ორ წელიწადს გასტანა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ახალ ნიმუშს არც ერთი კბილი არ აქვს, ყველა კბილის ბუდე გაწოვილია და ამოვსებულია ძვლებით, რომლებიც ცარიელ ადგილებში გაიზარდნენ სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე. ეს ატროფია მიუთითებს ავადმყოფობაზე ან სიბერეზე და ნიშნავს, რომ ეს ცალკეული წარმომადგენელი გადამუშავებული საკვების მიღებას საჭიროებდა.

არსად მსოფლიოში დღემდე ასე ადრეული პერიოდის უკბილო ჰომინიდი აღმოჩენილი არ არის.

როგორ გადარჩა უკბილო მოხუცი, რომელსაც თავისი საკვების დაღეჭვა არ შეეძლო?

სავარაუდოდ, ზამთარში, როდესაც მცენარეული საკვები არ მოიპოვება, თავის გადასარჩენად მოხუცს სხვა ინდივიდებზე დაყრდნობა უწევდა, რომლებსაც მიჰქონდათ ხორცის პატარა ნაჭრები უუნარო მოხუცისათვის, ეს კი სოციალური თანამშრომლობის ახალი საფეხურია და, შესაბამისად, თანაგრძნობისა და ზრუნვის მაგალითია, რაც ადამიანური ქცევის ნიშანია.

დმანისის მიღწევები ქართული მეცნიერების ტრადიციებზეა დაფუძნებული და ჩვენი მეცნიერების საერთაშორისო პროცესებში ინტეგრაციის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს.

პირველი გათხრები დმანისის ნაქალაქარზე ცნობილი მეცნიერის, ლევან მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით 1936-1937 წწ. ჩატარდა. 60-იანი წლებიდან გათხრები პროფესორ ვახტანგ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით განახლდა. 1983 წ. ვახტანგ ჯაფარიძემ და ჯუმბერ კოპალიანმა შუა საუკუნეების ორმოებში აღმოჩენილი პალეონტოლოგიური მასალა ცნობილ პალეონტოლოგ აბესალომ ვეკუას გადასცეს. ჩატარებული კვლევის შედეგად, აბესალომ ვეკუამ მასში გადაშენებული მარტორქის კბილი ამოიცნო და ამასთან, განსაზღვრა დმანისის ქვედა შრეების გეოლოგიური ასაკი - იგი ერთ მილიონ წელზე მეტი ხნით დაათარიღა.

მომდევნო წელს არქეოლოგ ნუგზარ მგელაძის მიერ აღმოჩენილი იყო პირველი ქვის იარაღები, რამაც ნათელი გახადა, რომ დმანისის შუასაუკუნეების ნაგებობების ქვეშ ადრეული ადამიანის ცხოვრების ნაშთები იყო შემონახული.

1991 წელს ახლად შექმნილმა საერთაშორისო ჯგუფმა დმანისში ჰომინიდის ქვედა ყბა აღმოაჩინა, რომელმაც თავდაყირა დააყენა აქამდე არსებული თეორიები ევრაზიაში ჰომინიდების განსახლების თაობაზე. იმჟამად სამეცნიერო პროექტს აკადემიკოსი ლეო გაბუნია ხელმძღვანელობდა. მის მიერ დასმული დიაგნოზი - "დმანისის ქვედა ყბა ჰომო ერექტუსების აფრიკულ ჯგუფს (*Homo ergaster*) უკავშირდება" - ისევე, როგორც დმანისის ასაკი, მაშინ ბევრმა არ გაიზიარა. დღეს კი ეს მოსაზრება საყოველთაოდაა აღიარებული.

ამჟამად დმანისის ნაქალაქარის გათხრებს ბატონი ჯუმბერ კოპალიანი აწარმოებს, ხოლო პროექტში არქეოლოგიურ სამუშაოებს ქალბატონი მედეა ნიორაძე წარმართავს.

დმანისის საერთაშორისო პროექტში მონაწილეობენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის პალეობიოლოგიის, გეოგრაფიისა და გეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები, ქართველი მეცნიერები და სტუდენტები: გივი მაისურაძე, ალექსანდრე მუსხელიშვილი, გოჩა კილაძე, თეონა შელია, გიორგი ნიორაძე, დათო ჟვანია, გიორგი ჯაოშვილი, გიორგი კოპალიანი, სლავა ედიბერიძე, მაია ბუხსიანიძე, თეა ჯაშაშვილი, გიორგი ბიძინაშვილი, დავით ცვარიანი, თინა გოცირიძე, ლია ნიქაბაძე, შოთა ბეზარაშვილი, ნიკა წიქორიძე, დავით თაქთაქიშვილი. სამწუხაროდ, შარშან ჯგუფს გამოაკლდა ცნობილი გეოლოგი მერაბ თვალჭრელიძე.

ქართველ მეცნიერებთან ერთად, პროექტში მონაწილეობენ უცხოელი მეცნიერები და სტუდენტები - ჰარვარდის, ჩრდილო ტეხასის, ბოსტონის, ციურიხის, მინესოტას, ოქსფორდის, პენსილვანიის, ბარსელონისა და სხვა უნივერსიტეტებიდან.

დმანისის პროექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული მეცნიერების, როგორც მსოფლიო პროცესებში თანასწორუფლებიანი პარტნიორის, ინტეგრაციაში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართველი ახალგაზრდების საზღვარგარეთ, მოწინავე ცენტრებში სტაჟირების საშუალებას იძლევა, რაც ქართულ მეცნიერებაში ახალი კადრების მოზიდვის გზაა.

მაისში საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ახალი აღმოჩენისადმი მიძღვნილ ექსპოზიცია გაიხსნება.

### ნაწყვეტები ფრანგული და ესპანურენოვანი პრესიდან, რომელიც დმანისის აღმოჩენასა და მის საფუძველზე არსებულ მეცნიერულ დასკვნებს ეხება:

"მეცნიერები მიიჩნევენ, რომ საქართველოს (დმანისი) არქეოლოგიური აღმოჩენები მეტყველებენ იმ ფაქტზე, რომ 1,8 მილიონი წლის წინათ ადამიანებს შორის სოციალური ურთიერთობა განვითარების მაღალ დონეზე იყო";

"ნაპოვნია მოხუცი მამაკაცის ჰომინიდის თავის ქალა, რომელსაც არც ერთი კბილი არ გააჩნია და რომელსაც სიცოცხლე გაუხანგრძლივეს საზოგადოების სხვა წევრებმა";

"ეს არის ისტორიისთვის უნიკალური შემთხვევა, როდესაც ადამიანის წინაპარმა შეძლო ეცხოვრა მხოლოდ ერთი კბილით";

"პალეონტოლოგი დავით ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ Homo Georgicus-ის ჯგუფის ჰომინიდები, რომელსაც ეს არქეოლოგიური აღმოჩენები მიეკუთვნებიან, ახერხებდნენ არსებობას მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთდახმარებისა და ზრუნვის წყალობით. ადამიანების ასეთი ქცევა იმ პერიოდისთვის ამ აღმოჩენამდე სრულიად წარმოუდგენელი იყო";

"ეს პირველი შემთხვევაა მოხუც ადამიანებზე მზრუნველობის გამოხატვისა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მოხუცის წინაპრები მის ასაკში უკვე გარდაცვლილები იყვნენ";

"დმანისის აღმოჩენები ბადებს საინტერესო მოსაზრებებს საზოგადოებაზე, კაცობრიობის ისტორიაზე და არსებობის სტრატეგიაზე";

"დმანისში აღმოჩენილი ნაშთები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ჰომინიდები იყენებდნენ ტექნოლოგიებს იმისათვის, რომ დახმარება გაეწიათ დაუძლურებული ადამიანებისთვის, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ შრომა აკეთილშობილებს ადამიანს", - მიაჩნია არქეოლოგ ეუდალდ კარბონელს.

# "მშვიდობის ელჩი" ქალბატონები

*გუშინ, პირველად საქართველოში, "მშვიდობის ელჩის" საერთაშორისო პრემიით ოთხი უმშვენიერესი ქალბატონი: სანდრა რულოვსი, მანანა დოიჯაშვილი, ნინო ანანიაშვილი და რუსუდან ფეტვიაშვილი დააჯილდოვეს. პირველმა ლედიმ ეს პრემია ქვეყანაში მშვიდობის განმტკიცების, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების, სოციალურ-ეკონომიკური და ჰუმანიტარული განვითარების საქმეში გაწეული ღვაწლისთვის, ხოლო დანარჩენმა ქალბატონებმა კი - მსოფლიო კულტურის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის დაიმსახურეს. "მშვიდობის ელჩის" საერთაშორისო პრემია "საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდმა" დააწესა.*

თამარ დვალი

**სანდრა რულოვსი** - 1997 წლიდან არის საქველმოქმედო ფონდ "SOCO" დამფუძნებელი და დირექტორი. მათი ორგანიზაცია ქმედით დახმარებას უწევს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის სკოლა-ინტერნატებს და ქუჩის ბავშვთა თავშესაფრებს. ლეიკოზით დაავადებული ბავშვებისა და დამწვრობის ცენტრის პაციენტებისთვის დახმარების აღმოჩენა, ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო კურსების ჩატარება და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციისაკენ მიმართული კამპანიების განხორციელება ფონდ "SOCO"-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს.

**"ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა საქართველოს პრეზიდენტის ცოლობა, მაგრამ ვცდილობ, მე ჩემი საქმე ვაკეთო და ბევრი ვიმუშაო საქართველოს კეთილდღეობისთვის. ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო საქართველოს ფეხზე დადგომა იქნება. დღეს ჰუმანიტარული საქმიანობისთვის დამაჯილდოვეს და უნდა აღვნიშნო, რომ აქედან სწორედ ისეთ ოჯახში მივდივარ, სადაც წლების წინ წასული შვილი უნდა დაბრუნდეს. დღეს კასპის ბავშვთა სახლიდან ერთი ბავშვი თავის მშობლებს დაუბრუნდება,"** - აღნიშნა "ქორთიარდ მარიოტში" დაჯილდოების ცერემონიალზე მისულმა სანდრა რულოვსმა.

**ნინო ანანიაშვილი** - ათი წლის ასაკიდან ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მიიყვანეს. ამის შემდეგ, მან სწავლა მოსკოვის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში განაგრძო. 1981 წლიდან ნინო მოსკოვის დიდი თეატრის ბალერინაა, 1985 წლიდან დღემდე კი - პრიმა ბალერინა. იგი ერთადერთია მსოფლიოში, ვინც ოთხ უმაღლეს საერთაშორისო საბალეტო ჯილდოს ფლობს. ანანიაშვილი ყოფილ საბჭოთა სივრცეში პირველი ბალერინაა, რომელიც "ნიუ-იორკ სითი ბალეტში" ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფიის და დანიის სამეფო თეატრში ბურნონვილის საბალეტო შედევრებში მთავარი პარტიების შემსრულებლად მიიწვიეს. 1997 წელს ნინოს ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა "წლის საუკეთესო ქალბატონის" წოდება მიანიჭა. 1999 წელს საფრანგეთის მეფეთა შტოს მემკვიდრის პრინცესა მარია დე ბურონის მიერ დაწესებული საერთაშორისო პრემია "ოქროს ქალღმერთი" გადაეცა. 2001 წელს რუსეთის უმაღლესი ჯილდოს, ხოლო 2002 წელს - ამერიკის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი გახდა. 2004 წლიდან ნინო ანანიაშვილი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელია.

**"ჩემთვის ასეთი პრემიის გადმოცემა მოულოდნელი იყო და თანაც, სასიამოვნო. ვთვლი, რომ საქართველოში ბევრი ადამიანია, ვისაც აქვს უფლება, ამ პრიზის მფლობელი იყოს. მიხარია, რომ მშვიდობის ჯილდო ისეთ საქართველოში მივიღე, როდესაც ქვეყნის აღორძინება იწყება,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას, ნინო ანანიაშვილმა.

**მანანა დოიჯაშვილი** - პიანისტი, საქართველოს სახალხო არტისტი. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის და ვანო სარაჯიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი. სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი და პროფესორი. მისი თაოსნობით, ხანგრძლივი უმოქმედობის შემდეგ აღდგა და თბილისის მუსიკალურ ცხოვრებას დაუბრუნდა კონსერვატორიის დიდი დარბაზი. მანანა დოიჯაშვილი თავად გახდა საქართველოში საკონკურსო "მოძრაობის" სულისჩამდგმელი. მან ჩაუყარა საფუძველი საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა (1995) და პიანისტთა თბილისის საერთაშორისო (1997) კონკურსებს. 2004-2005 წლებში საშემსრულებლო ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა რუსეთის საშემსრულებლო ხელოვნების ფონდის პრემიით.

**"ყველაზე ფასეული, რაც შეიძლება იყოს ამქვეყნად, არის მშვიდობა. მშვიდობის ჯილდოს რომ მიიღებ, ეს ჩემთვის დიდი დაფასებაა. მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც დაინახა ჩემი მოკრძალებული შრომა,"** - განაცხადა მანანა დოიჯაშვილმა.

**რუსუდან ფეტვიაშვილი** - ხატვა წლისა და 10 თვის ასაკში დაიწყო. ექვსი წლისას პირველი პერსონალური გამოფენა ჰქონდა თბილისში. მაშინ ხელოვნებათმცოდნეები და, საერთოდ, საზოგადოება ბავშვის საოცარმა ნიჭმა დააბნია. რუსუდანს რვა წლის ასაკში - მოსკოვში, 13 წლისას - საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში და პარიზში ჰქონდა პერსონალური გამოფენა. მომდევნო წლებში მისმა გამოფენებმა მთელი ევროპის დედაქალაქები მოიარა. რუსუდანის ილუსტრაციებით დაიბეჭდა წიგნები "ვეფხისტყაოსანი" და "ქართული ხალხური ზღაპრები". იგი შესულია კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის მიერ გამოცემულ წიგნში: "XX საუკუნის მსოფლიოს 2000 გამორჩეული ადამიანი". რუსუდანის მონაწილეობით შეიქმნა წმინდა ოთხთავის დიდი უნიკალური ხელნაწერი ეგზემპლარის მინიატურები, რომელიც მომზადდა სამების საკათედრო ტაძრისთვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით.

რუსუდან ფეტვიაშვილისთვის განკუთვნილი, "მშვიდობის ელჩის" პრემია გუშინ მის დედას, ქალბატონ მანანა აბრამიშვილს გადასცეს, რადგან რუსუდანს ამჟამად გერმანიაში პერსონალური გამოფენა აქვს.

**"ეს ჩვენი ფონდის მიერ დაწესებული პირველი პრემიაა. ნომინანტები ფონდის სამეთვალყურეო საბჭომ შეარჩია. ვცდილობთ, პატივი მივაგოთ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით რაღაც წვლილი შეიტანეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით მშვიდობის დამყარების საქმეში. პრემია ტრადიციული გახდება და მომავალში, შესაძლოა, მისი მფლობელები გახდნენ როგორც განათლების მუშაკები, ასევე ხელოვნების წარმომადგენლები და სხვები,"**- განაცხადა "24 საათთან" საუბრისას "საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდის" დირექტორმა უქრუმ შაჰრანიმ.

როგორც კულტურის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა აღნიშნა, მშვიდობის პრემია წელს პირველად დაწესდა საქართველოში. **"განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ იმით, რომ ასეთი პრიზის პირველი ლაურეატები სწორედ ქალბატონები გახდნენ. ეს არის დასტური იმისა, რომ ხელოვნება არის მშვიდობის საუკეთესო ელჩი მთელს მსოფლიოში,"** - აღნიშნა მან.

# კოფი ანანი აშშ-სა და ბრიტანეთს ადანაშაულებს

"სკანდალში, რომელიც ერაყული პროგრამის - "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ", გარშემო გაჩაღდა, ნაწილობრივ, აშშ და ბრიტანეთი არიან დამნაშავე", - განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა. გენერალური მდივანი ამ განცხადებით მას შემდეგ გამოვიდა, როდესაც ტეხასელ ნავთობმაგნატს დევიდ ჩალმერსს, ბულგარეთის მოქალაქე ლუდმილა დიონისიევას და ბრიტანელ ჯონ ირვინგს, რომლებიც აღნიშნულ სკანდალთან დაკავშირებით კორუფციაში ედებოდათ ბრალი, აშშ-ს ფედერალურმა პროკურატურამ ოფიციალური ბრალი წაუყენა. სამივე მათგანი სადამ ჰუსეინის რეჟიმისათვის ქრთამის მიცემაშია ბრალდებული. გამოძიების მასალების თანახმად, ჩალმერსის კომპანიები "ბეიოილ ოფ ტექსას" და "ბეიოილ საფლაი ენდ თრეიდინიგი" ქრთამს აძლევდნენ ბაღდადს, ერაყული ნავთობის გაყიდვის უფლების მოსაპოვებლად. დანარჩენი ორი ბრალდებული, როგორც ბრალდება ამტკიცებს, ნავთობმოვაჭრეთა სახით, თავისი საქმიანობისათვის ქრთამებს იღებდნენ. ახლახან კოფი ანანიც დაადანაშაულეს იმაში, რომ მან თავისი შვილისა და ზემოთ აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთი მონაწილე-კომპანიის თანამშრომლობის ფაქტი დამალა. თუმცა, ანანი თვლის, რომ ეს პროგრამა სადამ ჰუსეინის სახსრების მთავარი წყარო არ ყოფილა. "ფულის ძირითადი ნაწილი, რომელსაც სადამი იღებდა, ხსენებული პროგრამის გარეშე არსებული ნავთობკონტრაბანდის ხარჯზე გამოჩნდა და ამ ყველაფერს ამერიკა და ბრიტანეთი აკვირდებოდა. შესაძლოა, მათ იცოდნენ, სინამდვილეში რა ხდებოდა, მაგრამ თურქეთსა და იორდანიაში კონტრაბანდაზე თვალი დახუჭეს, რადგან ისინი მოკავშირეები იყვნენ", - განაცხადა კოფი ანანმა. პროგრამა "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ", რომლის საერთო ბიუჯეტი 60 მილიარდი დოლარია, ვარაუდობდა, რომ ზოგი კომპანია (ხშირად იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ერაყის რეჟიმისადმი სიმპათიებს გამოხატავდა ან ისეთები, რომლებიც ამ სქემაში მონაწილეობას დასთანხმდნენ) ერაყული ნავთობის გაყიდვის კონტრაქტს იღებდა.



კოფი ანანი

შემდეგ ეს ნავთობი ღია ბაზარზე იყიდებოდა, ხოლო შუამავლები, ფასების სხვაობის სახით, საკომისიოებს იღებდნენ, რომლის ნაწილიც მათ სურსათისა და მედიკამენტების შეძენისთვის არსებულ სპეციალურ ერაყულ ანგარიშებზე უნდა გადაერიცხათ. გამოძიების მონაცემებით, სამივე ბრალდებული მთავარ როლს ასრულებდა ფინანსურ მექანიზმში, რომელიც პროგრამის ბალანსებიდან მნიშვნელოვანი თანხების გატანისა და შეძენის ფასის დაწევის საშუალებას იძლეოდა, რისთვისაც ბრალდებულები სოლიდურ მოგებას ნახულობდნენ. ნავთობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი სადამ ჰუსეინისა და მასთან დაახლოებული პირების ანგარიშებზე ხვდებოდა. თუ სამივეს დამნაშავედ აღიარებენ, მაშინ 62-წლიანი პატიმრობა ელით. გაერო-ს პროგრამის მთელ მექანიზმში მთავარი საკითხი ის იყო, ვინ მოიპოვებდა ერაყული ნავთობის გაყიდვის უფლებას. სკანდალი გასული წლის თებერვალში დაიწყო, როდესაც ამოტივტივდა ერაყის ნავთობის სამინისტროს დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც, პროგრამის ხელმძღვანელმა 11 მილიონ ბარელ ნავთობზე ვაუჩერი მიიღო. ამ დოკუმენტებში ბევრი რუსული კომპანია და რუსი პოლიტიკოსია ნახსენები. პროგრამის ბოროტად გამოყენების საქმეზე რამდენიმე გამოძიება მიმდინარეობს, როგორც ერაყში, ასევე - აშშ-ში. ცალკე სარჩელია აღძრული სამხრეთ კორეის მოქალაქის წინააღმდეგ, რომელსაც ადანაშაულებენ აშშ-ს ტერიტორიაზე ერაყის მთავრობის დაურეგისტრირებელი წარმომადგენლის სახით მოქმედებასა და პროგრამის - "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ", დახმარების მიზნით, შეთქმულებაში. გაერო-მ სპეციალური დამოუკიდებელი კომისია დააწესა, რომელიც დროდადრო იუწყება გამოძიების შედეგებს. გამოძიება ამა წლის პირველ ნახევარში დასრულდება.

*ბი ბი სი*

# წინასაარჩევნოდ გაცხადებული მანიფესტი

## ახალი ლეიბორიზმის მოდელი დიდი ბრიტანეთისთვის

დიდ ბრიტანეთში საპარლამენტო არჩევნები, როგორც ცნობილია, 5 მაისს ჩატარდება, მანამდე კი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ლეიბორისტული პარტიის წინასაარჩევნო მანიფესტს აქვეყნებს. ხელისუფლების სამოქმედო პროგრამაში პრემიერმა ქვეყნის განვითარების სამომავლო ხედვა წარმოადგინა. ბლერის აზრით, დიდ ბრიტანეთში კლასობრივი განსხვავების, პრივილეგიებისა თუ წარმომავლობის მიუხედავად, ყველას თანაბარი შანსი უნდა ჰქონდეს, გახდეს წარმატებული ადამიანი.

"ეს მანიფესტი ახალი ლეიბორიზმის კვინტესენციაა. მის საფუძველში ტრადიციული ღირებულებები ძევს - კერძოდ, ჩვენ გვირჩევნია უმრავლესობის მხარე დავიკავოთ, ვიდრე უმცირესობის პოზიციებს ვიცავდეთ; ვებრძვით ბარიერებს, რომლებიც ადამიანების კეთილდღეობის განვითარებას უშლის ხელს. ჩვენ ვაძლევთ ყველას იმის საშუალებას, რომ შეძლონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება და ეს არ იყოს მხოლოდ ერთეულთა ხვედრი", - განაცხადა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა და წითელი წიგნაკი ტელეკამერების წინ ააფრიალა.

ზემოაღნიშნულ წითელ წიგნაკში 112 გვერდია, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ ლეიბორისტები არ მოუმატებენ გადასახადებს, სამაგიეროდ გაზრდიან საათობრივი შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონეს. გარდა ამისა, ლეიბორისტები დიდ ბრიტანეთში კერძო უძრავი ქონების მფლობელთა რიცხვის 2 მილიონამდე გაზრდასა და წლიური ინფლაციის მაჩვენებლის 2 პროცენტამდე შენარჩუნებასაც გეგმავენ.

საპარალამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ლეიბორისტები მოსახლეობას ყველა სახელმწიფო სკოლის გარემონტებასა და ცივი თუ ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილ დანაშაულთა რიცხვის შესამცირებლად უფრო ეფექტურ მუშაობასაც ჰპირდებიან. ცხადია, ყოველივე ზემოჩამოთვლილი წინასაარჩევნო დაპირებათა სრული სია სულაც არ არის. დაბოლოს, ერთი საინტერესო დეტალიც 5 მაისს დაგეგმილი არჩევნების შესახებ - ტონი ბლერის თქმით, ეს იქნება უკანასკნელი არჩევნები, რომელშიც იგი მონაწილეობას მიიღებს.

ლეიბორისტთა წინასაარჩევნო დაპირებებზე ოპოზიციის რეაქციამაც არ დააყოვნა. რასაკვირველია, მათი პოზიცია დაპირებებისადმი საკმაოდ სკეპტიკურია. როგორც კონსერვატორთა ლიდერი მაიკლ ჰაუერდი აცხადებს, "დარწმუნებით მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება - ბლერის გამარჯვების შემთხვევაში, გადასახადები, კლების ნაცვლად, გაიზრდება". კონსერვატორთა თქმით, ტონი ბლერი უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში ისედაც კარგად ახერხებდა ხალხის მოტყუებას დროის დაკარგვითა და დაპირებების შეუსრულებლობით.



ტონი ბლერი

ლეიბორისტთა დაპირებების წინააღმდეგ არანაკლებ შეუვალი პოზიცია უკავია ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის, სერ მენზის კემპბელის განცხადებით, რა მნიშვნელობა აქვს რას წერენ ლეიბორისტები მანიფესტებში, როცა შედეგი აბსოლუტურად საპირისპიროს მეტყველებს. ლიბერალ-დემოკრატები ლეიბორისტებს არც ერაყის კამპანიაში აქტიურ ჩართვას უვიწყებენ. "ვინ იფიქრებდა, რომ 2001 წელს ლეიბორისტები ერაყის ომში ჩვენს ჩართვას გაერო-ს მანდატის გარეშეც მოახერხებდნენ; ასევე, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ისინი უნივერსიტეტებში სწავლის გადასახადებს გაზრდიდნენ", - აღნიშნა სერ მენზის კემპბელმა.

გამარჯვების შემთხვევაში, ლეიბორისტები მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებას გეგმავენ - კერძოდ, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების სფეროში, რასაც შემდეგ საკონსტიტუციო რეფორმაც დაემატება. ეს უკანასკნელი პარლამენტის ზედა - ლორდთა პალატაში რყევებს გამოიწვევს.

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, გადასახადთა ზრდა და ჯანდაცვის ეროვნული სისტემის რეფორმის ჩავარდნა საპარლამენტო არჩევნებში ლეიბორისტების შედეგებზე უარყოფითად იმოქმედებს. ცხადია, საბოლოო შედეგებს, ერაყული კამპანიის გამო, ლეიბორისტებისადმი ხალხის უნდობლობაც დაეტყობა.

*ბი ბი სი*

# ბერლუსკონი მოკავშირეს კარგავს

*სილვიო ბერლუსკონის მთავრობას, რომელმაც, სხვათა შორის, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდხანს გაძლო, მძიმე გამოცდა ელის. კოალიციაში შემავალმა ერთ-ერთმა პარტიამ გუშინ მთავრობის დატოვების შესახებ გააკეთა განცხადება. ბერლუსკონის, შესაძლოა, გადადგომა მოუწიოს და აპენინებზე ახალი ხელისუფლება მოვიდეს.*

ბერლუსკონის მთავრობა უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ყველაზე მძიმე კრიზისს განიცდის. მემარჯვენე კოალიციის შემადგენლობაში შემავალმა ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა განცხადება გააკეთა, რომ მისი ოთხი წევრი, მათ შორის - ვიცე-პრემიერი მარკო ფოლინი, კაბინეტს დატოვებს და ბერლუსკონის მთავრობის რადიკალურ რეფორმირებას აიძულებს.

გასულ კვირას, რეგიონულ არჩევნებში მმართველმა კოალიციამ სრული ფიასკო განიცადა - 13 რეგიონიდან ისინი თერთმეტში დამარცხდნენ. განცდილი მარცხის შემდეგ ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ განაცხადა, რომ ასეთმა მძიმე მარცხმა აშკარა გახადა, რომ მთავრობაში რადიკალური გარდაქმნებია საჭირო, რათა მომავალ წელს დაგეგმილ საყოველთაო არჩევნებში წარმატების რაიმე შანსი დარჩეს.

მართალია, ბერლუსკონის არ სურს ამის აღიარება, მაგრამ აშკარაა, დღევანდელი კრიზისი გაცილებით სერიოზული იქნება.

მთავრობის მეთაურის მიერ მოკავშირეთა პრეტენზიის გაუთვალისწინებლობა მათი რადიკალური ნაბიჯის საფუძველი გახდა. "ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ დაამტკიცა დოკუმენტი, რომელიც კაბინეტიდან წარმომადგენლების გამოხმობას ითვალისწინებს. ამასთანავე, გენერალური მდივანი ახალი მთავრობის შექმნის საკითხზე იმუშავებს...ბერლუსკონის ხელმძღვანელობით", - განაცხადა პარტიის ლიდერმა როკო ბუტილიონემ. თუმცა, ქრისტიან-დემოკრატები იმასაც აღნიშნავენ, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ბერლუსკონი უარს იტყვის მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ისინი მაინც განაგრძობენ პარლამენტში კოალიციის მხარდაჭერას. ნიშანდობლივია, რომ ქრისტიან-დემოკრატების მხარდაჭერის გარეშე, უმრავლესობის მობილიზება საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატაში (სენატი) შეუძლებელი იქნება.

ამჟამად სილვიო ბერლუსკონი არჩევნის ზღვარზე დგას - ან კოალიციაში შემავალ დანარჩენ სამ პარტიასთან ერთად უნდა სცადოს სიძნელეების გადალახვა (რითაც, ფაქტობრივად, ქრისტიან-დემოკრატებთან კავშირს გაწყვეტს), ან მოლაპარაკებები განაგრძოს განდგომილ მოკავშირესთან და, ქრისტიან-დემოკრატთა მოთხოვნების გათვალისწინებით, შექმნას ახალი კაბინეტი.



*სილვიო ბერლუსკონი მოკავშირის დაკარგვამ სერიოზული არჩევანის წინაშე დააყენა.*

არსებობს კიდევ ერთი ალტერნატივა - ბერლუსკონი უნდა გადადგეს და უარი თქვას მთავრობის სათავეში ყოფნაზე. ამ შემთხვევაში, იტალიის პრეზიდენტი კარლო აზელიო ჩამპი რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს.

დღეს ოპოზიციური პარტიები ბერლუსკონის გადადგომისკენ მოუწოდებენ. "ქრისტიან-დემოკრატთა გადაწყვეტილებამ, დაეტოვებინათ მთავრობა, პოლიტიკური კრიზისი თვალნათელი გახადა. ახლა მისი დამალვა ან შენიღბვა შეუძლებელია, - ამბობს მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერი პიერო ფასინო, - პრემიერ-მინისტრი უნდა გადადგეს".

აშკარაა, ბერლუსკონის რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. სხვათა შორის, გასულ კვირას იტალიის პრემიერ-მინისტრმა ირიბად აღნიშნა, რომ რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას არ ეწინააღმდეგება.

# უკრაინას "მეორეხარისხოვნების" კომპლექსისგან გათავისუფლება სწადია

"რუსეთისა და უკრიანის ურთიერთობებში დადგა დრო, გავთავისუფლდეთ "მეორეხარისხოვნების" კომპლექსისგან", - თვლის უკრიანის პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო.

"ვისურვებდი, რომ რუსეთი უკრაინას თანასწორ პარტნიორად აღიქვამდეს და არა - "უმცროს ძმად", ხოლო ჩვენს პოლიტიკოსებს პატივისცემით ეპყრობოდნენ", - განაცხადა გუშინ ტიმოშენკომ ბიბისი-ს უკრაინულ რედაქციასთან ინტერვიუში.

პრემიერ-მინისტრის თქმით, აუცილებელია, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ახალი ეტაპი ურთიერთპატივისცემას ემყარებოდეს.

რაც შეეხება რუსეთში დაგეგმილ ვიზიტს, უკრაინის მთავრობის მეთაური მის გადადებას მხოლოდ მოუცლელობას აბრალებს. "დღეს მიმდინარე რეფორმებისა და ნავთობბაზარზე გაზრდილი ფასების გამო, ძალიან ბევრი საქმეა უკრაინაში. ასეთ დროს, ბუნებრივია, აუცილებელია, პრემიერ-მინისტრი ადგილზე იმყოფებოდეს", - დასძინა ტიმოშენკომ.

შეგახსენებთ, უკრაინის "ნარინჯისფერი რევოლუციის" ერთ-ერთი ბელადის მოსკოვში ჩასვლა 21 აპრილს იყო დაგეგმილი. თუმცა, როგორც ცნობილი გახდა - გაურკვეველი დროით გადაიდო. მართალია, ორივე მხარე გაუთვალისწინებელი პრობლემებით აპელირებს, მაგრამ აშკარაა, რომ ნამდვილი მიზეზი სულ სხვაა.

საქმე ისაა, რომ ვიზიტის წინ რუსეთის გენპროკურორმა კიდევ ერთხელ შეახსენა უკრაინელ ქალბატონს, რომ რუსეთში მასზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე (იულია ტიმოშენკოს ენერგოკომპანიის ხელმძღვანელად ყოფნის პერიოდში რუსი სამხედროებისთვის ქრთამის მიცემაში ადანაშაულებენ) არ დახურულა. ალბათ, სწორედ ამ განცხადების გამო გადაიდო უკრაინის პრემიერ-მინისტრის რუსეთში ჩასვლა გაურკვეველი ვადით.

*რიანოვოსტი*

# კონდოლიზა რაისი ირანის მიმართ მეტ სიმკაცრეს ითხოვს

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა უფრო მკაცრი ზომების გატარება მოითხოვა ირანის მიმართ, თუკი თეირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ კომპრომისის მიღწევა უშედეგოდ დასრულდება. შეკითხვაზე, - საჭიროა თუ არა, რომ ირანის ბირთვული დოსიე გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაეცეს, - ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე კონდოლიზა რაისმა განაცხადა: "რაღაც მომენტში - კი! თუ ამჟამინდელი მოლაპარაკებები ნაყოფს არ გამოიღებს, გაერო-ს უშიშროების საბჭო ასეთ ვარიანტად განიხილება; ჩვენ საქმის კურსში ჩავაყენეთ ჩვენი ევროპელი მეგობრები და მოკავშირეებიც." დასავლეთის ქვეყნები, ცდილობენ, დაარწმუნონ ირანის ხელისუფლება, ეკონომიკური დახმარების სანაცვლოდ, უარი თქვას ბირთვული პროგრამის ზოგიერთი აქტიური კომპონენტის გამოყენებაზე - კერძოდ, გამდიდრებულ პლუტონიუმზე.

*რადიო თავისუფლება*

# კუბა გაერო-ს არ დაემორჩილება

კუბამ განაცხადა, რომ ჟენევაში გაერო-ს ადამიანის უფლებების კომისიის მიერ კუნძულის წინააღმდეგ მიღებულ რეზოლუციას არ შეასრულებს. კენჭისყრიდან რამდენიმე წუთში კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფელიპე პერეს როკემ კომისიის მიერ მიღებულ დოკუმენტს აბსოლუტურად უკანონო უწოდა. აშშ-ს მიერ შეთავაზებული რეზოლუცია კუნძულზე ადამიანის უფლებათა დარღვევის გამოძიების საქმეში გაერო-ს წარმომადგენლის მანდატის განახლებას ითვალისწინებს. ასეთი წარმომადგენელი - კრისტინ შანე - გაერო-მ ჯერ კიდევ 2003 წელს დანიშნა. თუმცა, კუბის ხელისუფლებას მისთვის არც ერთხელ არ მიუცია კუბაში ჩასვლის უფლება. ახლახან კრისტინ შანემ კუბას პატიმარი-დისიდენტების გათავისუფლებისა და ქვეყნის მოქალაქეების სიტყვისა და გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფის მოწოდებით მიმართა. როგორც წესი, მკვეთრად კრიტიკული რეზოლუციების შეუსრულებლობის მიუხედავად, კუბა უშუალოდ გაერო-ს ადამიანის უფლებების დაცვის კომისიას (ჟენევაში) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. ქვეყნებს, რომლებიც ჟენევაში კუბის მხარდამჭერებად გამოდიან, ჰავანა მამაც მოკავშირეებს ეძახის. ისინი, ვინც კუბის წინააღმდეგ გამოდის, "აშშ-ს ლაქიების" მეტსახელს იღებენ. წელს კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფელიპე პერეს როკემ შემზარავი უწოდა იმ ფაქტს, რომ უკრაინამ და მექსიკამ, რომლებიც დროდადრო კუბისადმი სიმპათიებს გამოხატავენ, რეზოლუციას დაუჭირეს მხარი. მინისტრმა ევროკავშირის ქვეყნები (რომლებიც გაერო-ს კომისიაში შედიან და კუბის წინააღმდეგ გამოდიან) გააფრთხილა, რომ ჰავანამ, შესაძლოა, ევროპასთან ურთიერთობას გადახედოს, რომელსაც უკანასკნელ პერიოდში შესამჩნევი გაუმჯობესება დაეტყო. ახლა კი კუბა მოითხოვს, რომ კომისია აშშ-ს მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის განხილვას შეუდგეს. უკანასკნელ მომენტში კუბამ გაერო-ს აღნიშნულ კომისიაში რეზოლუციის პროექტი შეიტანა, რომელიც გუანტანამოს ამერიკულ სამხედრო-საზღვაო ბაზაზე მყოფი პატიმრების პირობების დამოუკიდებელ გამოძიებას ითვალისწინებს. კუბის ხელისუფლება გუანტანამოს ბაზას საკონცენტრაციო ბანაკს უწოდებს.

*ბი ბი სი*

# საბერძნეთის პარლამენტმა ევროკავშირის კონსტიტუცია მოიწონა

## რატიფიკაციისთვის კი კენჭისყრა 19 აპრილს გაიმართება

ევროპის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა საბერძნეთის პარლამენტში პარასკევს, 15 აპრილს დასრულდა. განხილვამ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა და, საბოლოო ჯამში, მოწონებულ იქნა კიდეც. ევროკავშირის ახალ ძირითად კანონს საბერძნეთის საკანონმდებლო ორგანოში მხარი დაუჭირა მმართველმა მემარჯვენე ცენტრისტულმა პარტიამ "ახალი დემოკრატია" და ოპოზიციურმა საერთობერძნულმა სოციალისტურმა მოძრაობამ. ახალი კონსტიტუციის პროექტმა მხოლოდ საბერძნეთის კომუნისტური პარტია და ფრაქცია "კავშირი" ვერ მოხიბლა, რომელთაც ამ საკითხთან დაკავშირებით საერთოეროვნული რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვეს. თუმცა, აბსოლუტურად უშედეგოდ, რადგან მათ მხოლოდ 18 სადეპუტატო მანდატი აქვთ 300 ადგილიან პარლამენტში. მათ ვერც საპროტესტო დემონსტრაციების გამართვის გზით მიაღწიეს სასურველ შედეგს, რადგან ევროკავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვას დიდი ვნებათაღელვა არც ბერძნულ საზოგადოებაში მოჰყოლია. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტებს ევროპის ახალ კონსტიტუციაზე მეტად თავად ევროკავშირის არსებობა აღელვებთ, რომელიც მათ "მშრომელთა ექსპლუატაციის მიზნით ჩამოყალიბებულ იმპერიალისტურ წარმონაქმნად" მიაჩნიათ. ვინაიდან პროექტის რატიფიკაციისთვის, საბერძნეთის კონსტიტუციის თანახმად, რეფერენდუმის გამართვა არაა აუცილებელი და ეს საკითხი სავსებით შეიძლება საპარლამენტო დისკუსიის გზით გადაიჭრას, მოსალოდნელია, რომ საბოლოო რატიფიკაციისთვის კენჭისყრა უკვე მიმდინარე წლის 19 აპრილს გაიმართოს საკანონმდებლო ორგანოში. ამდენად, თუ კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობა ხმას პროექტის სასარგებლოდ მისცემს, საბერძნეთი ევროპის ახალი კონსტიტუციის მხარდამჭერი, რიგით მეხუთე ქვეყანა გახდება.

# ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე 5 კომპანია აქტიურობს

*გუშინ ფასიანი ქაღალდების კომისიის თავმჯდომარემ მიშა ჯიბუტმა ჟურნალისტებს ბირჟის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში ჩააბარა. მისი ინფორმაციით, გასულ წელს ბირჟაზე ყველაზე აქტიური ხუთი კომპანია იყო.*

თამარ ივანიძე

2005 წელს საქართველოს საფონდო ბირჟაზე დადებულ გარიგებაში ყველაზე აქტიურად 5 სააქციო საზოგადოება მონაწილეობდა. როგორც ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ჯიბუტი აცხადებს, ამ პერიოდის განმავლობაში ბირჟაზე დადებული გარიგებების საერთო რაოდენობაში 39 პროცენტი "საქართველოს ბანკზე" მოდიოდა, 24 პროცენტი - სს "მატეიზე", 7 პროცენტი - "თბილღვინოზე"; 5 პროცენტი - "გაერთიანებულ ქართულ ბანკზე", 4 პროცენტი - ბიზნესცენტრ "იადონზე"; ხოლო დანარჩენი 21 პროცენტი - სხვა კომპანიებზე. 2005 წლის პირველ კვარტალში საქართველოს საფონდო ბირჟაზე სულ ჩატარდა 23 ვაჭრობა, დაიდო 241 გარიგება, რომელთა ჯამურმა მოცულობამაც შეადგინა 15 952 705 აქცია, ხოლო ჯამურმა ღირებულებამ - 20 მილიონი ლარზე მეტი. 2005 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულია 277 სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდი, მათ შორის, ერთის - "საქართველოს ბანკის" - აქციები დაშვებულია ლისტინგში.

აქვე, მიშა ჯიბუტი "ურჩ" სააქციო საზოგადოებებს ფინანსური სანქციებითაც დაემუქრა:

ყველა ის სააქციო საზოგადოება, რომლის აქციებით ვაჭრობა დაშვებულია საფონდო ბირჟაზე და რომელსაც ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიაში 1 აპრილამდე ფინანსური ანგარიში არ წარუდგენია, ფულადი სანქციებით დაჯარიმდება. როგორც ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ჯიბუტმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ანგარიშები არ წარმოადგინა 70-მა სააქციო საზოგადოებამ. ამ საწარმოებს, შესაძლოა, კომისიამ ბიუჯეტის სასარგებლოდ 2000 ლარის ოდენობით ფულადი ჯარიმის გადახდა დააკისროს. კომისია უახლოეს პერიოდში დანიშნავს მოსმენას, რომელზეც მიწვეული იქნებიან ყველა ამ კომპანიის ხელმძღვანელები. მოსმენის შემდეგ კომისია მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას თითოეული მათგანის მიმართ საჯარიმო სანქციების გატარებასთან დაკავშირებით.

# საქართველოს ენერგოსისტემაში მორიგი ავარია მოხდა

*საქართველოს ენერგოსისტემაში მორიგი ავარია მოხდა. ამჯერად ავარიულად გამოირთო "ენგურჰესის" ერთი აგრეგატი, რის გამოც სისტემას 150 მეგავატი სიმძლავრე მოაკლდა. ავარიის გამომწვევი მიზეზები, ჯერჯერობით, უცნობია. როგორც ენგურჰესის გენერალურმა დირექტორმა ლევან მებონიამ განაცხადა, ავარიის მიზეზის დადგენის მიზნით კვლევები უკვე დაწყებულია. თუ ვერ მოხერხდება დაზიანებული აგრეგატის აღდგენა, მის ნაცვლად სხვა აგრეგატი ჩაირთვება, რომელიც ამჟამად სარემონტოდ არის გაჩერებული.*

დიანა ჩაჩუა

ენგურჰესზე სულ 5 აგრეგატია, საიდანაც ერთი მუშაობს, ერთი ავარიულად გამოირთო, ორს გეგმური სარემონტო სამუშაოები უტარდება, ხოლო ერთი (N3) სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს. მის აღდგენაზე ავსტრიულ-გერმანული კომპანია "ფორიტ სიმენსი" მუშაობს.

აღნიშნული, N3 აგრეგატი აგვისტო-სექტემბრის თვეში ტესტირებას გაივლის. ოქტომბერში კი ექსპლუატაციაში შევა და ელექტროსისტემას დამატებით 260 მეგავატ ელექტროენერგიას მიაწვდის.

მებონიას განცხადებით, დანარჩენი ოთხი აგრეგატი სრულ დადგმულ სიმძლავრეზე (260 მეგავატზე) ვერ მუშაობს. მათ სერიოზული რეაბილიტაცია სჭირდებათ. აგრეგატების მუშაობა ამჟამად მხოლოდ 220-230 მეგავატ სიმძლავრით შეიძლება.

როგორც "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" გუშინ აცხადებდნენ, წარმოქმნილი დეფიციტის დაბალანსება თავდაპირველ ეტაპზე ვერ მოხერხდა, ამიტომ, საქართველოს ენერგომომარაგება 150 მეგავატით გახლდათ შეზღუდული. ელექტროენერგია დედაქალაქს 50-მეგავატიანი შეზღუდვით მიეწოდებოდა.

როგორც "თელასში" განაცხადეს, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ ელექტროენერგიის მიწოდება ნავთლუღისა და გლდანის ქვესადგურებს შეუზღუდა, რის გამოც გამორთული იყო მუხიანის, გლდანის, მახათის, თბილისის ზღვისპირეთის, ავლაბრის, ლილოს, ორხევის, ავშნიანის მოსახლეობის ნაწილი.

გუშინვე, "ენგურჰესის" აგრეგატის დაზიანების გამო წარმოქმნილი დეფიციტი მე-9 ენერგობლოკის მიერ გამომუშავებული სიმძლავრით დაბალანსდა. ენერგეტიკოსებმა მე-9 ენერგობლოკი ჩართეს და მის მიერ გამომუშავებული სიმძლავრე ენერგოსისტემამ საღამოს მიიღო.

როგორც გუშინ, "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" განაცხადეს, "ენგურჰესის" დილით დაზიანებული აგრეგატის აღდგენა საღამომდე შეუძლებელი იყო, ამიტომ მე-9 ენერგობლოკის სისტემაში გაშვება გადაწყდა.

შეგახსენებთ, რომ მე-9 ენერგობლოკის ჩართვა შემოდგომა-ზამთრის მომავალ სეზონამდე აღარ იგეგმებოდა, თუმცა წარმოქმნილი დეფიციტის გამო ენერგეტიკოსებმა ბლოკის ჩართვის გადაწყვეტილება მიიღეს.

# საქართველო სურსათის უსაფრთხოების ევროპულ სტანდარტებთნ მიახლოებას ცდილობს

*საქართველო სურსათის უსაფრთხოების ანუ ხარისხიანობის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას ცდილობს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, უცხოელ ექსპერტებთან ერთად, შესაბამის კანონპროექტზე მუშაობა გასული წლის ივნისში დაიწყო. აღნიშნული კანონპროექტის საფუძველზე, სურსათის უვნებლობის ერთიანი სამსახური შეიქმნება, რომელიც მცენარეთა დაცვის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და სასურსათო უვნებლობის მიმართულებით იმუშავებს. სამსახურზე ზედამხედველობას სურსათის უვნებლობის საბჭო განახორციელებს, რომელიც სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის სამინისტროების ექსპერტებით დაკომპლექტდება. კანონპროექტის შემუშავებაში ქართულ მხარეს ლატვიელი ექსპერტები დაეხმარებიან.*

დიანა ჩაჩუა

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ლატვიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი დაიცე ლაუკაუასი და სურსათისა და ვეტერინარიის დეპარტამენტის გენერალური დირექტორი ვინეტს ველდრესი მიიღო.

შეხვედრაში მონაწილეობდა ასევე, აშშ-ს საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენელი დონალდ ვან ატასი, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესტრუქტურიზაციისა და სტრატეგიის რეკომენდაციებზე მუშაობს.

დაიცე ლაუკაუასის თქმით, სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის სფეროების გარდა, ლატვია მზად არის, ქართულ მხარესთან ერთად თანამშრომლობის გაღრმავების სამომავლო პერსპექტივები განიხილოს. სწორედ ამ მიზნით საქართველო-ლატვიას შორის ყოველმხრივი სამომავლო თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო-ხელშეკრულება გაფორმდება.

როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, საქართველოში სურსათის მდგომარეობა, უვნებლობის თვალსაზრისით, არადამაკმაყოფილებელია და როგორც მომხმარებელთა, ისე მეწარმეთა დაცვას ვერ უზრუნველყოფს. სწორედ ამიტომ, სისტემის მოდერნიზაციის პირველ ეტაპზე აუცილებელია სათანადო კანონის შემუშავება.

ბურჯანაძის თქმით, სურსათის უვნებლობის სხვადასხვა მოდელთა შორის საქართველოსათვის ყველაზე მისაღები ლატვიაში განხორციელებული რეფორმის გამოცდილებაა. **"საქართველოს პარლამენტი უკვე მუშაობს პროექტზე სურსათის უვნებლობის შესახებ, რომელიც ე.წ. ლატვიური მოდელის მიხედვით შეიქმნა და უვნებლობის რეგულაციის შესახებ ევროკავშირის 2002 წლის 178-ე რეზოლუციას ეყრდობა. პროექტის ძირითადი იდეაა მაქსიმალური უსაფრთხოება სურსათის წარმოების ყველა ეტაპზე,"** - განაცხადა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, საქართველოს მთავრობამ ბოლო სხდომაზე რამდენიმე ამ სახის კანონპროექტი განიხილა, თუმცა ისინი სურსათის უვნებლობის შესახებ კანონპროექტთან შინაარსობრივ წინააღმდეგობაში მოდიან.

ნინო ბურჯანაძემ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციისაკენ მიისწრაფვის. **"მართალია, დღეს საქართველო ჩართულია მხოლოდ ევროკავშირის ახალ სამეზობლო პოლიტიკაში, თუმცა უახლოეს პერიოდში ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ინტეგრირება რეალური პერსპექტივაა,"** - განაცხადა ბურჯანაძემ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ლატვიურმა დელეგაციამ შეხვედრები სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მთავრობაშიც გამართა.

# ნოღაიდელი მოქმედ საწარმოთა "დატვირთვას" ითხოვს

*საქართველოს მთავრობა კვირაში ორჯერ თათბირს დაეჩვია. გუშინ საქართველოს პრემიერმა მთავრობის სხდომა იმისთვის შეკრიბა, რომ ოთხშაბათს ნათქვამი - საქართველოში ინვესტიციების მოზიდვისთვის და ბიზნესის განვითარებისთვის მეტისმეტად ხელსაყრელ გარემოს შევქმნითო, სხვა მიმართულებით განევრცო.*

თამარ ივანიძე

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი უკვე მოქმედი საწარმოების მაქსიმალურად დატვირთვას მოითხოვდა.

ეს მოთხოვნა მას შემდეგ გაჟღერდა, რაც ზურაბ ნოღაიდელმა ხუთშაბათს შიდა ქართლის საწარმოები მოინახულა და, მეტი რომ არ ვთქვათ, არასახარბიელო მდგომარეობა იხილა.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ზურაბ ნოღაიდელმა რეგიონების რწმუნებულებს და გამგებლებს დაავალა, შეისწავლონ მოქმედი საწარმოები, მათი წარმადობა და ხელი შეუწყონ ამ საწარმოების სრულ დატვირთვას.

**"შიდა ქართლში ყოფნისას მივხვდი, რომ ჩვენ პრიორიტეტი, რომელიც ბიზნესის ამუშავებასა და სამუშაო ადგილების შექმნას ითვალისწინებს, სწორად გვაქვს არჩეული. შიდა ქართლში არსებული საწარმოები მხოლოდ 20-30 პროცენტითაა დატვირთული. მოვუწოდებ სათანადო სამინისტროების ხელმძღვანელებს, ხელი შეუწყონ საწარმოების სრულ დატვირთვას,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

გაცხადებული მიზნის მიუხედავად, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, კონკრეტულად რა ზომებს მიიღებს ხელისუფლება იმისათვის, რომ სიმძლავრის 20-30 პროცენტით მომუშავე საწარმოები აამოქმედოს. გაცხადებული სახელისუფლებო პოლიტიკის თანახმად, ამისთვის მთავრობა ნებართვა-ლიცენზიებისა და მაკონტროლებელთა მაქსიმალურ შეზღუდვას, ელექტროპრობლემებისა და კომუნიკაციების მოწესრიგებას გეგმავს, თუმცა, ჯერჯერობით, ყველაფერი ეს ისეთივე "ზოგად დავალებად" რჩება, როგორც გუშინ სამინისტროებისთვის გაცემული "საწარმოების ხელშეწყობის" დავალება გახლდათ.

# საქართველოში საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო შეიქმნება

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ახალი თავმჯდომარე პარლამენტის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურების მუშაობით დაინტერესდა. როგორც ჟურნალისტებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ განუცხადა, მაისის თვეში კომიტეტი საბაჟო და საგადასახადო სამსახურების, კონტროლის პალატისა და სტატისტიკის დეპარტამენტის 2004 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშების მოსმენას გეგმავს. კომიტეტი, აგრეთვე, დაინტერესდება ამ სამსახურებში მიმდინარე რეფორმებით.

უახლოეს მომავალში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში დაგეგმილია საქართველოს ეროვნული ბანკის 2004 წლის საქმიანობის ანგარიშის მოსმენაც. ეროვნული ბანკის საქმიანობის ანგარიშს კომიტეტი მთავრობის მიერ წარმოდგენილ 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად განიხილავს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი საქართველოში საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს შექმნის საკითხის განხილვასაც უახლოეს პერიოდში დაიწყებს. როგორც ჟურნალისტებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ განუცხადა, უკვე მომზადებულია კანონპროექტი "საქართველოში საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს შექმნის შესახებ." **"აღნიშნულ პროექტს კომიტეტი საქართველოს ეროვნულ ბანკთან და საბანკო ასოციაციასთან ერთად განიხილავს. განხილვაში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებენ უცხოური დონორი ორგანიზაციებიდან მოწვეული სპეციალისტები, რომლებიც პროექტს მხარს უჭერენ,"** - განაცხადა კოვზანაძემ.



*კოვზანაძე ახალ პოსტზე აქტიურ მუშაობას იწყებს.*

მისი თქმით, ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საბანკო დეპოზიტების დაზღვევა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ამიტომ იგი უახლოეს მომავალში საქართველოშიც უნდა დაინერგოს.

*24 საათი*

# პარლამენტში 2004 წლის ბიუჯეტის შესრულებას განიხილავენ

*მთავრობა პარლამენტს 2004 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს აბარებს. გუშინ 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ მთავრობის მიერ მომზადებული ანგარიში პარლამენტის თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტმა მოისმინა.*

როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გობეჯიშვილმა განაცხადა, კონსტიტუციის მოთხოვნათა დაცვით მთავრობამ პარლამენტს 2004 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები წარუდგინა.

**"2004 წელი ერთადერთი წელია, როდესაც ზედმეტად მობილიზებული თანხების გამო, ბიუჯეტი ორჯერ გაიზარდა. შარშან დამატებით 330 მლნ. ლარის მობილიზება განხორციელდა,"** - აღნიშნა მან.

გობეჯიშვილის თქმით, 2004 წელს მთავრობამ დასახული პრიორიტეტები სრულად შეასრულა. კერძოდ, დაფინანსდა დავალიანებები, გაიზარდა თავდაცვისა და სამართალდამცველი სტრუქტურებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა.

**"ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტებიდან დავალიანების დასაფარად 255 მლნ. ლარი დაიხარჯა. სრულად იქნა გასტუმრებული განათლების სფეროში არსებული დავალიანებები. სამჯერ გაიზარდა სამართალდამცველი და თავდაცვის სტრუქტურების ხარჯები. საბიუჯეტო ორგანიზაციების ნახევარს მინიმალური ხელფასის ოდენობა 115 ლარამდე გაეზარდა,"** - აღნიშნა მან.

კომიტეტის წევრებს მთავრობასთან შეკითხვები არ გასჩენიათ. როგორც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე შალამბერიძემ განაცხადა, კომიტეტის დასკვნა 2004 წლის მთავრობის საქმიანობასთან დაკავშირებით დადებითი იქნება. შალამბერიძემ მთავრობას შარშან გაწეული საქმიანობისათვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ **"ეს მადლობა ავანსია 2005 წლისათვის. იმედი მაქვს, 2005 წლის ბიუჯეტსაც ისევე წარმატებით შეასრულებთ, როგორც ეს შარშან მოხდა,"** - დასძინა მან.

*24 საათი*

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი Center of Economic Corruption Monitoring | The Eurasia Foundation Georgia Office

*ენერგოსექტორის მონიტორინგი*

# ენერგოკრიზისის დაძლევას რეალისტური მიდგომები სჭირდება

*"24 საათმა" გამოაქვეყნა მასალა ("თბილგაზის" ყოფილი გენერალური დირექტორის დავით მორჩილაძის ინტერვიუ), რომელიც ენერგეტიკული კრიზისის დაძლევისა და, პირველ რიგში, თბილისის თბომომარაგების პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიებას მიეძღვნა. მისასალმებელია ბიზნესმენისა და მენეჯერის ინიციატივა, რაც "თბილგაზში" ენერგეტიკის პრობლემებზე დისკუსიის ორგანიზაციაში გამოიხატა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ არასაკმარისად შეჯერებული აღმოჩნდა დისკუსიის შედეგად საზოგადოების წინაშე გამოტანილი საინვესტიციო წინადადება, რაც შემოთავაზებული ტექნოლოგიის (ე.წ. კოგენერაციის, ანუ ელექტროენერგიისა და სითბოს კომბინირებული გამომუშავების) ჩვენს პირობებთან შეთავსების სიძნელეებს უკავშირდება.*

ირაკლი შეყრილაძე
პროფესორი, ექსპერტი

არსებული გამოცდილების თანახმად, კოგენერაციის გამოყენებას ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტი მაშინ მოაქვს, როცა გათბობის სეზონი საკმარისად ხანგრძლივია, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება ქვეყანაში, ძირითადად, ორგანული სათბობის ბაზაზე ხდება. დამატებით, აუცილებელია მთელი წლის მანძილზე დანადგარების სრული სიმძლავრით მუშაობისა და გამომუშავებული ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების მიერ უწყვეტი შესყიდვის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, კოგენერაციული ტექნოლოგია საკმარისად მაღალი კაპიტალტევადობით და ექსპლუატაციის სირთულით გამოირჩევა.

წინამდებარე წერილის ავტორს ბოლო წლებში მოუხდა კოგენერაციის პრობლემებზე საერთაშორისო ენერგეტიკულ ქარტიაში გამართულ დისკუსიებში მონაწილეობა. იგივე პრობლემა განიხილებოდა მის მიერ დასავლეთის მოწინავე ქვეყნების ექსპერტებთან ერთად გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების (ლიტვა, ჩეხია) ენერგეტიკული პრობლემების ადგილზე შესწავლის დროს. პრაქტიკულად, ყველა შემთხვევაში, სწორედ ხსენებული მრავალმხრივი ხელშემწყობი პირობების ერთდროული უზრუნველყოფის სიძნელის გამო, კოგენერაციის პროგრესული ტექნოლოგიის გავრცელების ნელ ტემპებზე იყო საუბარი.

რაც შეეხება ქ. თბილისს, გათბობის სეზონი აქ არასაკმარისად ხანგრძლივია, სათბობის ბაზაზე ელექტროენერგიის გენერირების რეჟიმი კი ჩვენს ენერგოსისტემაში სეზონურია. ამის გამო, კოგენერაციული დანადგარების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის უწყვეტი შესყიდვის განხორციელებისათვის ჩვენ მოხმარებიდან თითქმის 7 თვის მანძილზე საქართველოს ჰესების მიერ გამომუშავებული ყველაზე იაფი და ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის ეკვივალენტური ნაწილის გამოდევნა მოგვიწევდა (პირდაპირი ეკონომიკური და ეკოლოგიური უკუეფექტით).

მოყვანილი გარემოებები ხელს უშლის თბილისის ენერგომომარაგებაში კოგენერაციის ფართო და ეფექტურ გამოყენებას, თუმცა ცალკეული პროექტების განხორციელება მაინც არის შესაძლებელი. მაგალითად, კოგენერაციის გამოყენებისათვის თითქმის იდეალურია ისეთი საწარმოები, რომელთა ტექნოლოგიური ციკლი მთელი წლის მანძილზე სითბოსა და ელექტროენერგიის უწყვეტი და თანაბარი მოხმარებით ხასიათდება.

რამდენადაც, გარდა თბომომარაგებისა, შემოთავაზებული პროექტი ქვეყანაში საბაზისო ელექტრული სიმძლავრეების პრობლემის გადაწყვეტასაც გვთავაზობს, ქვემოთ ამ მნიშვნელოვან ასპექტსაც უნდა შევეხოთ.

ენერგოსისტემის საბაზისო სიმძლავრე წლის ყველაზე დატვირთულ პერიოდში (საქართველოს შემთხვევაში - ზამთარში) სადღეღამისო ციკლის მინიმალური (ღამის საათების) მოთხოვნილებით განისაზღვრება. ამჟამად ჩვენს ენერგოსისტემაში ასეთი მოთხოვნილება 800-900 მვტ-ია (რამდენადაც ღამის მინიმალური მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება ყველაზე ადვილია, მოყვანილი დიაპაზონი საიმედოდ არის განსაზღვრული).

ჩვენს ენერგოსისტემაში საბაზისო სიმძლავრეები, ძირითადად, გარდაბანში განლაგებული 5 თბური ენერგობლოკით არის წარმოდგენილი 1050 მვტ ჯამური საპროექტო სიმძლავრით. ამჟამად ესენია: კომპანია "მტკვარი-ენერგეტიკის" 300 მვტ საპროექტო სიმძლავრის მეცხრე და მეათე და სახელმწიფო კომპანია "თბილსრესის" 150 მვტ საპროექტო სიმძლავრის მესამე, მეოთხე და მერვე ენერგობლოკები ("თბილსრესის" სხვა ენერგობლოკები მთლიანად ამორტიზებულია).

სისტემის საბაზისო სიმძლავრის ფორმირებაში გარკვეული წვლილი საქართველოს ჰიდროენერგეტიკასაც შეაქვს ჰესების ჯამური სიმძლავრის არარეგულირებადი ნაწილის სახით. სამწუხაროდ, როცა მოთხოვნილება მაქსიმალურია (ზამთრის სეზონში) ასეთი სიმძლავრე საკმარისად მოკრძალებულია (საპროექტო 250 მვტ). სამაგიეროდ, წყალუხვობის პერიოდში ჰესების საპროექტო ჯამური არარეგულირებადი სიმძლავრე (1200 მვტ და მეტი) შიგა მოთხოვნილებას მნიშვნელოვნად აჭარბებს და ელექტროენერგიის საექსპორტო პოტენციალის მთავარ მდგენელს წარმოადგენს.

გასული ზამთრის მწვავე კრიზისის ძირითადი მიზეზი არსებული ინფრასტრუქტურისა და სიმძლავრეთა დეგრადაცია გახდა. მართალია, ამ პროცესს სათავე უკვე ოთხმოციანი წლების ბოლოდან დაედო, მისი უკიდურესი გაღრმავება მაინც წინა ხელისუფლების აქტივში უნდა ჩაიწეროს. შედეგად წლევანდელ ზამთარში გარდაბანში მეტნაკლებად სტაბილურად მხოლოდ მეცხრე ენერგობლოკი ფუნქციონირებდა და ისიც, მხოლოდ 200 მვტ სიმძლავრეზე. პარალელურად, ჰესების ჯამური ბაზისური სიმძლავრე მხოლოდ 100 მვტ-ის რიგის იყო. დეფიციტის შევსებისათვის ხორციელდებოდა იმპორტი სომხეთიდან (მაქსიმუმ 150 მვტ) და რუსეთიდან (მაქსიმუმ 350 მვტ). ასეთ სიტუაციაში, როცა რუსეთიდან იმპორტი ჯამური საბაზისო სიმძლავრის თითქმის ნახევარს შეადგენდა, კავკასიონის გადამცემი ხაზის მწყობრიდან გამოსვლა ბუნებრივად ხდებოდა მწვავე კრიზისის მიზეზი.

2004 წლიდან ქვეყნის ენერგეტიკის მართვაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. დაიწყო არსებულ სიმძლავრეთა რეაბილიტაციის მანამდე მთლიანად უგულებელყოფილი პრიორიტეტის რეალიზაცია.

რამდენადაც ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაში ახლად აშენებულ სიმძლავრეზე ელექტროენერგიის გამომუშავების ღირებულება, ძირითადად, საინვესტიციო მდგენელით განისაზღვრება, ეკონომიკური ეფექტურობისა და განხორციელების ვადების თვალსაზრისით არსებული სიმძლავრეების რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის ღონიძიებებს რეალური ალტერნატივა არ გააჩნია (ამის მკაფიო მაგალითია ახლად აშენებული ხადორჰესის უკიდურესად დაბალი კონკურენტუნარიანობა).

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თბურ ენერგობლოკებს ჩვენს ენერგოსისტემაში მხოლოდ სეზონური დატვირთვა აქვთ და ეს კიდევ 4-5 წელი მაინც გაგრძელდება. ბოლო გარემოება რეაბილიტირებულ კილოვატ სიმძლავრეზე ხვედრითი ინვესტიციის მინიმალურობას უახლოესი წლების დაგეგმვისას განმსაზღვრელი ფაქტორის როლს ანიჭებს.

ხსენებული ფაქტორიდან გამომდინარე, უახლოესი 4-5 წლის მანძილზე, პირველ რიგში, საჭიროა თბილსრესის ენერგობლოკების სტაბილური სეზონური ფუნქციონირების უზრუნველყოფა (თითოეულის 130 მვტ-მდე სიმძლავრეზე), ამისათვის მოძველებულ ენერგობლოკებზე ყოველწლიური სეზონური სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება იქნება საჭირო (5 წლის მანძილზე ჯამურად დაახლოებით 50-60 აშშ დოლარის ინვესტირებით მოქმედ კილოვატ სიმძლავრეზე). ძველი ენერგობლოკების ამოქმედება მეზობელ ენერგოსისტემებთან პარალელური მუშაობისა და მოქმედი მეცხრე ენერგობლოკის საპროექტო 300 მვტ სიმძლავრეზე აყვანის პირობებს შექმნის, რაც გარდაბანში მოქმედი ჯამური სიმძლავრის მაქსიმუმის 700 მვტ-ზე აყვანის საშუალებას მოგვცემს.

პარალელურად, საპროექტო 250 მვტ-ს მიაღწევს რეაბილიტირებული ჰესების მინიმალური (ზამთრის) ჯამური არარეგულირებადი სიმძლავრე, რაც ენერგოსისტემის ზამთრის ჯამურ საბაზისო პოტენციალს 1000 მვტ-ს მიუახლოებს.

გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში რეაბილიტირებული ჰიდროენერგეტიკა ზამთრის სეზონში დამატებით თავისუფლად უზრუნველყოფს მეზობელი ენერგოსისტემებიდან მინიმუმ 200-300 მვტ ბაზისური სიმძლავრის იმპორტირებას ჰესების ზაფხულის ჭარბი გამომუშავების ექსპორტის ან ზამთრის პიკური გამომუშავების ნაწილის საბაზო გამომუშავებაზე გაცვლის ხარჯზე (გაცემული დეფიციტური პიკური ენერგიის სანაცვლოდ, 2-3-ჯერ მეტი ბაზისური ენერგიის მიღებით).

შედეგად, 1200 მვტ-ზე მეტი ჯამური ბაზისური პოტენციალი მნიშვნელოვანი მარაგით გადაფარავს საბაზისო სიმძლავრეზე ამჟამინდელ და მომავალი 5 წლის მანძილზე შესაძლო მოთხოვნილებას, რაც, თავის მხრივ, თბილსრესის ერთ-ერთი ენერგობლოკის რეზერვში დაყენების საშუალებას შექმნის.

საბაზისო სიმძლავრეების უზრუნველყოფის ასეთი ვარიანტი დროის 4-5 წლიან ფანჯარას შექმნის მეათე ენერგობლოკის ბაზაზე მაღალი (50 პროცენტზე მეტი) მარგი ქმედების კოეფიციენტიანი 600 მვტ-იანი კომბინირებული ციკლის დანადგარის შექმნისათვის, რაც 150-180 მილიონი დოლარი დაჯდება (საქართველოს ენერგეტიკული კანონმდებლობის თანახმად, ენერგოწარმოების ეფექტიანობის ამაღლების სატარიფო სტიმულირების შესაძლებლობიდან გამომდინარე, მეათე ენერგობლოკის მფლობელის ასეთი გაფართოება-მოდერნიზაციით დაინტერესება სრულიად რეალურია).

მოდერნიზებული ენერგობლოკი ენერგობალანსიდან გამოდევნის "თბილსრესის" დაბალი ეფექტურობის მქონე ენერგობლოკებს და დამატებით მორიგ 4-5 წლიან ფანჯარას შექმნის "თბილსრესის" ინფრასტრუქტურის ბაზაზე ახალი ეფექტური სიმძლავრეების შექმნისათვის (რაც, თავის მხრივ, დანახარჯებს იმავე სიმძლავრის სადგურის სხვა მოედანზე მშენებლობასთან შედარებით დაახლოებით მესამედით შეამცირებს).

ამგვარად, მთლიანობაში ბაზისური ელექტროენერგიის პრობლემა მინიმალური დანახარჯებით გარდაბანში არსებულ სიმძლავრეთა რეაბილიტაცია-მოდერნიზაციისა და უფრო მოგვიანებით არსებული ინფრასტრუქტურის ბაზაზე სიმძლავრეების განახლება-გაფართოების გზით წყდება. არ ვლინდება უახლოესი 10-15 წლის მანძილზე ახალ მოედანზე საბაზისო სიმძლავრეთა მშენებლობის ეკონომიკური მიზანშეწონილობა და, შესაბამისად, არც შემოთავაზებული საინვესტიციო წინადადების ფარგლებში ამ საკითხის განხილვაა აქტუალური.

# სახალხო დამცველი დამნაშავე პოლიციელების დასჯას მოითხოვს

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

სამართალდამცავ უწყებებში ადამიანის უფლებების შელახვა ძველებურად პოპულარულია. რეფორმებისა და რეორგანიზაციის მიუხედავად, ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელი რჩება.

**"ბოლო დროს ძალიან გახშირდა დაკავებულ პირებთან ადვოკატების არშეშვების ფაქტები. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ყოველდღიურად ვაწვდით ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს ომბუდსმენს შოთა ხიზანიშვილს. მიუხედავად ამისა, ამგვარმა შემთხვევებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. ამაზე რეაგირება უნდა მოახდინოს პროკურატურამ და თვითონ შინაგან საქმეთა სამინისტრომ",** - აცხადებს სახალხო დამცველის რწმუნებული იმერეთში გიორგი მშვენიერაძე "24 საათთან" საუბარში.

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა გუშინ რეკომენდაციით მიმართა პროკურატურას ქუთაისის პოლიციის მე-5 განყოფილების ვაკისუბნის ქვეგანყოფილების თანამშრომლების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე. საქმე აღნიშნული პოლიციელების მიერ არასრულწლოვანი გოგონას უკანონოდ დაკავების ფაქტს ეხება. არასრულწლოვანი ნათია ხურციძე ქუთაისის პოლიციის N5 განყოფილების ვაკისუბნის ქვეგანყოფილებაში საპატრულო პოლიციის მანქანით მიმდინარე წლის 14 მარტს, დაახლოებით, 17:00 საათზე მიიყვანეს. პოლიციის განყოფილებაში ჩატარდა მისი პირადი ჩხრეკა. გარდა ამისა, პოლიციამ იმავე დღეს გაჩხრიკა მისი საცხოვრებელი ბინა. ნათია ხურციძე პოლიციის ქვეგანყოფილებაში, დაახლოებით, ექვსი საათის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებული.

**"არსებული დოკუმენტებით, ნათია ხურციძე ექვმიტანილი არ არის დანაშაულის ჩადენაში, რადგან არ არსებობს ექვმიტანილად ცნობის დადგენილება და არ იყო დაკავებული (არ არსებობს დაკავების ოქმი); შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რა საფუძვლით ჩაუტარდა მას პირადი ჩხრეკა? ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებთან",** - აცხადებს გიორგი მშვენიერაძე.



სახალხო დამცველის რწმუნებული იმერეთში გიორგი მშვენიერაძე პოლიციელთა დარღვევებზე საუბრობს.

მას შემდეგ, რაც პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა ნათია ხურციძის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ მიიღეს, მოხდა მისი გათავისუფლება ხელწერილის საფუძველზე, რომლის მიხედვით, ნათია ხურციძეს ქალაქის დატოვება ეკრძალება, პოლიციის მე-5 განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორის მზია სირაძის თანხმობის გარეშე.

**"ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ არის ბრალდებულის წერილობითი ვალდებულება, რომელსაც იგი აძლევს სასამართლოს იმის შესახებ, რომ არ დაემალება გამოძიებას, სასამართლოს და ა.შ. ეს უფლებამოსილება მხოლოდ სასამართლოს აქვს, და არა - პოლიციის განყოფილების ინსპექტორს, რითაც კიდევ ერთხელ იკვეთება, უკეთეს შემთხვევაში, პოლიციელთა არაპროფესიონალიზმი და კანონის არცოდნა",** - აღნიშნავს სახალხო დამცველის რწმუნებული.

სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, ქუთაისის პროკურატურაში ნათია ხურციძის უკანონო დაკავებასთან დაკავშირებით მოკვლევა დაწყებული არ არის. ქუთაისის რაიონული პროკურორი ჯუმბერ ღლაძე სატელეფონო საუბარში აცხადებს, რომ აღნიშნული ფაქტისა და ომბუდსმენის რეკომენდაციის თაობაზე ინფორმირებული არ არის.

# საბჭოთა პასპორტებით სარგებლობის ვადა ერთი თვით გახანგრძლივდა

როგორც იუსტიციის სამინისტროში კარგა ხნის წინ განაცხადეს, საბჭოთა სიმბოლიკიანი პასპორტების მოქმედების ვადა 1 მაისს უნდა ამოწურულიყო. თუმცა, იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებითვე, გუშინ ცნობილი გახდა, რომ მათ, ვისაც ჯერ კიდევ ძველი საბჭოთა პასპორტი აქვს, მისი გამოყენება 1 ივლისამდე შეეძლებათ. ერთი სიტყვით, საბჭოთა სიმბოლიკიანი პასპორტის მოქმედება 1 ივლისამდე გახანგრძლივდა.

**"საბჭოთა სიმბოლიკიანი პასპორტები, ძირითადად, პენსიონერებს აქვთ. სამინისტრო, მათთვის ხელშეწყობის მიზნით, დოკუმენტის მოქმედების ვადას კიდევ 2 თვით ახანგრძლივებს",** - აცხადებს იუსტიციის მინისტრის მოადგილე კონსტანტინე კემულარია. მისივე თქმით, სამინისტრო გააადვილებს პირადობის მოწმობის აღების წესს და მოქალაქეთა რეგისტრაციის დამატებით პუნქტებსაც გახსნის.

საქართველოში ამ დროისათვის 850 ათასამდე პენსიონერია რეგისტრირებული; მათ უმრავლესობას პირადობის მოწმობები არ გააჩნია.

როგორც იუსტიციის სამინისტროში განმარტავენ, პენსიონერები და სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენლები უახლოეს მომავალში დახმარებებს ვერ მიიღებენ, თუ მათ საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი მოწმობები არ ექნებათ.

იუსტიციის სამინისტროში გუშინ პასპორტებისა და პირადობის მოწმობების გაცემის წესთან დაკავშირებული ვიდეორგოლების პრეზენტაცია გაიმართა.

როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილე განმარტავს, სისტემაში კორუფციის მაქსიმალურად აღმოფხვრის მიზნით, სამინისტრომ ვიდეორგოლები დაამზადა, რომელშიც ზუსტად არის ასახული პასპორტის გაცემის ვადები და წესები. მოქალაქეთა რეგისტრაციის ბიუროები ვალდებულები არიან, მოქალაქეებს პასპორტები და პირადობის მოწმობები განაცხადის შეტანიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში დაუმზადონ.




პრესკონფერენცია იუსტიციის სამინისტროში.

შეგახსენებთ, რომ ადრე პასპორტების გაცემის ვადა ერთი თვე იყო.

შეგახსენებთ იმასაც, რომ პასპორტის მისაღებად პირადობის მოწმობა, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, განაცხადი და ორი ფოტოსურათია საჭირო. პასპორტის მისაღებად ბაჟის ღირებულება 35 ლარია, ხოლო პირადობის მოწმობის მისაღებად - 2,50 ლარი. იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, რომ დაუშვებელია სხვა დამატებითი ხარჯების გადახდა და საპასპორტო ბიუროების თანამშრომელთა მხრიდან დოკუმენტის გაცემის გაჭიანურება.

**" საქართველოს ახალი სახელმწიფო სიმბოლიკის მქონე პასპორტები მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან შევა ბრუნვაში. ახალ პასპორტებს, ძველთან შედარებით, მეტი დამცავი მექანიზმი და დახვეწილი დიზაინი ექნებათ. ამ დრომდე გაცემული პასპორტები მათი ვადის ამოწურვამდე იმოქმედებს" ,** - აცხადებს იუსტიციის მინისტრის მოადგილე. მისივე თქმით, საქართველოს მოქალაქეების რეგისტრაციის გაუმჯობესების მიზნით, იუსტიციის სამინისტრო სამომავლოდ პირადობის მოწმობებზე სახელმწიფო ბაჟის მოხსნასაც გეგმავს. დღეისათვის მოწმობის მიღება 2,50 ლარი ღირს. ბოლო 4 თვეში საქართველოში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 4-ჯერ მეტი პირადობის მოწმობა გაიცა.

*24 საათი*

# პოლიციელს უმძიმეს დანაშაულებში ედება ბრალი

თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა წალენჯიხის შს განყოფილების ჯვრის ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი, 30 წლის მამუკა ქარდავა დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, ქარდავა ამჟამად დაკავებულ ირაკლი ოჩიგავასთან, ემზარ კოხიასთან და გრიგოლ მატკავასთან ერთად 2004 წლიდან ექვმიტანილია სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენაში: მკვლელობებში, ყაჩაღობებში, ავტომანქანების გატაცებაში და მოქალაქეების მძევლად აყვანაში. აღნიშნული ჯგუფის წევრები განსაკუთრებული ცინიზმითა და აგრესიულობით მოქმედებდნენ.

როგორც შს სამინისტროში განმარტავენ, 8 მარტს ირაკლი ოჩიგავა მეტროს სადგურ "300 არაგველის" მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც მგზავრი, ტაქსში ჩაუჯდა ნოდარ ბერიკაშვილს. მას მეტროს სადგურ "ახმეტელთან" კოხია და მატკავა ელოდნენ, რომლებმაც, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, მძღოლი უკანა სავარძელზე გადასვეს, ხელბორკილები დაადეს და გლდანში, სასტუმრო "ბახტრიონთან" მდებარე შპს "შადრევანის" მიმდებარე ტერიტორიაზე მიიყვანეს. მძღოლი წინააღმდეგობის გაწევას შეეცადა, ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა კი ის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს. მათ ცხედარი ერთ-ერთ მიტოვებულ შენობაში გადამალეს, გატაცებული ავტომანქანა "ოპელ ვექტრა" კი სამეგრელოში, დაბა ჯვარში ჩაიყვანეს; შემდეგ, პოლიციის თანამშრომლის ქარდავას ხელშეწყობით, გალის რაიონში გადაიყვანეს და გაყიდეს.

ქარდავას დაკავების დროს ამოღებულია ბერიკაშვილის კუთვნილი მობილური ტელეფონი; ტარდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები დაჯგუფების დანარჩენი წევრების ვინაობის დასადგენად და დასაკავებლად.

*ინტერ-პრესი*

## მოკლედ

### რაიონული პროკურატურის დარღვევებს გენპროკურატურა გამოიძიებს

ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურაში არსებულ კანონდარღვევაზე სისხლის სამართლის საქმე გენერალურ პროკურატურაში აღიძრა.

ამის შესახებ დღეს ქალაქის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა და გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსმა მალხაზ ღუღუნიშვილმა ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს.

საქმე ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურის მიერ საგამოძიებო ვადების დარღვევას ეხება. როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, 2001 წლიდან საქართველოს მოქალაქე ანდრეი ლოშჩინინი ვალერი პლიევის განზრახ მკვლელობის გამო იძებნებოდა. 2003 წელს ლოშჩინინი რუსეთის ფედერაციაში ნარკოტიკების მოხმარების ბრალდების საფუძველზე დააკავეს, სადაც მან სასჯელი მოიხადა. 2004 წელს ლოშჩინინის საქართველოში ექსტრადიცია განხორციელდა და იგი თბილისის N1 საპყრობილეში გადაიყვანეს.

როგორც ღვინიაშვილმა განაცხადა, ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურას რამდენიმე თვის განმავლობაში ლოშჩინინის მიმართ საგამოძიებო ვადები არ გაუგრძელებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ლოშჩინინი უკანონო პატიმარი იყო. აღნიშნული ფაქტი ქალაქის პროკურატურისთვის ახლახან გახდა ცნობილი. როგორც პრესკონფერენციაზე განმარტეს, ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და, როგორც კი პასუხისმგებელი პირები გამოიკვეთებიან, ყველა კანონის სიმკაცრით დაისჯება. გუშინვე ისანი-სამგორის რაიონის სასამართლოში ქალაქის პროკურატურის წარმომადგენელმა განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ლოშჩინინისათვის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობა წარადგინა. ლოშჩინინს, სავარაუდოდ, პოლიციის ზედამხედველობას შეუფარდებენ.

*ინტერ-პრესი*

### ადამიანის უფლებათა დამცველები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს დაუპირისპირდნენ

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი და არასამთავრობო ორგანიზაციები გუშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს შოთა კოპაძეს დაუპირისპირდნენ. როგორც კომიტეტის სხდომაზე სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენის შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა, **"დღეს ციხეებში იმაზე უარესი მდგომარეობაა შემქნილი, ვიდრე შევარდნაძისა და თარგამაძის პერიოდში იყო". "ციხეებში "ობშიაკის" "სტავკები" გაიზარდა და 100 ლარი გახდა, ციხის კარგ კამერაში მოხვედრა 500 ლარიდან 500 დოლარამდე ღირს, ციხის საავადმყოფოში გადაყვანა კი პატიმარს 500 დოლარზე მეტი უჯდება. კატასტროფული მდგომარეობაა ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებითაც. "პერედაჩებით" ციხეებში უდიდესი რაოდენობის ნარკოტიკი შეედინება"**, - აღნიშნა მან.

გუშინ შოთა კოპაძის მისამართით მწვავე განცხადებები გააკეთა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემაც: **"სანამ კოპაძე სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ხელმძღვანელობს, ციხეებში არაფერი გამოსწორდება. კოპაძეს ციხეების უფროსებად მისი შვილის მეგობრები ჰყავს დანიშნული"**.

ამასთან, თუთბერიძის მტკიცებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის საკითხთან დაკავშირებით ის თავის დროზე იუსტიციის ყოფილ მინისტრს გიორგი პაპუაშვილსაც ესაუბრა, თუმცა მან დასმულ პრობლემურ საკითხებზე პასუხი არ გასცა. თუთბერიძეს "სერიოზულად აინტერესებს", ვინ მფარველობს შოთა კოპაძეს. ამასთან, მისი განცხადებით, **"არც პრეზიდენტს გააჩნია პასუხი კითხვებზე, რომლებიც შოთა კოპაძესთან დაკავშირებით ისმება". "მესმის, რომ მის მიმართ პრეზიდენტს მადლიერების გრძობა აქვს, რადგან მას სერიოზული წვლილი მიუძღვის მის გაპრეზიდენტებაში, მაგრამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს"**, - დასძინა მან.

*ინტერ-პრესი*

### მერაბ ჟორდანია წინასწარ სამთვიან პატიმრობაში რჩება

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია კვლავ წინასწარ სამთვიან პატიმრობაში რჩება. გუშინ სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჟორდანიას ადვოკატ შალვა შავგულიძის სარჩელი, რომელიც აღკვეთის ღონისძიების სხვა არასაპატიმრო ფორმით შეცვლას მოითხოვდა. თავად მერაბ ჟორდანია პროცესს არ დასწრებია. როგორც პროცესის დასრულების შემდეგ შავგულიძემ განაცხადა, მოსამართლემ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ დატოვა ჟორდანია წინასწარ პატიმრობაში. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თბილისის საოლქო სასამართლოში წარდგენილი იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრების წერილობითი შუამდგომლობა, რათა ჟორდანიას მიმართ გამოყენებული აღმკვეთი ღონისძიება - პატიმრობა, მათი თავდებობით შეცვლილიყო. როგორც შავგულიძემ განაცხადა, აღმასკომის წევრები საკუთარ თავზე იღებდნენ პასუხისმგებლობას, რომ თავისუფლებაში მყოფი ჟორდანია ხელს არ შეუშლიდა საქმის გამოძიებას.

როგორც ცნობილია, მერაბ ჟორდანია 7 აპრილს, ფინანსური პოლიციიის ბრალდების საფუძველზე დააკავეს. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 182-ე მუხლის მესამე ნაწილით არის აღძრული, რაც სხვისი ქონების უკანონოდ მითვისებასა და გაფლანგვას გულისხმობს.

*ინტერ-პრესი*

### პროკურატურის სისტემის ყველაზე მასშტაბური სწავლება დასრულდა

ბრიტანეთის საბჭოს მიერ ორგანიზებულ სასაწავლო პროექტში 750-მდე პროკურორმა მიიღო მონაწილეობა. პროექტის დასრულებას კი გუშინ გენერალურ პროკურატურაში სპეციალური პრესკონფერენცია მიეძღვნა, რომელსაც საქართველოს გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი ტორბენ ჰოლცე და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ.

პროკურატურის რეფორმის პროექტი, რომელიც ევროკავშირის პროგრამა "ტასისის" დაფინანსებით განხორციელდა, 2004 წლის აპრილში დაიწყო და მიმდინარე წლის 5 აპირლს დასრულდა. ამ დროის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით 14 სასწავლო კურსი ჩატარდა. პროკურორებმა გაიარეს სწავლება შემდეგ საკითხებში: ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ევროპის კონვენცია, ეთიკის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებები და შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული სამართალწარმოება.

პროექტის მიზანს წარმოადგენდა - პროკურატურაში წარმოებულ საქმეთა მართვის გაუმჯობესება, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების დანერგვა, ადმინისტრაციული სტრუქტურების გაუმჯობესება და თანამშრომელთა პროფესიონალიზმის ამაღლება.

ზურაბ ადეიშვილის შეფასებით, რეფორმის პროექტი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო იმისთვის, რომ საქართველოში დანაშაულთან ბრძოლა ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე არ წარიმართოს.

*ინტერ-პრესი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი.................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.................................................

საკონტაქტო ტელეფონი .................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე:
0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# დაუსრულებელი აბზაცები...

*სამშობლოს არავისთვის სცალია... ჩვენ უნდა გვეცალოს მისთვის...*
*სამშობლო არავის მომფერებელი არ არის, მასზე ჩვენ უნდა ვიზრუნოთ და ველოლიავოთ...*
*სამშობლოს არავინ ვჭირდებით... გვჭირდება ჩვენ, რომ ღირსება ბოლომდე შეგვრჩეს...*
*სამშობლოს ვალი არავისი აქვს... ჩვენ გვაქვს მისი მუდმივი ვალი - მუდარის გარეშე ცივ და მდუმარე უკუნეთიდან ქართველებად რომ გამოგვიხმო, აგვინთო მზე, ვარსკვლავებით მოგვიქარგა ღამეული ცა და გვაგრძნობინა საკუთარი მიწის გამაოგნებელი სურნელი...*
*სამშობლო უსაზღვროდ დიდსულოვანია - ყველას გვაძლევს უფლებას, მისთვის დავიწვათ და დავიდაგოთ და ამით, და მხოლოდ ამით, გავამართლოთ ღვთის წინაშე ჩვენი ცოდვილი წუთისოფელი...*



სანდრო მამასახლისი

...ხალხის ქებათა-ქება, მისი სამართლიანობისა და სიბრძნის აბსოლუტიზაცია ბოლშევიკების უმთავრესი არგუმენტი იყო...

ტაძრებსა და სალოცავებს ხალხის სახელით ანგრევდნენ, ხოცავდნენ ნამუსით დამშვენებულ ვაჟკაცებს, ძარცვავდნენ ქვეყანას და საბოლოო ჯამში, ხალხის სახელით ხალხსავე ანადგურებდნენ...

ბოლშევიკურ ჯოჯოხეთში გამომწყვდეულმა ხალხმა თანდათან ფერი იცვალა, სულიერება დაკარგა და ამორფულ, უსახო ე.წ. საბჭოთა მოსახლეობად გადაიქცა...

სოფელში ერთი ნამუსიანი კაციც საკმარისია, რომ დანარჩენებმა თავის თავს ხალხი უწოდონ, მაგრამ მოხდა ისე, რომ არამცთუ ერთ პატარა სოფელში, მთელ საქართველოშიაც გაიშვიათდა წესიერი ადამიანი...

საბჭოურმა ცხოვრებამ, მუდმივმა სიდუხჭირემ, სულერთთავად ლუკმაზე ზრუნვამ, დროთა ვითარებაში წაშალა ხალხის თვითმყოფადობის ნიშნები, მისი ზნე და ჩვევა... სხვადასხვა კულტურისა და სულიერების ხალხების ერთ დიდ სახელმწიფოში თავმოყრამ გამოიწვია ცხოვრების წესის უნიფიკაცია - ბევრი მაღალცივილიზებული მცირე ერი იძულებული იყო, მრავალრიცხოვან ბარბაროსთა ნებას დამორჩილებოდა, დაევიწყებინა საუკუნეებში ჩამოყალიბებული ეთიკა, გაეუბრალოებინა სიცოცხლის არსი, გამხდარიყო ყველასავით თვინიერი, მშიშარა და ფლიდი...

■ ■ ■

ხალხისგან განსხვავებით, მოსახლეობა იოლად ეგუება უწესრიგობას, რომელიც მას ათავისუფლებს დამატებითი პასუხისმგებლობისაგან, თუ გააჩნია საკვები, სადგომი და სითბო, ლოიალურია ნებისმიერი რეჟიმისადმი, მას არც აწუხებს - შეუძლია წლობით უხელფასოდ ცხოვრება...

მოსახლეობის ქცევის ნორმა ისაზღვრება არა სამართლიანობის საფუძველზე, არამედ კონკრეტულ მომენტში არსებული ვითარებით...

კანონთა შორის ყველაზე მეტად იგი ეპუება სისხლის სამართლის კოდექსს, რომელიც მით უფრო მრისხანე და გარდუვალია, რამდენადაც დაბალი სოციალური ფენიდანაა ეჭვმიტანილი...

თუ დემოკრატიული საზოგადოებისათვის კანონთა შორის არსებული სივრცე შევსებულია ქცევის შემზღუდავი ეთიკური ხასიათის ნორმებით, საბჭოთა მოსახლეობისათვის აღნიშნული "სივრცე" სრულიად ცარიელია და წარმოადგენს დანაშაულებრივი ხასიათის იმპროვიზაციისათვის უფართოეს სარბიელს - გამოაშკარავების ხიფათი თუ მცირეა, საბჭოთა უმრავლესობა ჩაიდენს ნებისმიერ დანაშაულს... მას არ გააჩნია შინაგანი შემაკავებელი ძალა, სინდისის სიმძიმე, სირცხვილის განცდის უნარი... სურვილია მისი ქცევის უმთავრესი მოტივაციაც და გამამართლებელი საბუთიც...

■ ■ ■

საბჭოთა კავშირში ძირითადად ორი ბედის ადამიანები ცხოვრობდნენ - ჩვენ, ანუ მთელი მოსახლეობა და "პასუხისმგებელი მუშაკები", ანუ ცეკისტები... ჩვენ პასუხს არაფერზე ვაგებდით, ისინი ყველაფერზე... მახსოვს, ცეკაში ინსტრუქტორი ჰყავდათ... ფერწერის დარგში!

ადამიანის ცხოვრების ყველა კუთხე-კუნჭული ცეკისტების კონტროლს ექვემდებარებოდა, წარმოიდგინეთ, ცოლქმრული ურთიერთობაც არ რჩებოდათ ყურადღების გარეშე - პარტკომს შეეძლო პარტიის წევრი "ამხანაგი ქეთო" დაებარებინა და მკაცრად ეკითხა:

- აბა, პარტკომს მოახსენეთ, რატომ არ აძლევთ ქმარს და ესოდენ მოწინავე მუშაკს ანერვიულებთ, თქვენი გულისთვის კინაღამ გეგმა ჩააგდო...

წამითაც არ გაიფიქროთ, თითქოს ცეკისტები პასუხს ხალხის წინაშე აგებდნენ. თავის დროზე ხალხი ლენინმა "შეაფასა" და მას მასა უწოდა, ანუ ის, რასაც კანალიზაცია ემსახურება...

ცეკისტები "პირველს" ემორჩილებოდნენ და მხოლოდ მის წინაშე აგებდნენ პასუხს... ნომენკლატურის კრიალოსანს ცეკას პირველი მდივანი ატრიალებდა...

ბუნებრივია, ვინც პასუხისმგებელი იყო, იმისი იყო ქვეყნის ქონებაც... რევოლუციის დასაწყისში მხიარული ლოზუნგი - ქარხნები მუშებს, მიწები გლეხებს - სტალინს რატომღაც არ მოეწონა და ქვეყნის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ნომენკლატურას გადაულოცა...

და ის, რაც აშენდა სოციალიზმის სახელწოდებით, ზოგს რომ ეგონა, მართალია სახელმწიფო, მაგრამ კაპიტალიზმი მაინც არისო, სინამდვილეში პარტიული ოლიგარქიის ბიუროკრატიული აბსოლუტიზმი აღმოჩნდა... საკუთრების უსაფრთხოების მიზნით გამოიგონეს "ნომენკლატურა" - რომ უცხო პირს მათ "ოლიგარქიულ სივრცეში" ცხვირი არ შეეყო... რაოდენ სულელიც არ უნდა ყოფილიყო ნომენკლატურული მჭიდის წევრი, უფროსის, ანუ ქონებისა და უფლების განმკარგავის სავარძელი მას სიკვდილამდე გარანტირებული ჰქონდა...

■ ■ ■

როცა შრომის მეტი სხვა უფლება არ გაგაჩნია, ნაჯაფარი ფულით სურსათის შოვნა დაუსრულებელი რიგების გარეშე შეუძლებელია, ხოლო შინისკენ მიმავალს, დანჯღრეულ ავტობუსში მოპოვებული სკამი გაბედნიერებს და ეს ხდება წლობით. ბუნებრივია, ირღვევა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, არა მარტო საზოგადოების ცხოვრებაში, არამედ სულშიც, ადამიანის ფსიქიკაშიც...

■ ■ ■

უუფლებო მშრომელი მონაა!

მონის მთავარი ვნება, მთავარი განცდა მონისადმი სიძულვილია... მონისათვის მონაა ყველაზე მეტად აუტანელი და კრულვის საგანი, სწორედ მონაა მისი მწირი ლუკმის მუდმივი მოწილე, თბილი ადგილის მოქიშპე, მისი უბედურების მსურველი... რომ ისიც კი, რაც აბადია, მოსტაცოს...

... კიბო კლავდა კაცს... დუნიაზე მეზობლების გარდა არავინ ჰყავდა... საწყალ ხელოსანს არც ქონება ჰქონდა და არც რიგიანი სახლ-კარი, მაგრამ რაც ებადა, ისიც ეკარგებოდა. უძრავად მწოლიარე, თავად ხედავდა, როგორ გამოჰქონდათ მისი ავეჯი, ტანისამოსი, ჭურჭელი...

- ესტატე, არ გეწყინოს, მაინც აღარ დაგჭირდება...

გარდაცვალების დღეს ოსტატის სახლი პირწმინდად დაცლილი იყო. ეზოდან ძირგავარდნილი ვედროები და ტაშტებიც წაელოთ...

დასამარხი ფული შესაგროვებელი გაგვიხდა.

■ ■ ■

მონა უფლებააყრილიც არის და ღირსებადაკარგულიც, ამიტომ ადვილად ეგუება ბატონს, მის მრისხანებას, მის მათრახს... "არ დავიმსახურებ და არ დამარტყამს, სამაგიეროდ მაჭმევს, მათბობს, მიცავს..."

ბატონს სხვა ხიბლიც გააჩნია - მას სხვისი დაჩაგვრა შეუძლია ... მონებისთვის ყველაზე სასურველი სანახაობა სწორედ ეს არის...

არ იფიქროთ, თითქოს მონა თავისი მძიმე ბედისადმი გულგრილია და სულაც არ ედარდებოდეს თავისი ხვედრი - რაც უფრო დაჩაგრულია, ღარიბია და ბედშავია, მით მეტად მიისწრაფვის წარმატებულისაკენ, თავისი თავის მასთან გაიგივებით, მისი (თუნდაც ვირტუალური) სიახლოვის (ეროვნული, სოციალური, ან სხვა რომელიმე ნიშნით) შეგრძნებით, იგი თავის ცნობიერებაში ფსიქოლოგიურ წონასწორობას ამყარებს და მშვიდდება...

"გთხოვთ, იმ დიდი კაცის, ასე რომ გვასახელა ... ფეხზე ადგომით..."

რაც თავი მახსოვს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, მისი სახსენებელი შეძლებულებს ფეხზე ადგომით არ დაულევიათ...

ასეთივე "კოპესატორულურ" ფუნქციას ასრულებენ ფუტკარივით მშრომელი, მაგრამ სიღარიბით დაჩაგრული ქალბატონებისთვის ის საშინელი ამერიკული კინოსერიალები, რომელთა მაყურებელი ისინი კარგა ხანს იქნებიან...

■ ■ ■

თბილისში, ერთ მრავალსართულიან სახლში ლიფტი უკვე ათი წელიწადია არ მუშაობს. უნდა ნახოთ, როგორ იტანჯებიან, ზოგ მოხუცს პატარა სკამი თან დააქვს, რომ გზადაგზა დაისვენოს... დღემდე ვერ გადაუწყვეტიათ, შეკეთებისათვის თანხა რა პრინციპით შეაგროვონ...

- მე პირველზე ვცხოვრობ, ლიფტი სულაც არ მჭირდება - აცხადებს ერთი მობინადრე, რომელიც მართლა ცხოვრობს პირველ სართულზე, მაგრამ....

■ ■ ■

როგორც ჩანს, მონათა ერთობა შეუძლებელია ... ალბათ, მაინც ამდენ ხანს რომ იარსება ყველაზე სისხლიანმა იმპერიამ, მონების ერთმანეთისადმი მტრობით აიხსნება... ეს კარგად ესმოდათ ბოლშევიკებს და ხალხს აშიმშილებდნენ. სწორედ "გოლდომორის" წლებში მოხდა ბელადების აღზევება, მათი "ნიჭიერებისა" და "სიბრძნის" გახმაურება, არადა, სწორედ მაშინ შიმშილისაგან მილიონები დაილუპნენ...

და თუ მაინც დაინგრა საბჭოთა კავშირი, ეს მოხდა დიახაც, მონათა სურვილის საწინააღმდეგოდ...

■ ■ ■

კომუნიზმის მშენებლობის დროს ჩვენ თავი დავკარგეთ... დღემდე დავბორიალებთ და ვეძებთ ერთმანეთს...

აი, მივადექი პატარა სავაჭრო დახლს... გამყიდველთან ერთად დავიწყე საქონლის ავ-კარგიანობის გარკვევა...

ამ დროს მოდის მეორე მყიდველი და თითქოს იქ სულაც არ ვიდგე - არადა, ჩემი არშემჩნევა შეუძლებელია - ტანმაღალი, ღრმად მოხუცებული გახლავართ -დაურიდებლად იჭრება ჩემსა და გამყიდველს შორის გამართულ საუბარში, ითხოვს დაუყოვნებლივ ყურადღებას...

ეს ქუჩის შემთხვევითი ეპიზოდი არ არის, იგი სიმპტომატური მოვლენაა... რომ დარწმუნდეთ, ნუ დამზარდებით, და თავად ჩაატარეთ ამგვარი ექსპერიმენტი.

ყველაზე მეტად სევდისმომგვრელი კი ის გახლავთ, რომ ის "მეორე" მყიდველი შეიძლება იყოს აკადემიკოსი, ხაბაზი, პოეტი, მებაღე, ან სულაც მე, ან (ნუ მიწყენთ!) თქვენ, პატივცემულო მკითხველო...

ესოდენ "აქტიური" გულგრილობა ლამის გენეტიკური ხასიათისაა და ამდენად, ფრიად შემაშფოთებელია....

■ ■ ■

საბჭოთა ადამიანი უკიდურესად ეგოცენტრულია, ამიტომ სამშობლოც მისთვის უმნიშვნელოა და იგი მისი ბინის (ან ეზოს) კართან უმთავრდება... კარის მიღმა - მთები, მინდვრები, ჭალები, მდინარეები, ტყე მისი ცხოვრებისათვის მატერიალური უფასო დანამატი ჰგონია... ამიტომაც ასე უმოწყალოა ბუნების მიმართ...

... ტყეში როცა ხანძარია, ის ჩასაქრობად კი არ გარბის, იქნებ რამე წამოვიღოო... ხოლო როცა თრიალეთის მთების ცივი ქარები დაბერავენ, ჯერ მიწას გაყინავენ, მერე გოსტიბის მხრიდან ვეება, მძიმე ღრუბლებს ჩამორეკავენ და ერთი ღამით უცებ სადღაც დაიკარგებიან, რომ ბარაქიანად მოთოვოს, ამ დროს ჩვენს ოთხფეხა ძმებს ყველაზე მეტად უჭირთ... მათ უბედურ გონებაში ადამიანის იმედი რატომღაც ჯერ კიდევ კრთის, ნელ-ნელ სიმაღლეებიდან ბარში ჩამოდიან და მათ დახმარების მაგივრად, ორფეხა მხეცები თოფის გრიალით ხვდებიან... ხოცავენ ყველაფერს, რაც თვალში მოხვდებათ...

მთელი უკიდეგანო სამყარო, თავისი დაუსრულებელი ფერადოვნებითა და ჟღერადობით, მოსახლეობისათვის ორ ნაწილადაა დაყოფილი... რაც საკუთარია, მეტ-ნაკლებად მოვლილ-მოფერებულია, ხოლო ის, რაც სხვასაც ეკუთვნის, გაოხრებულ-გატიალებულია...

■ ■ ■

... მკვლელ-ყაჩაღები თავის ბანდში ახალ წევრს როცა ღებულობენ, მას მძიმე გამოცდას უწყობენ - თავისი ხელით შვილი, ან დედა უნდა მოკლას... თუ ორივეს გამოასალმებს სიცოცხლეს, მაშინ "საძმოს" ნდობა მისდამი განუსაზღვრელი ხდება... მეტიც, ასეთს მთელი ბანდის თავკაცობაც შეიძლება დააკისრონ...

ლოთ-ყაზარა მექალამნე ბესოსა და მის მიერ სულერთთავად დაჟეჟილი ცოლის კეკეს ნაშიერმა მზის ქვეშეთში ყველაზე მძიმე დანაშაული ჩაიდინა, თავისი მრავალტანჯული სამშობლო მტარვალის ჯარით დაიპყრო, საქართველო რუსთა ჩექმას ფარდაგივით გაუფინა... ესეც არ აკმარა და კაციჭამია ლენინს ეჯღანებოდა - საქართველო რუსეთის ავტონომიად გამოვაცხადოთო, მაგრამ წარმოიდგინეთ საკვირველება, საკონცენტრაციო ბანაკების გამომგონებლისგანაც კი უარი მიიღო, მსოფლიო "პროლეტარიატის ბელადისთვისაც" ასეთი ცინიზმი მიუღებელი აღმოჩნდა... თუმცა ლენინის სიკვდილისთანავე ჩანაფიქრი ნაწილობრივ მაინც განახორციელა - ისედაც პაწაწკინტელა საქართველო ავტონომიებით დასერა, დანაღმა, მუდმივი საფიქრალ-სადარდებელი გაგვიჩინა... სამაგიეროდ, რუსეთმა ულვაშიანი იუდა ისკარიოტელი მშობლიურივით ჩაიხუტა, გაიღმერთ-გაიბელადა...

კრიმინალისტიკის სპეციალისტების შეფასებას დღესაც ელის ის გამაოგნებელი სისასტიკე, რომლითაც ჯუღაშვილის ბანდა ეტაკა ყველაზე ნამუსიან და განათლებულ ქართველობას...

მარტო 20-იანი წლების საქართველოს ტრაგედია იძლევა საკმაო იურიდიულ საბაბს, პატარა ქვეყნების მტაცებელი რუსეთი მიგვეცა საერთაშორისო ტრიბუნალისათვის... აღნიშნული დანაშაული, თავისი სისასტიკით, სომხების 1915 წლის გენოციდზე ნაკლები როდია... მაგრამ წინ, ქართველთა სავალალოდ, იყო 30-იანი წლების სიმშილი, სოფლის დანგრევა, 1937 წლის დიდი ტერორი, გერმანიასთან ომში ყველაზე დიდი მსხვერპლი, 1948 და 1952 წლების გადასახლებანი, 9 მარტი, 9 აპრილი, აფხაზეთი, ცხინვალეთი...

■ ■ ■

...აღარავინ ცხოვრობს საბჭოთა კავშირში, სამაგიეროდ საბჭოეთი ცხოვრობს ჩვენში...

რაც მეტი დრო გადის, "შინაგანი" საბჭოთა კავშირი ედემივით მშვენდება, ხოლო მისი პირსისხლიანი კერპები ანგელოზებს ემსგავსებიან...

წარსული, ვითომც არაფერიო, აღმაშფოთებელი მხიარულებით გვეთხოვება!

განა წარმოვიდგენდი, მას შემდეგ, რაც გადაგვხდა, რა გოლგოთაც გამოვიარეთ, კვლავაც რუსთა ხატზე დავიწყებდით ლოცვას და ჩვენივე სიბრიყვით, ყველაზე ბოროტ მტერს თავად შევუქმნიდით საქართველოში კეთილ ფსიქოლოგიურ ფონს, ჩვენი მესამე და ალბათ უკანასკნელი (მეტს საქართველო ველარ გაუძლებს!) დაპყრობისთვის...

მტრის ხატზე მლოცველი მტერზე უარესია!

ნუთუ ეს მარტივი ჭეშმარიტება კვლავაც მიუწვდომელია...

■ ■ ■

ვარდების ამბოხმა პრეზიდენტები შეცვალა, თორემ მოსახლეობა უცვლელი დატოვა...

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბოლშევიკებმა ხალხი შეცვალეს, ზოგი დახოცეს, ზოგი გადაასახლეს, მოკლედ, მოსახლეობა მორიგეს და ამით გაიხანგრძლივეს... 

რაოდენ გულწრფელადაც არ უნდა ვაგინოთ ქვეყნის ხელმძღვანელი, დროთა ვითარებაში ჩვენი ცნობიერება მის ეთიკასთან ჰარმონიაში მოდის, მის ანარეკლს წარმოადგენს... თითქოს წავიდა, მაგრამ სინამდვილეში შევარდნაძე, რომელმაც ლამის ექვსი თაობის განმავლობაში (30 წელიწადი!) "იმეფა", კვლავაც ჩვენთანაა...

ასეთი ნოყიერი, მაგრამ უკაცრიელი მიწები გქონდეს, ზორბა, მუხლ და მკლავმაგარი დედაკაცები კი ურცხვად გაჰკიოდნენ - სიგარეტი გამაყიდინეთო, ოჯახი, აბა, როგორ შევინახოო... ეს მათში შევარდნაძე ყვირის, მისი ზნე და ცხოვრების წესი - შრომის გარდა ყველაფერზე რომ ყაბულს არიან...

ფულით გაწუწკებულს, თოხს, ვაი, რომ ვეღარ ააღებინებ ხელში...

■ ■ ■

ისე, როგორც ყველას, მეც მაქვს მწარე საფლავი, რომელიც ამას წინათ, სპილენძით დახარბებულებმა გამიძარცვეს - განსვენებულის გვარ-სახელი ჩამოხსნეს... გვარი გრძელია და ქურდის ვარაუდით, სპილენძის ის ასოები კილონახევარი მაინც გამოვიდოდა...

...როცა ტირილით გული ვიჯერე, უნებლიე ფიქრი დავიწყე... ამას, ალბათ, მარდი ფეხის პატრონი ჩაიდენდა, ახალგაზრდა... ალბათ შინ წაიღებდა, სხვაგან რო გაერეცხ-გაეხეხა, სახიფათო იქნებოდა, ცნობისმოყვარე ბევრია... მას ოჯახის წევრებიც დაეხმარებოდნენ - აბა, მარტოკინა სიძველის გამო გამწვანებულ სპილენძს ვერ გაწმინდავდა, მიმღები პუნქტებიც ჭუჭყიანს არ ღებულობენ... იქაც, მშვიდად აუწონიდნენ და ფულსაც ჩაუთვლიდნენ...

...და ამ გზაზე - საფლავიდან მიმღებ პუნქტამდე, დაბრკოლება არ ექნებოდა...

...ერთ მივარდნილ მთის სოფელში მშობიარობისას ახალგაზრდა ქალი ბავშვიანად დაიღუპა... წინა ღამით მისმა ქმარმა ტელეფონების ხაზები ჩამოხსნა, მოპარული გასაყიდად გაამზადა... ამიტომ ექიმს დროზე ვერ გამოუძახეს, მობილური კი გლეხებს არ ჰქონდათ...

...ერთ ჩემს მეზობელს ძროხა მოულოდნელად მოუკვდა. იმავე ღამეს მკვდარი საქონელი პატრონმა ხორცად დაჭრა და მეორე დღეს, იქვე სამეზობლო სოფელში გაყიდა, დიდ-პატარას დაავადებული ხორცი შეაჭამა... ამ სამარცხვინო საქმეში მისი ოჯახის ყველა წევრი მონაწილეობდა... ბავშვები თავად ხედავდნენ, როგორ შესციცინებდნენ მშობლები მყიდველებს, როგორ ურცხვად ეფიცებოდნენ, უდასტურებდნენ ხორცის სიკარგეს, მერე კმაყოფილები როგორ ბრუნდებოდნენ შინ, როგორ უხაროდა "მამიკოს", რომ ამ ფულით ორი ხბო მოუვიდოდათ და თანაც ხურდაც დარჩებოდათ!

...სარდაფში, სადაც წლობით ვირთხების საასპარეზო იყო, მარიფათიანმა "მეწარმემ" სახჭაპურე გახსნა - შესაკეთებელი შეაკეთა, შესაღები შეღება, ორიოდე პატარა მაგიდა და სკამი იშოვა და საქმეს შეუდგა...

ახალი წესით, ასეთ პატარა სასადილოსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ხელ-პირის დასაბანი ონკანი, ნიჟარით, და კანალიზაციის მქონე საპირფარეშო... სამწუხაროდ, იმ სარდაფში კანალიზაცია არ იყო, ამიტომ იქაურობას სიმყრალე ასდიოდა...

აი, როგორ ამიხსნეს მცოდნეებმა სუნის ბუნება - სუნს იწვევს ნივთიერების უმცირესი ნაწილაკები, რომელნიც ჰაერის ბუნებრივ ცირკულაციასთან ერთად მოძრაობენ... ამდენად, როცა ცხვირში გეცემათ განავლის სიმყრალე, ეს ნიშნავს იმას, რომ იგი უკვე ჩაეფინა (შევიდა ორგანიზმში!) თქვენს ნესტოებსა და ფილტვებში...

... ერთი პროფესორი, რომელიც ნახევარი საუკუნე ესტეტიკის საკითხებზე სტუდენტებს ლექციებს უკითხავდა, ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. ერთგული მეუღლის გარდა არავინ ჰყავდა... როცა, რაც გასაყიდი იყო, გაყიდეს, პროფესორმა კროსვორდების შედგენა დაიწყო, მეუღლეს კი სხვადასხვა რედაქციაში დაჰქონდა...

ერთხელაც, როცა ვეწვიე, გამაოგნა საშინელმა სიმყრალემ...

- ნუ გიკვირს, ცოლმა ეს-ეს არის ბაზრიდან მოიტანა... კარგად რო გაირეცხება, ასეთი სუნი აღარ ექნება - ამიხსნა მასპინძელმა... მართლაც, სამზარეულოში ვეება ტაშტში, მოშავო ფერის ხორცი იყო...

- გადავწყვიტეთ ჰამბურგერები ვაკეთოთ და აქვე, სვლაგეზის მანქანების ბოლო გაჩერებაზე გავყიდოთ... სხვათა შორის, კარგად იყიდება... სელიტრა, სახამებელი და სხვა, სუნს მთლიანად სპობს... ერთი კილო ხორციდან, რომლის ფასი ერთი ლარია, თხუთმეტი ცალი გამოგვდის...

- კი მაგრამ...

- არავითარი "მაგრამ", მე არავის ვებრალები და მეც არავინ მებრალება - იყო მისი პასუხი...

... არ იფიქროთ, თითქოს მასობრივი უნამუსობა მარტო ჩვენშია, მთელს პოსტსაბჭოეთში ერთი და იგივე ხდება - საბჭოთა ადამიანები კვლავაც სტალინის მოლოდინში არიან... კვლავაც მისი "სამართლიანი" მათრახი ენატრებათ...

ჩვენ კიდევ არა გვიშავს, ჩვენ ზოგჯერ (თუნდაც სუფრაზე) გაჭირვებული გაგვახსენდება, წასულებს მოვიგონებთ... მართალია, ათი შაურის გულისთვის შეგვიძლია ქვეყანა დავაქციოთ, სამაგიეროდ ათი წუთის შემდეგ ნაგავში ლუკმა-პურის მძებნელ ბებერს თუმანი ვაჩუქოთ...

სასწაულია, ჯერ კიდევ ჩუქება რო შეგვიძლია!

■ ■ ■

არის ანდაზა - ნემსისა და აქლემის ქურდი ორივე ქურდიაო... მაგრამ თუ დავუკვირდებით, ასე სულაც არ არის - ნემსის ქურდი მაინც ნემსის ქურდია, ხოლო აქლემისა - აქლემის... სხვანაირად რო იყოს, სისხლის სამართლის მრავალმუხლიანი კოდექსი არ გვექნებოდა... მაგრამ ამ ორ ქურდს შორის არის კავშირი - აქლემის ქურდს ახარებს ნემსის ქურდების სიმრავლე, რომელიც აქლემის მოპარვას უადვილებს, თუმცა იმავდროულად ძალიან ბრაზდება, როცა ნემსის ქურდი აქლემს იპარავს. აქ საინტერესო სხვაა, რატომაა, რომ ნემსის ქურდი სულ ერთთავად აქლემზე ოცნებობს, აქლემისა კი მინისტრობაზე და ორივე, ადრე თუ გვიან, უბედურდება...

■ ■ ■

მახსოვს, კრემლის კაცს, ვინმე ჩურკინს, რომელიც მჟავანაძის შემდეგ საქართველოს მეორე ნაცვალი იყო, ახალბედა გამომძიებელმა საწერი მაგიდის უჯრაში სამასი ათასი ქრთამად მიღებული დანომრილი ასიგნაციები "აღმოუჩინა"... ატყდა ალიაქოთი, მაგრამ "პირველმა" მალე ჩააქრო მისთვისაც ფრიად სახიფათო ცეცხლი...

ჩურკინი მოსკოვში მობოდიშებით გაისტუმრეს, არც საგზალი დავიწყნიათ... პოლიტიკურად "მოუმზადებელ" გამომძიებელს კი პროფესია შეუცვალეს... მე თუ მკითხავთ, კიდევ კარგად გადარჩა, შეეძლოთ სულაც ციხეში დაელპოთ ასეთი "პროვოკაციისათვის"...

გარე სამყაროსაგან, საკუთარი ქონებისაგან, მისი მართვისაგან საბჭოთა ადამიანის სრული იზოლაცია, არის მიზეზი საყოველთაო ინფანტილიზმისა - ქვეყანა რო დააქციო, ხმის ამომღები ალარავინაა... რაღა შორს წავიდე, ჩვენი რაიონის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება მუჭა ხალხმა მიითვისა, ხოლო პასუხს ამისთვის ერთ შტერ მოხელე ქალს აგებინებენ, თანაც უმოწყალოდ. მგონი დაიჭირეს და სატუსაღოშიც ჩასვეს კიდეც... კაცები ქალს მოერიდნენ...

ქონება კი იმდენი იყო, რომ ნოსტედან კასპამდე ორი გზა გაკეთდებოდა - ერთი სამანქანო და მეორე (ჩემი ოცნება!) ვიწროლიანდაგიანი, ფერად-ფერადი ვაგონებით, ზოგი აივნიანიც, მხიარული ორთქმავლით... ასეთ მატარებელს ამერიკაში, თურმე, დღესაც ამზადებენ...

ეს იქნებოდა ჩვენებურებისათვის შვება, ხოლო ქვეყნის სტუმრებისათვის მოგზაურობა ზღაპარში...

ხალხის ქონების მტაცებლებს კრიმინალიტეტი სრულიად სამართლიანად "ფაშისტებს" უწოდებს, ჰოდა მინდა კასპელ ფაშისტებს განვუცხადო - ჩემი მანქანის ბორბლის ორმოში ყოველი ჩავარდნისას სწორედ მათ ვწყევლი და ვაგინებ... ახლა მოდით, ორმოების რაოდენობა გაამრავლეთ მათში ჩავარდნილი ყოველი გამავალი მანქანის ბორბლების რაოდენობაზე და თქვენ მიიღებთ დატანჯული ხალხის ერთ, უწყვეტ წყევლასა და გოდებას... რა გული გიძლებთ, არ ვიცი!

... და მაინც, ღმერთია მოწმე, საციხედ მებრალებით - იქ, სამშობლოს მოღალატისა და კაცის შეგნებული მკვლელის ადგილია... თქვენ კი, შექუჩდით, მოითათბირეთ და დატაცებული უკან დააბრუნეთ, ოღონდ ნამეტანს ნუ იზამთ, ოჯახსაც დაუტოვეთ და შექმენით შპს საზოგადოება "კუკუშკა" და საქმეს შეუდექით...

აუცილებლად გამოგივათ და პირველად ცხოვრებაში გაიხარებთ ნამუსიანი კაცის სიხარულით... მერწმუნეთ, ეს განცდა მილიონები ღირს!

**უფროსი ძმა, რომელსაც პატივისცემა სჭირდება**



B3

**მაიკლ ოუენი: "გოლების გატანის ნიჭი მაქვს"**



B4

**მთავარია, რომ საქმე კეთდება**



B6

ნომრის სტუმარი

# საქმეში ყოფნას კიდევ 50 წელი ვაპირებ

პირველი გვერდიდან

**- კომპანია "ყაზბეგი" 55 წლის ასაკში ჩამოაყალიბეთ. მაშინაც გაითვალეთ, რა იქნებოდა 10 წლის შემდეგ?**

- მაშინ სხვა რეალობა და სხვაგვარი ზეწოლა იყო...

**- პოლიტიკოსი აღარ ხართ, შეგიძლიათ, ღიად ისაუბროთ.**

- რატომ არ ვარ პოლიტიკოსი?! უბრალოდ, პარლამენტში არ ვარ. სამწუხაროდ, საქართველოში მრეწველობის აღორძინების ანტიპოლიტიკა ხორციელდებოდა და დღეს კარგად ხედავთ, რა დღეშიც არის ჩვენი ეკონომიკა. იმ პერიოდში ისეთი მომგებიანი ბიზნესიც არ უდოდათ, როგორიც იყო ლუდის, ნავთობის, სიგარეტის იმპორტი. გარკვეული ჯგუფები პატრონობდნენ და ხელს უწყობდნენ ამას. ამიტომაც ბაზარზე გამოსვლა ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული.

**- ყველაზე რთული პერიოდი როდის დაგიდგათ?**

- მას მერე, რაც ზეწოლამ მიუღებელი ფორმები მიიღო და პირდაპირ სამუშაო ოთახიდან დაგვაპატიმრეს. პირდაპირ წარმოების გაჩერება მოითხოვეს.

**- რატომ, წილს არ იხდიდით?**

- გზაზე გადაველობეთ. ეს საკმაოდ დიდი ბიზნესი იყო. წარმოიდგინეთ, დღეს რომ სიგარეტის ბიზნესს გადაელობო, ისე იყო მაშინ ლუდთანაც. როცა ეს შეტევა რაღაცნაირად მოვიგერიეთ, საკანონმდებლო ორგანოდან დაიწყო ზეწოლა. გახსოვთ ალბათ, 1995 წლის ივნისში წინა პარლამენტმა მიიღო დამანგრეველი საგადასახადო ცვლილება, რითიც 1000 პროცენტით გაზარდეს ერთ-ერთი მთავარი - სააქციზო გადასახადი. ამით გაპარტახდა მომუშავე დარგები - ლუდის, შამპანურის, თამბაქოს წარმოება. მიმაჩია, რომ ეს იყო დანაშაული. ეს კანონპროექტი იყო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გადადგმული პირველი რადიკალური ნაბიჯი. ამის მერე საქართველოში მოკვდა სიგარეტი, ხოლო ლუდს ყველაზე ძალიან "მოხვდა".

**- დღეს ხელისუფლება საგადასახადო ცვლილებებით კმაყოფილია. თქვენ, მეწარმეები?**

- ძალიან ცუდი კანონია. ეს არის უკანასკნელი დარტყმა ჩვენს ეკონომიკაზე. ძალიან გაიზარდა გადასახადები, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. ხომ ვპირდებოდით, რომ ეს ყველაფერი ლიბერალიზებული იქნებოდა? ახლაც ისე მოხდა, როგორც 1995 წელს - იმ დარგებს გაუზარდეს სააქციზო გადასახადი, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ მუშაობს. ძალიან დიდი პრობლემა შეექმნებათ არყის მწარმოებლებს. ქართული ღვინოები ნელ-ნელა გადიოდა საერთაშორისო ასპარეზზე, ბევრ გამოფენაზე ვიყავით და ბევრმა ქვეყანამ მოითხოვა პროდუქცია. ამ დროს კი ღვინოს დაარტყეს... ლუდსაც გაუჭირდება, რადგან ხედავთ, რომ ათასნაირი ლუდი შემოდის - "ჩერნიგოვშინა", "სტარი მელნიკი" და სხვა. ამას რუსული და უკრაინული კი ჰქვია, მაგრამ ასე არ არის. მაგალითად, "ბალტიკაში" მხოლოდ 2 პროცენტია რუსების. "სტარი მელნიკი" თურქული "ეფესი"-ს არის. უკარაინაში ლუდის ბიზნესი სულ ტრანსნაციონალური კომპანიების ხელშია. აზერბაიჯანის ლუდის ბაზრის 100 პროცენტი უცხოელების ხელშია, სომხეთში - 80 პროცენტი. საქართველო, ამ მხრივ, პატარა კუნძულია.

**- თქვენი აზრით, ლუდი საერთოდ არ უნდა შემოდიოდეს და ქართულ ლუდს კონკურენცია არ უნდა შეეხოს?**

- უნდა შემოდიოდეს, მაგრამ ძალიან ბევრი კონტრაბანდული საქონელია. ამას ხან ერგნეთს ვაბრალებთ, ხან - აფხაზეთს. ქართულ პროდუქციაზე კი მარტო აქციზის გადასახადი უფრო მეტია, ვიდრე ის ფასი, რაც "ტროიკა" და სხვა სიგარეტი ღირს. ქართველი მწარმოებელი ბუნებრივად დაიჩაგრა. ეს კოდექსი ცუდია და ამას ხმამაღლა ვამბობ.

**- კოდექსი უწყობს ხელს კონტრაბანდას?**

- რა თქმა უნდა. სამწუხაროდ, კონტრაბანდაში გარკვეული ინტერესები ახლაც არსებობს. ბატონი ზურაბ ნოღაიდელის ფინანსთა მინისტრობისას მისთვის მთავარი ფისკალური ეფექტის მიღწევა იყო. რაც შეიძლება, მეტი გადასახადი უნდა ამოეღო, რათა უკეთ შეძლებოდა ფინანსებში მანევრირება. დღეს ის პრემიერ-მინისტრია და მხოლოდ ფისკალური ეფექტი არ უნდა აინტერესებდეს, განვითარების გზებსაც უნდა ხედავდეს. იქნებ ინფრასტრუქტურაზე ზრუნვის ერთი მაგალითი დამისახელოთ - რომელი წარმოება ამოქმედდა, რომელი დარგი გაცოცხლდა? ვერ მომიყვანთ ასეთ მაგალითს. დიდი ყურადღებით ვადევნებ თვალს პროცესებს და ქართველების მიერ გახსნილ ახალ წარმოებას ჯერ ვერ ვხედავ.

**- ლუდის მოყვარულები მაინცდამაინც აღფრთოვანებულნი არ არიან თქვენი ლუდის ხარისხით, უბრალოდ, სხვებთან შედარებით ხელმისაწვდომი ფასი აქვს...**

- არა მგონია, რომ ქართული ლუდები სხვებს ხარისხით ჩამორჩებიან. არც ერთი საერთაშორისო კონკურსი არ ყოფილა, "ყაზბეგის" პროდუქციას ოქროს მედალი არ აეღო. და თან ისეთ კონკურსებზე, რომელიც მადრიდში, ბრატისლავაში, მოსკოვში ჩატარდა და სადაც ცნობილი ფირმები მონაწილეობდნენ. როგორც ამ ფირმის ხელმძღვანელი, ვაცხადებ, რომ "ყაზბეგი" სხვა ლუდებს ხარსიხით არ ჩამოუვარდება. ქართველები ნუ იქნებით კოსმოპოლიტები და ნახავთ, როგორც იქნება. მით უფრო, რომ ამ ბოლო ხანებში შემოსული ლუდები, ნამდვილად ვერ მოვა ახლოს "ყაზბეგთან". "ბუდვაიზერთან", "ბავარიასთან" თუ "კრომბახერთან" კონკურენცია კი საამაყოც არის.

**- ბიზნესში 10 წელი მთელი ეპოქაა. თამაშის წესები შეიცვალა?**

- სამწუხაროდ, ბიზნესმენებს ხშირად უწევთ თამაშის წესების შეცვლა, რადგან რთულია ორიენტაცია - რომელ დარგს შეიძლება მოკიდო ხელი და განავითარო. კანონმდებლობაა არასატაბილური.

**- საარბიტრაჟო სასამართლო ბიზნესმენის სახელმწიფოსთან დავის ერთადერთი საშუალებაა?**

- დიახ, და ახლა ამასაც აუქმებენ. სახელმწიფომ რამდენიმე დავა წააგო არბიტრაჟში და როგორც კი ნახეს, რომ ეს მომავალში პრობლემებს შექმნის, გაუქმების საკითხი დადგა. "ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი ბრენდი სწორედ ძლიერი საარბიტრაჟო სასამართლო იყო. ბოლო ხანებში ხელისუფლებასთან ამ თემებზე არ მისაუბრია, რადგან ბევრ საკითხში განსხვავებული პოზიცია მაქვს.

**- პარლამენტში ხომ გყავთ ჯგუფი?**

- დიახ და ეს აქტიური ჯგუფია, რომელიც პოზიციების დაცვას ცდილობს, მაგრამ მოგეხსენებათ, როგორი ძალთა განლაგებაა პარლამენტში. იქ მხოლოდ აზრის დაფიქსირება შეიძლება, სხვა არაფერი. ბიზნესი ძალიან დაუცველი რჩება. არბიტრაჟის გაუქმება სერიოზული დარტყმაა და ალბათ, ბიზნესმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ იყოს დაცული. რა თქმა უნდა, ჯარსაც სჭირდება ფული, განათლებასაც და ბევრ სხვა რამესაც, მაგრამ თუ ჩვენ მხოლოდ დღევანდელ პრობლემებს მოვაგვარებთ, მუშა დარგებს ავლაგმავთ, როცა სააკაშვილი და ნოღაიდელი არ იქნებიან, მომავალ თაობას დავუტოვებთ პრობლემებს. დღეს გლეხი გამოსავალს ვერ ხედავს და ვერ გეტყვით, რა უნდა გააკეთოს.

**- რა და - "ყაზბეგმა" გლეხისგან უნდა შეიძინოს ნედლეული.**

- რუთავში იყო ალაოს წარმოება, რომელიც ჩვენთვის ნედლეულია. ის მოისპო და იძულებული ვართ, შემოვიტანოთ. ყველა იმპორტიორს, რუსეთიდან იქნება ის, ბულგარეთიდან თუ უკრაინიდან, ყველას საკუთარი ნედლეული აქვს. საქართველოს მწარმოებლებს ეს არ გვაქვს, 35 პროცენტს საბაჟოზე ვიხდით, რაც თვითღირებულებაზე მოქმედებს.



რთული პერიოდები იყო, მაგრამ ამ ბრძოლაში, რაღაცნაირად, გამოვიბრძმედეთ... ჩვენს თაობას ძალიან უქნევენ ხელს და ეს სწორი არ არის. ამ თაობაში ბევრი პროფესიონალია და მათი ასეთი იგნორირება დიდი შეცდომაა.

ჩვენ მივხვდით, რომ არ ვართ ქვეყანა, სადაც განვითარდება ბეისბოლი ან ბალახის ჰოკეი. ამიტომაც სპორტის 12 სახეობა აირჩიეს, რომელიც უნდა განვითარდეს. ასევეა საჭირო ეკონომიკაშიც.

ჩვენ მზად ვართ, ავაღორძინოთ საკონსერვო მრეწველობა, მაგრამ, გარანტია უნდა მოგვცენ, რომ ათი წელი მაინც კანონი არ შეიცვლება. გარანტია უნდა მოგვცენ, რომ კონტრაბანდა აღარ შემოვა...

**- არ გიცდიათ თქვენთვის საჭირო ნედლეულის ქარხნის პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღება?**

- მცდელობა გვქონდა, მაგრამ ამისთვის საკანონმდებლო ბაზა უნდა არსებობდეს. ძალიან ბევრია გასაკეთებელი საკონსერვო დარგში. იქამდე მივედით, რომ ვაშლი არგენტინიდან შემოგვაქვს, ეს ხომ დაუშვებელია? პარადოქსია, მაგრამ საქართველოში ვაშლის წვენი 5 ქვეყნიდან შემოდის - რუსეთიდან, თურქეთიდან, ბულგარეთიდან, ირანიდან და საბერძნეთიდან.

**- რა გიშლით ხელს?**

- თუნდაც, აუტანელი საგადასახადო ტვირთი. ისიც მკითხეთ, რაში გვიწყობს ხელს დღევანდელი ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც საერთოდ არ გვაქვს? რა დარგები უნდა ამუშავდეს ხვალ? პოლიტიკური გეგმები ცნობილია - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სხვა. ჩვენ მზად ვართ, ავაღორძინოთ საკონსერვო მრეწველობა, მაგრამ გარანტია უნდა მოგვცენ, რომ ათი წელი მაინც კანონი არ შეიცვლება. გარანტია უნდა მოგვცენ, რომ კონტრაბანდა აღარ შემოვა, რადგან ფასშიც აგებ და ბევრ სხვა კომპონენტშიც. დღეს ხმაური მეტია, შედეგი - არა. ვფიქრობ, რომ დღეს ინტერესთა სფეროები გადანაწილდა. ხალხს, ვინც რევოლუციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, დროშა აფრიალა, იმათ რაღაც ძვალი ხომ უნდა გადაუგდონ, რაღაცით უნდა დაასაქმონ?! რადგანაც სხვა შემოსავლები არ არის, კონტრაბანდა უნდა მისცენ, რადგან ამაშია დიდი თანხები. ქვეყნისთვის კი ეს უზარმაზარი პრობლემაა.

**- დემოკრატიულ ქვეყანაში ბიზნესი და ხელისუფლება თანამშრომლობენ. ახალ ხელისუფლებასთან თქვენი ურთიერთობა არის თანამშრომლობა?**

- ძალიან გვინდა, ჩამოყალიბდეს პარტნიორული ურთიერთობა, მაგრამ კოდექსმა დაგვანახა, რომ ჩვენს ეკონომიკას მართავს არა ჩვენი ხელისუფლება, არამედ უცხოური ფონდები, ფინანსური ინსტიტუტები. აშკარაა, რომ ამ კოდექსით წინ ვერ გადავდგამთ ნაბიჯს. ძალიან მნიშვნელოვანია ენერგეტიკა, ტერიტორიული მთლიანობა, გზები... თუ ეს არ მოგვარდა, ყველაფერი მხოლოდ პიარად დარჩება. ამ გზებს მთელი ჩვენი ბიუჯეტი რომც მოახმარონ, მარტო ჩვენ ვერ გავაკეთებთ. უნდა შევქმნათ ინდუსტრია. არსებობს თანამედროვე მოძრავი ქარხნები, რომლებიც გადააადგილდება, ამუშავებს ძველ ასფალტს და გზებს თანამედროვე დონეზე აკეთებს. თუ ჩვენ ქარხნები არ შევისყიდეთ და მუდმივად ვიღაცას ვუხადეთ ფული, ქვეყნის ბიუჯეტი არ გვეყოფა. პრეზიდენტი ლაპარაკობს, ნაბიჯები იდგმებაო, მოდით, დავინახოთ ეს ნაბიჯები. "ლატკები" ქალაქში გზების კეთება არ არის.

**- რატომ არ კეთდება ჩვენი ქვეყნის მდიდარ და გავლენიან ადამიანთა ნომინაციები და სიები?**

- საქართველოში ოლიგაქრის შეიძლებოდა გამხდარიყო, ვინც ყოფილ ხელისუფლებასთან ერთად ხელიხელჩაკიდებული იყენებდა სახელმწიფო ბიუჯეტს და ხაზინას. საქართველოს მასშტაბები მცირეა და მასშტაბური თავისუფალი კაპიტალი არ იქნება. რეიტინგებიც რთული დასათვლელია, რადგან ჩვენთან ბევრი შავი კაპიტალი იყო, ძალიან ბევრმა მოასწრო და ოფშორულ ზონაში გადაიტანა ფული...

**- და ალბათ, ბიზნესმენებიც არ მოინდომებენ სააშკარაოზე გამოიტანონ ქონება.**

- უმეტესობა, ალბათ, არ მოინდომებს.

**- თქვენ?**

- ერთი მილიონი ქველმოქმედებაზე მიდის. 15-16 მილიონს მთელი "ყაზბეგის" სისტემა ბიუჯეტში იხდის. დასამალი რაღა რჩება? გადამხდელი ვარ და ამაყად იმიტომაც ვარ.

**- თქვენი აზრით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ინტელექტუალური პროდუქციის ხარჯზე უნდა განვითარდეს თუ მუშახელის? რა პოტენცია გვაქვს?**

- ყველა ქვეყანას თავისი გზა აქვს. ისრაელი და დანია ტერიტორიით თითქმის ჩვენხელაა. ამ ორივე ქვეყანამ იცის, რას აკეთებს. დანიაში თევზს ვერ შეიტან, იქ თავისი თევზია. ლუდსაც ვერ შეიტან, ისეთი პირობებია. ვერც ბრაზილიაში შეიტან ყავას და ვერც ინდოეთში - ჩაის. ჩვენთან ჩაიც შემოაქვთ და ხილიც. ჩვენ ვართ კომპაქტური და რესურსებით მდიდარი ქვეყანა. არის რამდენიმე დარგი, რომელსაც საექსპორტო პოტენციაც გააჩნია და ჩვენთანაც წაადგება დასაქმებას. დავიწყოთ სოფლის მეურნეობით - შეგვიძლია საკუთარი თავი ვკვებოთ. არც ხორცის შემოტანა გვინდა, არც რძის ნაწარმის, არც ხილისა და ბოსტნეულის. ჩვენ მივხვდით, რომ არ ვართ ქვეყანა, სადაც განვითარდება ბეისბოლი ან ბალახის ჰოკეი. ამიტომაც სპორტის 12 სახეობა აირჩიეს, რომელიც უნდა განვითარდეს. ასევეა საჭირო ეკონომიკაშიც. საკონსერვო დარგის აღორძინება არა მხოლოდ ეკონომიკაა, არამედ დასაქმებაც. საქართველოში 75 ასეთი ქარხანა იყო და დღეს ყველა გაჩერებულია. ამიტომ ჩამოვიდა თბილისში მთელი საქართველო. ასევეა ხე-ტყის გადამუშავება. უნიკალური ჯიშები გვაქვს. ან მიკროენერგეტიკა, რომელსაც საქართველოში დიდი პოტენციალი აქვს. სამთო ტურიზმიც ძალიან პერსპექტიულია... ჩამოთვლილი დარგებიდან დღეს რას ვაკეთებთ?

**- დიახ, დღეს ეს ყველაფერი არ არის და ისიც ფაქტია, რომ დღეს არ გაჩერებულა. 12-წლიანი ნგრევის და ძარცვის შედეგების გამოსწორებისთვის არა მარტო ფული, დროც საჭიროა. ხელისუფლების ნებასაც ვერ ხედავთ?**

- ნებას და სურვილს ვხედავ, მაგრამ რეალურ ნაბიჯებს - ვერა. გეთანხმებით, განსაკუთრებით ენერგეტიკაში დიდი კორუფცია იყო და ვისაც შეეძლო, ყველამ ხელი აფათურა. მაგრამ, სწრაფი ეფექტია საჭირო. ხალხი ბევრ რამეს მოითმენს, მაგრამ უპერსპექტივობაში არ უნდა დარწმუნდეს. მხოლოდ გაყიდვით კი შორს ვერ წავალთ, ეს ხომ ერთჯერადი შემოსავლებია. ხვალ, როცა არ იქნება სააკაშვილი და ნოღაიდელი, რა უნდა გავაკეთოთ?!

**- ეს უკვე მეორედ თქვით. ბატონო გოგი, რამე ხომ არ იცით?..**

- ვიცი, რომ უნდა გვქონდეს გამოკვეთილი ამოცანები. ამის უფლებას კი ის ფინანსური ინსტიტუტები არ მოგვცემენ, რომელიც მართავენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას და არა მხოლოდ მას. თავად უნდა ვიფიქროთ დარგების განვითარებაზე.

**- ასეთი კომპანია რომ ჩაიბაროთ, როგორიც საქართველოა, საიდან დაიწყებდით?**

- იმ დარგების აღორძინებით, რომელიც საქართველოდან გაქცეულ ხალხს დააბრუნებდა. საქმეა გასაკეთებელი და არა მხოლოდ პიარი. შეხედეთ რიგებს საელჩოებთან... ხომ არ გეჩვენებათ, რომ განწირული ქვეყანა ვართ? საქართველო შეიძლება 1,5-მილიონიანი ქვეყანა გახდეს, სადაც ქართველები 40 პროცენტზე მეტი არ იქნებიან. ეს ეყოფა ნავთობსადენის, გაზსადენის, ეროვნული პარკების მომსახურებას; ეს არის ჩვენი მიზანი?

**- ცხოვრებას რომ მზერა გადაავლოთ, რომელი პერიოდი გახსენდებათ ყველაზე ნათელ ფერებში? რაღაცნაირი თაობა ხართ - ბავშვობაში რეპრესიების და მეორე მსოფლიო ომის დროს მშობლები დაგიხოცეს, მერე - აფხაზეთის, სამოქალაქო ომებში - შვილები წაგართვეს. მაინც საშინელი სიცოცხლისუნარიანობა გამოიჩინეთ, როგორ?**

- ახალგაზრდობა, ალბათ, ყველაზე ნათელი პერიოდია. მეც რეპრესირებული ოჯახიდან ვარ, 20-20 წელი აქვთ გატარებული გადასახლებაში მამას, მამიდას, ბიძას... ჩვენს თაობას ძალიან უქნევენ ხელს და ეს სწორი არ არის. ამ თაობაში ბევრი პროფესიონალია და მათი ასეთი იგნორირება დიდი შეცდომაა. ბევრ დარგს გამოადგებოდა ამ თაობის სპეციალისტთა გამოცდილება და ასეთები ბევრი შემიძლია დავასახელო. რთული პერიოდები იყო, მაგრამ ამ ბრძოლაში, რაღაცნაირად, გამოვიბრძმედეთ...

**- ყველაზე მწარე გაკვეთილი რა მიიღეთ?**

- ყველა ხელისუფლებასთან პრობლემები მქონდა...

**- პრობლემების შინაარსი ხელისუფლებებთან ერთად იცვლება?**

- ფორმა იცვლება. ნებისმიერ მეწარმეს ძალიან ადვილად მიუყენებდნენ 96-ე პრიმა მუხლს, რითიც 10 000 მანეთს გახდევინებდნენ და 12-15 წელი ციხეში ჩაგსვამდნენ. ახლა შეიძლება 12-15 მილიონი მოგთხოვონ და არ დაგიჭირონ. დღეს ოპოზიციას ლაპარაკის უფლება მაინც აქვს. ადრე ამისთვის რაიმე მუხლს მოგინახავდნენ.

**- სუხიშვილების უმცროსმა თაობამ ოჯახურ დარგში ახალი სიტყვა თქვა, თუმცა დიდი ილიკოს და ნინოს დროსაც იყო მსგავსი ნოვაციები. თქვენი ვაჟები ახალი თაობის ლუდს ჩამოასხამენ?**

- მათგან ბევრი სიახლე მოდის, ცივი ჩაიც მათი იდეაა. უფროსი ვაჟი მარკეტინგისა და რეკლამის მენეჯერია, მეორე კი - ტექნიკური მენეჯერი.

**- რა არ მოგწონთ მათში, როგორც ბიზნესმენებში?**

- ბიზნესში უფრო მკაცრები არიან, ვიდრე მე, თუმცა ეს საქმისთვის კარგია. აქ გავიზარდე, ბევრი ახლობელი და ნაცნობი მყავს და ზოგჯერ პრინციპულობას ვერ ვიჩენ. ვატყობ, რომ ისინი ამისგან განთავისუფლებულები და უფრო პრაგმატულები არიან... ასეა, დღეს იმდენს უჭირს თბილისში და იმდენს ვიცნობ, რომ რაღაც ანგარიში უნდა გაუწიო. ამისგან განთავისუფლებულები არიან. თუმცა, კარგად და ბევრს მუშაობენ. ალბათ, ჩემი მეგობრის თენგიზ სუხიშვილის მაგალითზე, ილუშასა და ნიანუსავით გააგრძელებენ და გააფართოებენ ბიზნესს, ამის უნარი ჩემს ვაჟებს აქვთ.



## აფიშა

### კონცერტი

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
ოთარ რამიშვილი - 70
"გული უმღერის გულს"
დას: 18:00 სთ.

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
გაგა ნახუცრიშვილი, ზურა ქიქოძე
"ზეწოლა"
რეჟისორი: ზურა ქიქოძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ეჟენ იონესკო
"გაკვეთილი"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
ფრიდრიხ დიურენმატი
"მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
ფასი: 2-3 ლარი
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
მოლიერი
"დონ ჟუანი"
რეჟისორი: ალექსი ჯაყელი
დას: 19:00 სთ.

### კინოთეატრები

**რუსთაველი**
"გარეკილები"
დას: 20:00 სთ.

"რობოტები"
დას: 13:30; 15:30; 17:30 სთ.

"გოგონა მილიონ დოლარად"
დას: 22:00 სთ.

**ამირანი**
"ზარი2"
დას: 20:00; 22:00 სთ.

"რობოტები"
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

### გამოფენები

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"თიხიანი ხელები"
მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
თაკო შანშიაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
საგაზაფხულო გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება)

**ჰობი**
ბავშვთა ნახატების გამოფენა-კონკურსი

**ცენტრ-პოინტის გალერეა**
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**დოკუმენტური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**ანიმაციური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს:

0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4

ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: kinocentre@myoffice.ge

# პრინცები, პრინცესები და არქაული სტილი

თეონა ჭაფარიძე

გუშინ, შუადღის ორ საათზე, ბარნოვისა და რიგის ქუჩების გადაკვეთაზე, "**ცენტრ პოინტ გალერეას**" მცირე ესკორტი მოადგა. შემთხვევითმა გამვლელებმა, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რომ ორი წარმოსადეგი მამაკაცი, თავიანთი თანმხლები ამალით, რომელთაც ვიწრო ქუჩა გადაკვეთეს და გალერეაში შებრძანდნენ, არც მეტი, არც ნაკლები, ქართველი მონარქები ბრძანდებოდნენ - **მისი უდიდებულესობა გიორგი (ხორხე) ბაგრატიონი** და მისი ვაჟი **დავით ბაგრატიონ მუხრან-ბატონი** გალერეას კიდევ ერთი ბაგრატიონის - **ლია ბაგრატიონის** ნამუშევრების სანახავად ესტუმრნენ.

სპეციალურად მათი ჩამოსვლისთვის მოაწყვეთ ეს გამოფენა? - ჰკითხა ერთმა ჟურნალისტმა მხატვრს. "მე საკუთარი სიამოვნებისთვის ვმუშაობ. ამ კერამიკაზე ხუთი წელია ვფიქრობდი, გამოფენა კი ორი კვირის წინ გაიხსნა. ჩემი ნათესავები კი, რადგან საქართველოში ჩამობრძანდნენ, დიდი სიამოვნებით დავპატიჟე. მეც სწორედ ბაგრატიონთა მუხრან-ბატონების შტოს ვეკუთვნი". ვერაფერს იტყვი, სწორედ მეფური პასუხია, მაგრამ არანაკლებ მეფური და დახვეწილია თავად ექსპოზიცია და ნამუშევრები - ეს კერამიკული ტექნიკის, ხელოვნებისა და ხელოვნების ისტორიის დემონსტრირებაა. ეგვიპტური და ბერძნული არქაიკა თანამედროვე ინტერპრეტაციითაა წარმოდგენილი. ეს არ გახლავთ ჩვეულებრივი გამოყენებითი-დეკორატიული ხელოვნება, რადგან ამფორებს, კერამიკულ სატევრებსა და თიხის ფიალებს ოქროს მარტივი ორნამენტებით ნამდვილად არა აქვს ყოფითობის დატვირთვა. აქ უფრო დროსა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ესთეტიკას შეიგრძნობთ.

დროის, ეპოქებისა და აღმოსავლურ-დასავლურის ნაზავის განცდას, ნამუშევრების გარდა, გალერეის მაღალი სტუმრებიც - ესპანეთში დამკვიდრებულ მუხრან-ბატონთა შტოს წარმომადგენლებიც იწვევდნენ: "**70 წლის ასაკში ძნელია, ცხოვრების წესი შეცვალო, მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე, საქართველოში**



ხორხე და დავით ბაგრატიონები



ოტომანთა შტოს წარმომადგენლები და დავით ბაგრატიონი.

**დავბრუნდე. ამაზე ყოველთვის ვფიქრობდი",** - ფრანგულად გვესაუბრება გიორგი (ხორხე) ბაგრატიონი. თარჯიმნობას გალერისტი და ხელოვნებათმცოდნე - ქალბატონი **ირა გუნცაძე** გვიწევს. ქართველ მონარქს ჭაღარა თმა, საოცრად ლურჯი და ძალიან ნაღვლიანი თვალები აქვს. ახალგაზრდობაში ავტორბოლით ყოფილა გატაცებული.

მის ვაჟთან - დავით ბატონიშვილთან საუბრისას ჟურნალისტებს თარჯიმანი აღარ გვჭირდება. დავითი დამტვრეული ქართულით გვეუბნება, რომ უკვე ორი წელია, რაც ქართულს სწავლობს და საქართველოში საინტერესო ბიზნეს გეგმები აქვს.

"ცენტრ პოინტ გალერეის" მესვეური ქალბატონი **რუსუდან კერვალიშვილი-დარასელი** მაღალ სტუმრებს გალერეის სახელით ფერწერული ტილოთი - ალექსანდრე (საშა) ბაგრატიონის პეიზაჟით ასაჩუქრებს. ბატონი ხორხე ბაგრატიონი კი თავისი ხელით ირჩევს კიდევ ერთ საჩუქარს - ლია ბაგრატიონის უჩვეულო კერამიკის ბეჭედს.

ცოტა ხანში კი გალერეაში, არ დაიჯერებთ და, სტუმრებს **ოტომანთა დინასტიის** შთამომავლები - **მისი საიმპერატორო უმაღლესობა პრინცესა ირინა და პრინცესა ნილუფერი** უერთდებიან. ოტომანებსაც ნათესაური და საქველმოქმედო კავშირები აქვთ საქართველოსთან: პრინცესა ირინა გენერალ ჯონ მალხაზ შალიკაშვილის ბიძაშვილია. მათ დიდ პაპას, გენერალ დიმიტრი სტაროსელსკის კი ილია ჭავჭავაძის მეუღლის - ოლღა გურამიშვილის და - ეკატერინე ჰყოლია ცოლად. პრინცესები სწორედ საგურამოს მონახულების შემდეგ მობრძანდნენ გალერეაში. მათ მიერ ჩატარებულ საქველმოქმედო გალამიღებებს ომანსა და სტამბულში, საქართველოც მიემატება. ისინი "ბავშვთა დახმარების ასოციაციას" ხელმძღვანელობენ.

აუცილებლად გაიარეთ "ცენტრ პოინტ გალერეაში". შესაძლოა, მონარქებს ველარ გადაეყაროთ, მაგრამ აუცილებლად დაგხვდებათ არქაული სტილი და უჩვეულო კერამიკა. ლია ბაგრატიონის გამოფენა კიდევ ერთ თვეს გაგრძელდება.

# ქართული კინო ბაზრობის მოლოდინში

### მორიგი რეცეპტი რეანიმაციისთვის

ვერა ნეფარიძე

*მაინც დიდი პოტენციალი აქვს ქართულ კინოს; დროა, საუბრიდან მოქმედებაზე გადავიდეთ და გამოვაცოცხლოთ კინოცხოვრება საქართველოში, - ითქვა გუშინ თბილისის I საერთაშორისო კინო-ტელე-ვიდეო ბაზრობის პრეზენტაციაზე. ღონისძიების წარსადგენ შეხვედრას კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ უმასპინძლა.*





ვახო ბესელიას ფოტო

თანამედროვე ქართულ კინემატოგრაფიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა განხორციელდეს. ამ ცვლილებების მოსახდენად თითქმის თანაბარი ამბიცია აქვს როგორც სახელმწიფოს (მისი შესაბამისი სტრუქტურული რგოლის აქტიურობის მიხედვით), ისე კინემატოგრაფიაში მოღვაწე ადამიანებს და, რაც მთავარია, მეცენატებს - ჩვეულებრივ საქმოსნებს, რომელთაც სურთ, რომ სწორედ ქართული კინოს განვითარებაში დააბანდონ კაპიტალი. ამის ნიშანია ის "მწვანე შუქი", რომელიც, როგორც მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, "კინოქალაქის" პროექტს გუშინ აუნთეს მთავრობის სხდომაზე; პროექტის ავტორია საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია GRDC-ს, რომელიც ამ მნიშვნელოვან საქმეს სახელმწიფო სტრუქტურებთან და სააქციო საზოგადოება "ქართულ ფილმთან" ერთად ახორციელებს. ჩანს, ქართული კინოს განვითარებისთვის ინვესტორები უპრეცედენტო ენთუზიაზმს იჩენენ - ეს გუშინ სამინისტროში გამართულ შეხვედრაზეც დადასტურდა. ღონისძიებას, რომელიც პირველად მაისის ბოლოს გაიმართება საქართველოში და რომლის მიზანიც ჩვენში კინემატოგრაფიული ცხოვრების გამოცოცხლებაა, მზრუნველთა არც ისე მცირე გუნდი ჰყავს.

"ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ინიციატივა, როგორც მნიშვნელოვანი ნაბიჯი სფეროს განვითარებისთვის, მისი დაფინანსების წყაროს მოსაძიებლად. ჩვენი მხრიდან ინიციატივას სრული მხარდაჭერა აქვს", - განაცხადა გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა. "ჩვენ დიდი ხანია, ვსაუბრობთ ამაზე და დროა, საუბარი დასრულდეს, გადავიდეთ მოქმედებაზე", - განაცხადა პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა რეჟისორმა ბუბა ხოტივარმა და ისიც გაიხსენა, რომ დავით აბდალაძესთან (რომელიც ამჟამად კინო-ტელე-ვიდეო ბაზრობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა) ერთად, საბჭოთა კავშირის არსებობისას მსგავსი ბაზრობა მოაწყო; თუმცა, ის სხვა სივრცე და სხვა რეალობა იყო. "ეს კი ქართული კინოს რეანიმაციისთვის მეტად საჭირო ღონისძიება იქნება", - დაამატა მან.

თბილისის I საერთაშორისო კინო-ტელე-ვიდეო ბაზრობას კინემატოგრაფისტთა გილდია, კინოსტუდია "მემატიანე" და კინოპროდიუსერთა ცენტრი "კინო პლუს", საქართველოს კულტურის სამინისტროს პატრონაჟით, კინოთეატრ "ამირანში" გამართავს (29 მაისიდან 6 ივნისამდე). "ქართული კინოს სამყაროსთვის კინო-ტელე-ვიდეო ბაზრობის მოწყობა საერთაშორისო დონეზე მართლაც ისტორიული მოვლენაა. ამ ღონისძიებას უდიდესი როლი ენიჭება ქართული კინოს აღდგენაში, რადგან მოწვეული არიან 50-მდე ქვეყნის წამყვანი კინომწარმოებლები, დისტრიბუტორები. ჩნდება კოპროდუქციული ფილმების, გადაღებული ქართული ფილმების გაყიდვა-გაქირავებისა და მრავალი სხვა ერთობლივი პროექტის განხორციელების რეალური შანსი", - წერია ორგანიზატორთა საინფორმაციო ტექსტში. ბაზრობაში მონაწილეების შესახებ დაწვრილებით არც გუშინდელ შეხვედრაზე თქმულა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩამოთვლილი საინფორმაციო მხარდაჭერის ნუსხაში რუსული ორგანიზაციები ჭარბობდნენ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბაზრობაზე მონაწილეთა დიდ დელეგაციას სწორედ რუსეთიდან უნდა ველოდოთ. თუმცა, საინტერესოა, რამდენად დიდი იქნება დაინტერესება, რადგან ბაზრობაში მონაწილეობა, როგორც ეს საგანგებოდ ბაზრობისთვის შექმნილი საინფორმაციო ვებ-საიტიდან შევიტყვეთ, გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, "მონაწილეობისთვის, რეგლამენტით დადგენილი მომსახურების საფასური, კინობაზრობის ანგარიშზე გადმორიცხული უნდა იყოს 2005 წლის 15 მაისამდე", - წერია რეგლამენტში. ერთი კვირის განმავლობაში მონაწილეებს ენიჭებათ სრული თავისუფლება (საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით), შეუზღუდავად წარმოადგინონ კინო-ტელე-ვიდეო პროდუქცია. კინო-ტელე-ვიდეო ბაზრობა ოფიციალურად 30 მაისს გაიხსნება. ყოველდღიური კინოჩვენებების გარდა, მონაწილეებს სრულფასოვან დასვენებასა და გართობასაც ჰპირდებიან. დაგეგმილია ბრიფინგები, შეხვედრები საქმიან წრეებთან, პარლამენტში მთავრობის წარმომადგენლებთან, კულტურის სამინისტროში, ასევე ქართული კინოსა და შოუბიზნესის წარმომადგენლებთან. სავარაუდოდ, ღონისძიება ყოველწლიური იქნება. "იმედია, როგორც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, საქართველოშიც ეს პროექტი წარმატებით განხორციელდება და სულ მალე ქართული კინოწარმოება მსოფლიო აღიარებას მოიპოვებს", - მიაჩნიათ ორგანიზატორებს.

# პირი გააღეთ და თქვით: „გლუკ ოზაააა!"

### მუსიკალური აბი ქართველი თინეიჯერებისთვის

ია ვეკუა

ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობრის შვილმა, 8 წლის ზიზიმ ერთი კვირის წინ მოულოდნელი განცხადება გააკეთა: "თუ "გლუკ ოზას" კონცერტზე არ წამყვანთ, თავს მოვიკლავ!" დედა, რომელიც შვილს გაჩენის დღიდან "ლედ ზეპელინისა" და "დიპ ფარფლის" მუსიკაზე აძინებდა და ჭირვეულობის შემთხვევაში მათ კონცერტზე წაყვანას ჰპირდებოდა, შოკში ჩავარდა. მაგრამ დედა დედაა და პატარა ზიზი კონცერტზე მაინც მოხვდა. მასთან ერთად აბი გლუკოზა იმ ათასობით თინეიჯერმაც გასინჯა, რომლებიც თურმე იმდენად საჭიროებენ მკურნალობას, რომ "გლუკ ოზას" კონცერტზე წასვლაც არ დაიზარა და ჯგუფისთვის სიყვარულის ახსნაში წინაპრებისგან ანდერძად ბოძებული ქართული მრავალხმიანობისთვის განკუთვნილი ყელი უშურველად ჩაიხია.

ამბობენ, რომ "გლუკ ოზა" თბილისში მეორედ ჩამოსულა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ სიყვითლისგან გახუნებულმა ერთ-ერთმა ჟურნალმა ჯგუფის მესამე ვიზიტიც ამოქექა. ვილაც მდიდარ მამას საკუთარი შვილის დაბადების დღეზე, გასართობად, სწორედ "გლუკ ოზა" ჩამოუყვანია, რისთვისაც მთელი 60 ათასი დოლარიც არ დანანებია (ეს ფული რას ააშენებდა ქართულ ესტრადას!).

სპორტის სასახლეში შეკრებილებს კი "გლუკ ოზას" მუსიკალური თერაპია მთელი ოთხი ნულით ნაკლები, ანუ 6 ლარი დაუჯდათ. ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ კონცერტზე იმაზე მეტი მსმენელი მივიდა, ვიდრე ეს დარბაზი რეალურად იტევს. 20 წლამდე ასაკის თინეიჯერთა ეს მრავალათასიანი არმია მთელი საათნახევრის განმავლობაში ელოდა, როდის გამოგოგმანდებოდა სცენაზე დიდთავა "გლუკ ოზას" ადამიანური ვარიანტი. საბოლოოდ, ასეც მოხდა და დარბაზმა ისე იხუვლა, რომ "ოლდ ტრაფორდზე" შეკრებილ "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ლივერპულის" გავეშებულ თაყვანისმცემლებსაც შეშურდებოდათ.

დარბაზში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც კონცერტს მხოლოდ შვილის საპატრონოდ ესწრებოდნენ. თუმცა, ისინიც წამიერად ახალგაზრდავდებოდნენ და რესტორნებში დაყენებულ ღიპებს "გლუკ ოზას" ელექტრონულ რიტმებზე ათახთახებდნენ.

ჩემთვის კი ყველაზე ძნელი იმ ზღვრის გადალახვა აღმოჩნდა, როდესაც Extreme-ს III Sides To Every Story-დან (გზაში ვუსმენდი) "გლუკ ოზას" "კოზა ნოსტრაზე" გადართვა გახდა საჭირო. მაგრამ უფრო ძნელი კომპიუტერული ანიმაციიდან მოულოდნელად რეალურ ადამიანად ქცეული გლუკოზას არაბუნებრივ ხმაზე აცეტებული თინეიჯერების ყურება იყო. ერთი შეხედვით გაუგებარია, რით იზიდავს ამდენ მსმენელს თითქმის არანაირი ვიზუალური სიკოხტავით გამორჩეული ქერა გოგონა, რომელიც, ამავდროულად, სრულიად არაბუნებრივი ხმით მღერის. მათთვის მომხიბლავი ვერც სიმღერების ტექსტები იქნება, რადგან "გლუკ ოზას" აქაური თაყვანისმცემლები მომღერლის სასაუბრო ენასაც საყველპუროდ ფლობენ. საქმე, ალბათ, მხოლოდ რიტმულ მელოდიასა და პროდუქტის შეფუთვის ხელოვნებაშია, რომელსაც ჩვენი შოუბიზნესი მოკლებულია.



"გლუკ ოზა" რუსულ შოუბიზნესში გარკვეული წონის მქონე მაქს ფადეევის პროექტია. როგორც ამბობენ, ჯგუფის სტილი პოპ-რეტრო-პანკით განისაზღვრება, მარტივად კი ადვილად მოსასმენ სასიამოვნო მუსიკას უწოდებენ. რაც შეეხება ტექსტებს, მომღერალი თურმე იმ ისტორიებზე მღერის, რომლებიც თავად გადახდება ხოლმე და რომლებზეც ამღერება ღირს. ჯგუფის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ მისი ყველა კლიპი კომპიუტერული ანიმაციითაა დამზადებული და თეთრთმიანი "თავგასიებული" გოგონა მუდამ საყვარელ დობერმანთან ერთად დარბის, მღერის და უმა თურმანის "მოკალი ბილისეული" გმირივით სამურაის ხმლითაც ოსტატურად იბრძვის.

ერთი შეხედვით, "გლუკ ოზას" კომპიუტერული ფორმატი ორიგინალური გადაწყვეტაა, მაგრამ თანამედროვე მუსიკაში ჩახედულებს აუცილებლად გაახსენდებათ ანიმაციური Gorillaz და მაქს ფადეევის გონებრივ სისხარტეში ეჭვიც შეეპარებათ. მიუხედავად ამისა, ჯგუფი მაინც იქცა ნოვაციად და ორი ალბომით, რამდენიმე სუპერჰიტითა და საამოდ საცქერი კლიპებით საკუთარი აუდიტორიის შემოკრებაც შეძლო.

ეს გუშინ იყო. დღეს კი ფილარმონიაში ოთარ რამიშვილის კონცერტია...

# უფროსი ძმა, რომელსაც პატივისცემა სჭირდება

ირაკლი მახარაძე

ბევრ ამერიკულ ფილმში ეპიზოდურ ან სულაც მცირე როლებში ისეთი სახასიათო მსახიობები მონაწილეობენ, რომლებიც თავისი თამაშით დიდ ზემოქმედებას ახდენენ მაყურებელზე, ან კიდევ სულაც ჩრდილავენ მთავარი როლების შემსრულებლებს. ხშირად აუდიტორიამ მათი გვარ-სახელიც კი არ იცის.

ერთი ასეთი მსახიობი იტალიური წარმოშობის ამერიკელი ჯონ კაზალი იყო. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მან ხუთ ფილმში - ხუთ შედევრში მოასწრო თამაში: "ნათლია", "საუბარი", "ნათლია 2", "თაკარა შუადღე" და "ირმებზე მონადირე". მისი კარიერა აღმავლობას განიცდიდა, მაგრამ 1978 წლის 12 მარტს იგი 42 წლის ასაკში კიბოთი გარდაიცვალა. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ ალაპარაკდნენ კინოკრიტიკოსები მისი სამსახიობო ოსტატობის შესახებ, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო. "ერთადერთი, რაც ჩემი სიცოცხლის მანძილზე მინდოდა გამეკეთებინა, ეს ჯონთან ერთად თამაში იყო", - ამბობდა მის შესახებ ალ პაჩინო.

ჩვენი მაყურებლისთვის ის პირველ რიგში ცნობილია ფრედოს როლით ფილმიდან "ნათლია". კაზალიმ კორლეონეს სამი ძმიდან ყველაზე სუსტი და გულჩათხრობილი შუათანა ძმა განასახიერა. მაგრამ ფრედო ისეთი შინაგანი ენერგიით იყო დამუხტული, რომ იგი მაყურებლის მხრიდან სიმპათიას თუ არა, სიბრალულს მაინც იწვევდა. მისი ნახევარმთვარის მსგავსი ვარცხნილობა, სევდიანი შავი თვალები ხელს უწყობდა, რათა იგი უკანა პლანზე გადასულიყო და ადგილი დაეთმო ჰაბიტუსით უფრო მომგებიან ალ პაჩინოს, ჯეიმს ქაანისა და რობერტ დე ნიროსთვის. ალბათ, ამიტომაც აკადემია მის დახვეწილ და გულშიჩამწვდომ თამაშს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

ჯონ კაზალი დაიბადა ბოსტონში 1935 წლის 12 აგვისტოს. სწავლობდა დრამატულ ხელოვნებას ობერლინის კოლეჯსა და ბოსტონის უნივერსიტეტში. შემდეგ გადაბარგდა ნიუ იორკში, სადაც შეხვდა და დაუმეგობრდა დამწყებ მსახიობს ალ პაჩინოს. "როდესაც ჯონს პირველად შევხვდი, - იხსენებდა პაჩინო, - მაშინვე თვალში მეცა მისი საინტერესო სახე. ყველა მის გარშემო ტრიალებდა, რადგან ჰქონდა საკუთარი თავის მიწოდების განსაკუთრებული ნიჭი".

ერთხანს ერთად ცხოვრობდნენ საერთო საცხოვრებელში, ერთდროულად მიიღეს როლები იზრაელ ჰოროვიცის სპექტაკლში "ინდიელს ბრონქსში უნდა". ბრწყინვალე თამაშისთვის ორივემ ობის პრემია მიიღო (ობი - თეატრალური პრემია, რომელიც ენიჭება საუკეთესო მსახიობებს, რომლებიც მოღვაწეობენ ბროდვეის ფარგლებს გარეთ. ტერმინი "ობი" სიტყვების Off Broadway პირველი ასოებიდან წარმოიქმნა). კაზალიმ ჰოროვიცის სხვა პიესაშიც გაიბრწყინა, რითაც მიიპყრო "ნათლიას" კასტინგის რეჟისორის ფრედ როსის ყურადღება, რომელმაც მისი კანდიდატურა ფრენსის ფორდ კოპოლას შესთავაზა. "ნათლიას" პირველ ნაწილში ცოტა ჰქონდა სათამაშო, მაგრამ რაც მან გააკეთა, ძალიან შთამბეჭდავი იყო. განსაკუთრებით ვიტო კორლეონეზე თავდასხმის ეპიზოდში, როცა ფრედოს ხელიდან უვარდება იარაღი და ვერ იცავს მამას ბანდიტებისგან (მრავალი წლის შემდეგ ეს ეპიზოდი მშვენივრად გააშაყირა რობერტ დე ნირომ ფილმში "გააანალიზე ეს"). "იტალიურ ოჯახებში არიან ძმები, რომლებიც ყოველთვის ჩრდილში არიან მოქცეულნი, - ამბობდა ფრენსის ფორდ კოპოლა, რომელიც ასევე საკუთარი ძმის ჩრდილში გაიზარდა, - საკუთარ თავს მე ფრედოსთან ვაიგივებდი".



კაზალი და ალ პაჩინო ("ნათლია-2").

"ნათლიას" მეორე ნაწილში კაზალის ფრედო საკუთარ ძმას ულალატებს. როდესაც მაიკლი მას ღალატში დაადანაშაულებს, დაუვიწყარია ჯონ კაზალის თამაში და სიტყვები:" მე შენი უფროსი ძმა ვარ მაიკ, მე შენზე წინ ვარ, მე ჭკვიანი ვარ და პატივისცემა მჭირდება". ფილმიდან მისი პარტნიორი დომინიკ ჩიანეზი, რომელიც ჩვენთვის კარგად არის ცნობილი როგორც ბიძია ჯუნიორი "სოპრანოს კლანიდან", ამბობდა: "ჯონს შეეძლო თავისი გული გაეხსნა, ისე რომ, მის ტკივილს თქვენც იგრძნობდით. ასეთი ნიჭით კი ძალიან ცოტა მსახიობია დაჯილდოებული".



მერილ სტრიპთან ერთად.

საყურადღებოა მისი როლი კოპოლას თრილერში "საუბარი", სადაც მან ჯინ ჰექმენის ასისტენტი განასახიერა. როგორც ერთი კინომცოდნე ამბობდა, "ეს ფილმი მთლიანად ჰექმენისა იყო. აკადემიამ ჰექმენი არ წარადგინა ოსკარზე. ამიტომ კაზალიც არ წარსდგინეს".

კაზალი და ალ პაჩინო ერთმანეთს ისევ შეხვდნენ გადასაღებ მოედანზე სიდნი ლუმეტის ფილმში "თაკარა შუადღე". რეალურ ამბავზე დაფუძნებული ფილმი მოგვითხრობს ისტერიულ ჰომოსექსუალზე (პაჩინო), რომელიც ბანკის ძარცვას გადაწყვეტს, რათა თავის საყვარელს სქესი შეუცვალოს. პაჩინო მაშინ უკვე დიდი ვარსკვლავი იყო, ამიტომ ჰქონდა მსახიობისა და რეჟისორის არჩევის უფლება. მან მეორე მძარცველის, სალის როლზე კაზალი მოითხოვა. "როცა ალმა ჯონის კანდიდატურა შემომთავაზა, ვიფიქრე, ხომ არ გაგიჟებულა-მეთქი, - იხსენებდა სიდნი ლუმეტი, - შემდეგ შევხვდი ჯონს და მან მაშინვე დამატყვევა". კაზალიმ დაგვიხატა ცივსისხლიანი და მოკვლისთვის მზადმყოფი გმირი, რომელიც არ გამოირჩეოდა გონებრივი შესაძლებლობებით. ფილმის ერთ-ერთ ყველაზე სასაცილო და ცნობილ ეპიზოდში პაჩინოს გმირი ეკითხება სალის, ძარცვის შემდეგ რომელ ქვეყანაში გინდა გაქცევაო, რაზეც იგი პასუხობს: ვაიომინგში... კაზალი წარადგინეს "ოქროს გლობუსზე". თუმცა, აკადემიამ ამჯერადაც უგულებელყო მისი თამაში და მის მაგივრად წარადგინა ქრის სარანდონი. "გაოგნებული ვიყავი, - თქვა პაჩინომ, - ფილმი მას უნდა უმადლოდეს წარმატებას ".

ჯონ კაზალი მთელი სამი წლით ჩამოშორდა კინემატოგრაფს და სცენას დაუბრუნდა. 1976 წელს მან გაიცნო და შეიყვარა 26 წლის მაშინ ყველასთვის უცნობი მერილ სტრიპი. ისინი უკვე დანიშნული იყვნენ და საქორწინოდ ემზადებოდნენ, როცა კაზალის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. ამის შემდეგ სტრიპი მას გვერდიდან აღარ მოშორებია. "მე არავინ მინახავს, ასე რომ ყოფილიყო გადაყოლილი საყვარელ ადამიანზე", - ამბობდა პაჩინო მერილ სტრიპის შესახებ.

მსახიობის ავადმყოფობის მიუხედავად, რეჟისორმა მაიკლ ჩიმინომ იგი აიყვანა თავის ეპიკურ ფილმში "ირმებზე მონადირე". ალბათ, ბევრს ახსოვს, რა მძაფრი რეაქცია გამოიწვია ამ სურათმა საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით კი ჟრუანტელის მომგვრელმა ეპიზოდმა, რომელშიც ვიეტნამელი ჯარისკაცები ამერიკელ ტყვეებს რუსული რულეტის თამაშს აიძულებენ. ფილმში მერილ სტრიპსაც ერგო როლი, ამიტომ იგი მთელ დროს კაზალისთან ერთად ატარებდა. პროდიუსერებმა მისი ავადმყოფობის შესახებ არაფერი იცოდნენ. როდესაც ეს შეიტყვეს, კაზალის ფილმიდან გაშვება სცადეს. მაშინ მერილ სტრიპი დაემუქრა მათ: თუ ისინი კაზალის დაითხოვდნენ, თვითონაც დატოვებდა ფილმს. მსახიობის ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა, ამიტომ რეჟისორმა გადაღებების გეგმა მთლიანად შეცვალა და სცენები კაზალის მონაწილეობით პირველ რიგში გადაიღო. ფილმის დასრულებიდან ხუთი თვის შემდეგ ჯონ კაზალი გარდაიცვალა. "ჯონის სიკვდილი ჩემთვის ნამდვილი შოკი იყო, რადგან ამას არ ველოდი", - იხსენებდა მოგვიანებით სტრიპი.

"ჯონმა ნამდვილად დაიმსახურა ოსკარი ყველაფრისთვის, რაც კი გააკეთა", - ამბობდა დომინიკ ჩიანეზი. "მასთან მუშაობა ყოველთვის ადვილი იყო. იგი იმ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელიც ბევრს გასცემს, ყურადღებიანი და ფაქიზია საკუთარი პარტნიორის მიმართ", - თქვა ალ პაჩინომ.

ჟურნალისტ ბრუს ფრეთსის სიტყვებით კი, ჯონ კაზალი იყო მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებელი, რომელსაც ოსკარის ფიგურა არასოდეს ღირსებია.

## ათეულები

**კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით**

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ანა კორძაია-სამადაშვილი | "მე, მარგარიტა" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 12.8 |
| ენდრიუ ჰეივუდი | "პოლიტიკური იდეოლოგიები" | "ლოგოს პრესი" | 3.6 |
| ოტია იოსელიანი | "შელისფელისფელა ზღაპრები" | "ფარი" | 3.2 |
| ამბერი და სხვ. | "შერჩეული მითები" | "გია ქარჩხაძის გამომცემლობა" | 2.8 |
| აბაკელია და სხვ. | "საქართველოს ატლასი მოსწავლეთათვის" | "დიოგენე" | 2.8 |
| ლაშა ბუღაძე | "ბოლო ზარი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2.4 |
| რეი გიბსონი | "მე შემიძლია ცხოველების ხატვა" | "გია ქარჩხაძის გამომცემლობა" | 2 |
| ზაალ სამადაშვილი | "პლეხანოვური ამბები" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |
| აკა მორჩილაძე | "მოგზაურობა ყარაბაღში" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |
| კრებული | სამაგიდო ლექსები | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |



**ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით**

| ფილმის სათაური | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "საჰარა" | ბრეკ აიზნერი | მეთიუ მაკქონეი, პენელოპა კრუზი, სტივ ზანი | 18,068,372 | 18,068,372 |
| "ცოდვის ქალაქი" | რობერტ როდრიგესი, ფრენკ მილერი | ბრიუს უილისი, ჯოშ ჰარტნეტი, მაიკლ მედსენი | 14,154,696 | 50,762,939 |
| Fever Pitch | პიტერ და ბობი ფარელი | დრიუ ბერიმორი, ჯიმი ფელონი | 12,400,125 | 12,400,125 |
| "გამოიცანი, ვინ" | კევინ სალივანი | ბერნი მაკი, ეშტონ კუჩერი, ზოი სალდანა | 7,018,395 | 51,021,623 |
| "სილამაზის სალონი" | ბილი უუდრაფი | ქუინ ლატიფა, კევინ ბეკონი, ალისია სილვერსტოუნი | 6,808,532 | 26,124,657 |
| "რობოტები" | კრის უეჯი, კარლოს სალდანია | ევან მაკგრეგორი, ჰალი ბერი, მელ ბრუქსი, გრეგ კინეარი, ჯენიფერ კულიჯი | 4,652,252 | 111,040,714 |
| "მის კონგენიალობა-2: შეიარაღებული და მომხიბვლელი" | ჯონ პასკუინი | სანდრა ბალოკი, რეჯინა კინგი, ენრიკე მურსიანო | 4,184,319 | 37,532,083 |
| The Pacifier | ადამ შენქმენი | ვინ დიზელი, ლორენ გრეჰემი | 3,116,340 | 100,566,320 |
| "ზარი-2" | ჰიდეო ნაკატა | ნაომი უოტსი, დევიდ დორფმანი, საიმონ ბეიკერი | 2,867,390 | 72,279,279 |
| The Upside of Anger | მაიკ ბაინდერი | კევინ კოსტნერი, ჯოან ალენი, ერიკა კრისტენსენი | 2,500,503 | 12,256,474 |

**თანამედროვე როკის კვირის ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით**

| შემსრულებელი | სიმღერა | წინა კვირის პოზიცია | ჩარტებში გატარებული კვირათა რაოდენობა |
|---|---|---|---|
| "აუდიოსლეივი" | Be Yourself | 2 | 3 |
| "ბეკი" | Pro-Beck | 1 | 8 |
| "გრინ დეი" | Holiday | 4 | 10 |
| "ქუინზ ოფ ზე სთოუნ ეიჯი" | Little Sister | 3 | 11 |
| "ნაინ ინჩ ნეილზი" | The Hand That Feeds | 8 | 2 |
| "გრინ დეი" | Boulevard of Broken Dreams | 5 | 26 |
| "ბრეიკინგ ბენჯამინი" | Sooner or Later | 10 | 12 |
| "ჯიმის იტ უორლდი" | Work | 6 | 16 |
| "მარს ვოლტა" | The Widow | 7 | 12 |
| "ქილერზი" | Mr. Brightside | 9 | 26 |

TV-სპორტი

**შაბათი. 16 აპრილი**

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა

12:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. მეოთხედფინალი. "იუვენტუსი" - "ლივერპული". საპასუხო მატჩი

14:10 "FUTBOL MUNDIAL"

14:40 "საფეხბურთო კლუბი"

15:25 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. მეოთხედფინალი. პსვ - "ლიონი". საპასუხო მატჩი. შესვენებისას (16:15) - თავისუფალი დარტყმა

17:30 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"

17:55 ინგლისის ჩემპიონატი. "ლივერპული" - "ტოტენჰემი". პირდაპირი ტრანსლაცია

19:55 თავისუფალი დარტყმა

20:10 სახვალიო ტელეპროგრამა

20:20 გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" - "ჰერტა"

22:05 ინგლისის ჩემპიონატი. "კრისტალ პალასი" - "ნორვიჩი"

23:50 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" - "ვორსკლა". შესვენებისას (00:40) - თავისუფალი დარტყმა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 12:40, 18:40, 21:00 პრესცენტრი

10:20, 21:15 "ქრონიკა"

11:25 ჭიდაობა. ქალები. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ფინალები: 51კგ, 59კგ, 67კგ.

11:55 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი

12:55 "სარკის წინ"

13:05 ჩოგბურთი. "Masters Series" მონტე კარლოში. ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (16:30) - პრესცენტრი

18:55 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ფინალები: 55კგ, 66კგ, 84კგ. პირდაპირი ტრანსლაცია

21:20 სახვალიო ტელეპროგრამა

21:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "PHOENIX SUNS" - "LOS ANGELES CLIPPERS"

23:30 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "COLOGNE CENTURIONS" - "FRANKFURT GALAXY". შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა

11:00 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი

11:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი

13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია

15:45 მოტოსპორტი. პორტუგალიის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია

18:15 მოტოსპორტი. ლე მანის 24 საათი საფრანგეთში. პირდაპირი ტრანსლაცია

18:45 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია

20:00 ტაიკვანდო. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია

21:00 მოტოსპორტი. ლე მანის 24 საათი საფრანგეთში. პირდაპირი ტრანსლაცია

22:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია

00:45 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა

02:30 ახალი ამბები

02:45 მებრძოლთა კლუბი.

ფეხბურთი

# მაიკლ ოუენი: "გოლების გატანის ნიჭი მაქვს"

"ნუ იტყვი ოუენს, თქვი გოლი". დაახლოებით ასე შეიძლება ითქვას ამ ინგლისელზე, თუ გავითვალისწინებთ ახალ კლუბში მის მიერ გამართული მატჩების სტატისტიკას. მორიგი გოლის შემდეგ, რომელიც მან "ბარსელონას" კარში გაიტანა, ჟურნალისტებმა მოითხოვეს, გუნდის პრესკონფერენციაზე სწორედ მაიკლ ოუენი მოეყვანათ. მან საზოგადოებას თავისი წარმატების საიდუმლო გაანდო.

**- მწვრთნელი სამართლიანად მოიქცა, როცა "ბარსელონასთან" მატჩში ძირითად შემადგენლობაში გათამაშა?**

- არა მგონია, რომ ეს სამართლიანობის საკითხია. უბრალოდ, მწვრთნელმა თამაშისა და ჩემი შანსის გამოყენების საშუალება მომცა. ყოველთვის ვამბობდი, რომ თუ შანსს მომცემენ, ყოველმხრივ შევეცდები, ის, რაც შეიძლება, უკეთ გამოვიყენო. კვირას, ისევე როგორც ყველა მადრიდელმა, უზარმაზარი სიამოვნება მივიღე, რადგან ჩვენ შესანიშნავი მატჩი ჩავატარეთ. მე კი, უბრალოდ, იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ სათამაშო დრო მომეცა და ძირითად შემადგენლობაში ვითამაშე. ეს სამართლიანობის საკითხი არ არის.

**- როგორია შენი აზრი ეტო`ოს გამონათქვამზე იმის შესახებ, რომ "ჩვენ ერთ ადგილზე მდგარ" გუნდთან წავაგეთ?**

- მე ეტო`ოს დიდ პატივს ვცემ, რადგან ის შესანიშნავი ფეხბურთელია. კვირას მან კარგად ითამაშა და გოლი გაიტანა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ ბევრი ვირბინეთ. ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად ბევრი ვირბინე. მეორე დღეს, როცა გავიღვიძე, ყველაფერი მტკიოდა. თანამედროვე ფეხბურთში, თუ ერთ ადგილზე დგახარ და არ ინძრევი, მოგება ძალიან ძნელია. ფეხბურთი ხომ უფრო ათლეტური და ფიზიკურად მომქანცველი გახდა. ჩვენ კარგად ვიმუშავეთ.

**- ხომ არ გეჩვენება, რომ თუ მატჩის შემდეგ "ბარსელონას" მოთამაშეთა კომენტარების ტონით ვიმსჯელებთ, მათ ნერვიულობა დაეწყოთ?**

- არ ვიცი. მე მათი გამონათქვამები არ მომისმენია, მაგრამ თამაშის დამთავრების შემდეგ ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. მათ, ვინც ერთმანეთს იცნობდა, გასახდელისკენ მიმავალ გვირაბშიც განაგრძეს საუბარი. არ მომეჩვენა, რომ ისინი გაბოროტებულნი იყვნენ. მე არ ვიცი, ნერვიულობენ თუ არა ისინი, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლა ლიგა მოვიგეთ, რადგან უპირატესობა ჯერჯერობით მათ ხელშია. შეუძლებელია ივარაუდო, რა მოხდება მომავალში, რადგან ჩვენ "ბარსელონაზე" ვართ დამოკიდებული.

**- როგორია გოლების გატანის მაიკლ ოუენისეული რეცეპტი?**

- არ არსებობს არც რეცეპტი და არც საიდუმლო. ფეხბურთელებს საკუთარი, გამორჩეული თვისებები აქვთ. თუ გინდა მაღალი, ძლიერი ფორვარდი, რომელიც თავით კარგად თამაშობს, მაშინ არ გამოვდგები, მაგრამ თუ გსურს ფორვარდი, რომელსაც ბევრი გოლი გააქვს, მაშინ აქ ვარ. მე შვიდი წლის ასაკიდან გამაქვს გოლები, თანაც, ბევრი. არიან ფეხბურთელები, რომლებსაც ღვთისგან ბოძებული ნიჭი აქვთ. ჩემი ნიჭი გოლების გატანაა. ეს არავითარი საიდუმლო არ არის. ეს ჩემი სამუშაოა.



**- როგორ ხედავ შენს მომავალს? თუ მადრიდში მეტ სათამაშო დროს არ მიიღებ, განიხილავ კლუბიდან წასვლის საკითხს?**

- მე არასოდეს მითქვამს, რომ წასვლა მსურს. მადრიდში ყველაფერი მომწონს. მიუხედავად იმისა, რომ ლა ლიგაში მოვლენების განვითარებას ველოდებით, ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ აქ გატარებული ჩემი პირველი წელი ძალიან კარგი იყო. მე, ერთის გარდა, შინ ჩატარებულ ყველა მატჩში მივიღე მონაწილეობა და მაშინაც წესრიგში ვერ ვიყავი. ვფიქრობ, რომ წელს მადრიდში რაღაც როლი შევასრულე. ადამიანები ბჭობენ იმაზე, წავალ თუ არა მადრიდიდან, მაგრამ მე ამ საქმეს არც კი ვუღრმავდები.

**- შენ ორჯერ ნაკლები გოლი გაიტანე, ვიდრე ეტო`ომ, მაგრამ შენ მასზე გაცილებით ნაკლები მატჩი გამართე. შენ რომ მასზე მეტი სათამაშო დრო გქონოდა, უფრო მეტ გოლს გაიტანდი?**

- ეს არავინ იცის. მე არ ვიცი, რა მოხდებოდა, მინდორზე იმდენივე წუთი რომ მეთამაშა, რამდენიც მან. გასაგებია, რომ სათადარიგოთა სკამიდან გოლის გატანა შეუძლებელია. შეიძლება უფრო მეტი სათამაშო დრო რომ მომცემოდა, მეტი გოლი გამეტანა, მაგრამ ახლა ამას ვერავინ ვერასდროს გაიგებს. იმედი მაქვს, ჩემი საგოლე სერია გაგრძელდება და ცოტა მეტი სათამაშო დრო მომეცემა.

**- როცა ესპანეთის ჩემპიონატში სეზონი იწურება, იწყებენ საუბარს რომელიღაც გუნდების მიერ სხვების მოსყიდვის თაობაზე. ერთი სიტყვით, საუბარია ფულად კომპენსაციებზე. ინგლისში ანალოგიური რამ ხდება?**

- ინგლისში მსგავსი არაფერი ხდება. ამის შესახებ პირველად მესმის. მე ყველა გუნდის პატიოსნების მწამს. თუ კალენდარს გადავხედავთ, თითქოს "ბარსელონას" უფრო იოლი მატჩები ელის, ვიდრე ჩვენ, მაგრამ სეზონის ბოლო შეხვედრები ყოველთვის უცნაურია, რადგან ამ დროს ყველა გუნდს თავისი ინტერესი აქვს. "ბარსელონას" ყველა შანსი აქვს, ესპანეთის ჩემპიონი გახდეს, მაგრამ ჩვენ ვაპირებთ ყველა დარჩენილი მატჩი მოვიგოთ და ამით "ბარსელონას" ცხოვრება გავურთულოთ.

**- ბექჰემმა თქვა, რომ ესპანეთში გადმოსვლის შემდეგ, როგორც ფეხბურთელი, უკეთესი გახდა. შენ?**

- ის მეხმარებოდა და სწორედ ამიტომ ჩამოვედი მადრიდში. მე ახალი ცხოვრება დავიწყე. სხვა ცხოვრება. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. თუმცა, ყველაფერი თვითონ ინდივიდზეა დამოკიდებული. ყველას ხომ საკუთარი ცხოვრება აქვს. მე ახალი მიზნები მჭირდებოდა და ვფიქრობ, პროგრესს მივაღწიე. ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელთა გვერდით თამაში მხოლოდ გამოგვადგება.

**- შენ უკვე გესმის, რას გეუბნებიან მინდორზე შენი პარტნიორები?**

- ძალიან მნიშვნელოვანია ეს გამოთქმები გაიგო, რადგან, როცა თანაგუნდელი რაღაცას გკარნახობს, მნიშვნელოვანია მას გაუგო. მე რომ მოსაყოლი მქონდეს, რა გავაკეთე გუშინ, მაშინ უფრო გამიჭირდებოდა, ვიდრე საფეხბურთო ენაზე საუბარი. მე ვუსმენ რადიოს, ვუყურებ ტელევიზორს, რომ ადგილობრივ ენას შევეგუო... თუმცა, მინდორზე ჩემი პარტნიორების მესმის.

# წითელი თუ ლურჯი?

ფინანსური თვალსაზრისით და თავისი მნიშვნელობით ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ლონდონის "ჩელსისა" და "ლივერპულის" დაპირისპირება ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ბრიტანული კლუბებისთვის ევროასპარეზზე.

თუმცა, ახლავე შეიძლება ითქვას, რომ წითლები და ლურჯები ერთ რეკორდს ნამდვილად ვერ მოხსნიან. ვერც "სტემფორდ ბრიჯზე" და ვერც "ენფილდ როუდზე" ვერ შეიყრება 134 ათასი ადამიანი. სწორედ ამდენი მაყურებელი ადევნებდა თვალს გლაზგოს "სელტიკისა" და ინგლისური "ლიდს იუნაიტედის" მატჩს 1970 წლის 15 აპრილს ჩემპიონთა თასზე.

მას შემდეგ, რაც წლევანდელ გათამაშებაში ნახევარფინალურ ეტაპზე "ჩელსი" და "ლივერპული" გადაეყარნენ ერთმანეთს, 35 წლის წინანდელი მატჩის გახსენება აუცილებელი გახდა. სხვათა შორის, ის მატჩი გლაზგოელებმა - 3:1 მოიგეს. ჩემპიონთა თასის 50-წლიანი ისტორიის მანძილზე წმინდა ინგლისური ნახევარფინალი არ ყოფილა. უეფას თასზე კი, 1972 წელს, გადამწყვეტ მატჩში ლონდონის "ტოტენჰემ ჰოტსპური" და "ვულვერჰემპტონი" შეხვდნენ ერთმანეთს. "ტოტენჰემმა" - 3:2 მოიგო.

1971 წლის 14 აპრილს "ენფილდ როუდზე" გაიმართა ბაზრობათა თასის (უეფას თასის წინამორბედი) პირველი ნახევარფინალური მატჩი, რომელშიც "ლივერპული" და "ლიდსი" დაუპირისპირდნენ. დაძაბული ბრძოლა მინიმალური ანგარიშით - 1:0 დამთავრდა დონ რევის გუნდის სასარგებლოდ. ერთადერთი გოლი სტუმართა კაპიტანმა ბილი ბრემნერმა გაიტანა. 28 აპრილს, განმეორებით შეხვედრაში, გოლი არ გასულა. ფინალის საგზური "ლიდსმა" მოიპოვა. გადამწყვეტ მატჩში ტურინის "იუვენტუსთან" რევის შეგირდება სტუმრად გატანილი გოლის წყალობით გამარჯვება იზეიმეს.

მერსისაიდელთა წაგების პარალელურად ლონდონის "ჩელსი" ევროთასების პირველ ფინალში გავიდა. "ლივერპულ"-"ლიდსს" შორის დროს "სტემფორდ ბრიჯზე" "არისტოკრატები" თასების მფლობელთა თასის იმჟამინდელ მფლობელს "მანჩესტერ სიტის" ხვდებოდნენ.

"ჩელსიმ" დერეკ სმეტ ჰერსტის გოლის წყალობით - 1:0 მოიგო. ოთხი დღის შემდეგ ინგლისის ჩემპიონატის ფარგლებში "სიტი" კვლავ ესტუმრა ლონდონს და ახლა უკვე ქულა წაიღო (1:1).



თუმცა, ორი კვირის შემდეგ, ამჯერად "მეინ როუდზე", "არისტოკრატებმა" კიტ უელერის გოლით კვლავ გაიმარჯვეს და გარანტირებული საგზური მიიღეს ფინალში, სადაც მათ მადრიდის "რეალი" ელოდებოდათ. "სამეფო კლუბი" ათენში გამართულ გადათამაშებაში დამარცხდა. ლონდონის "ჩელსიმ" კი ევროთასებზე პირველი ტიტული მოიპოვა.

1973 წლის აპრილში უეფას თასის გათამაშებაში კიდევ ერთი ინგლისური ნახევარფინალი შედგა. "ლივერპული" "ტოტენჰემს" შეხვდა. მერსისაიდელთა მცველის ალეკ ლინდსეის იშვიათმა გოლმა "წითლებს" საშუალება მისცა, სერია მინიმალური უპირატესობით - 1:0 დაეწყო.

განმეორებითი მატჩის 48-ე წუთზე მარტინ პიტერსმა ანგარიში გახსნა. 71-ე წუთზე კი მანვე მეორედ აიღო "ლივერპულის" კარი. თუმცა, სტივ ჰიგვეის შედეგიანმა დარტყმამ სტუმრებს ანგარიშზე უმნიშვნელოვანესი გოლი ჩაუწერა და "ლივერპულმაც" ფინალის საგზური მოიპოვა. გადამწყვეტ სერიაში მერსისაიდელებმა საერთო ანგარიშით - 3:2 დაამარცხეს მიონხენგლადბახის "ბორუსია" და ევროპულ ტურნირებზე თავისი პირველი ტიტული მოიგეს.

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25



ინფოთეკა

## "ლიონი" მორიენტესისთვის ბრძოლას აგრძელებს

ფრანგული კლუბი "ლიონი" ფერნანდო მორიენტესის შეძენის აზრს თავს არ ანებებს და ბრძოლის გაგრძელებას აპირებს.

ფრანგულმა კლუბმა ფორვარდის შეძენის სურვილი იანვარში გამოთქვა, როცა მორიენტესმა მადრიდის "რეალის" დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა, საბოლოოდ ფეხბურთელმა საფრანგეთს ინგლისი ამჯობინა და "ლივერპულის" რიგებში გადავიდა.

"თუ ჩვენ მიშელ ესიენს, ჟუნინიოსა თუ დიარას დავემშვიდობებით, დაგვჭირდება კარგი ფეხბურთელი, რომელიც მათ შეცვლის. ამ მხრივ, თვალყურს ვადევნებთ მორიენტესს", - აღნიშნა "ლიონის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

## ბალაკი არსად წასვლას არ აპირებს

მიუნხენის "ბაიერნის" ნახევარმცველმა მიხაელ ბალაკმა განაცხადა, რომ მზადაა, მოლაპარაკება დაიწყოს თავის ახლანდელ ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის ვადის გაგრძელების შესახებ. არც კლუბის წარმომადგენლები არიან წინააღმდეგი, რომ ბალაკთან მუშაობა გაიხანგრძლივონ.

"მზად ვარ, მოვისმინო ნებისმიერი წინადადება. თუ "ბაიერნი" ჩემთან მოლაპარაკებას მოისურვებს, კმაყოფილი დავრჩები", - აღნიშნა ფეხბურთელმა.

სხვათა შორის, ბალაკის ეს განცხადება ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა ბევრისთვის, რადგან უფრო ადრე ნახევარმცველი აცხადებდა, რომ დარწმუნებული არ იყო, რომელ კლუბში სურდა თამაში. ბალაკის მომავალ კლუბად ასახელებდნენ ესპანეთის, იტალიისა და ინგლისის წამყვან გუნდებს.

## "აიაქსი" ვან დერ ბარტის გარეშე დარჩა

ჰოლანდიური კლუბის "აიაქსის" მცველი რაფაელ ვან დერ ბარტი კოჭის ძვლის ტრავმის გამო ერთ თვეს ველარ გამოვა მოედანზე. ფეხბურთელმა გუშინდელ ვარჯიშზე მიიღო ტრავმა. ამის შესახებ განცხადება გააკეთა კლუბის ხელმძღვანელობამ.

ცნობილია, რომ "აიაქსი" დიდ ინტერესს იჩენს "ინტერის" ფეხბურთელების ედგარ დავიდსისა და ანდი ვან დერ მეიდეს მიმართ. ვარაუდობენ, რომ სეზონის დასასრულისთვის ორივე ფეხბურთელი იტალიური კლუბიდან ჰოლანდიურში გადაბარგდება.

თუმცა, სავარაუდოდ, ეს არცთუ ისე იოლად უნდა მოხდეს. "აიაქსს" ინგლისური კლუბებისთვის მოუწევს კონკურენციის გაწევა. უკვე დიდი ხანია, რაც ვან დერ მეიდე "მიდლსბროს" ინტერესების სფეროში შედის, დავიდსი კი - "ჩელსის".

## გიგზი "მანჩესტერ იუნაიტედთან" ახალ კონტრაქტზე ოცნებობს

რაიან გიგზს იმედი აქვს, რომ მომავალ კვირას "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობასთან ახალი კონტრაქტის გამო გამართავს მოლაპარაკებას. ფეხბურთელის მიმდინარე შეთანხმებას ამ სეზონის დასასრულს გასდის ვადა. ჯერჯერობით კი კლუბის წარმომადგენლები გიგზთან კონტრაქტის ვადის გაგრძელებაზე არაფერს ამბობენ.

31 წლის ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ "ოლდ ტრაფორდის" დატოვება არ უნდა, თუმცა, "მანჩესტერ იუნაიტედის" აღმასრულებელი დირექტორი დევიდ გილი, თავის მხრივ, დარწმუნებულია, რომ გუნდში გიგზის ყოფნას ბოლო უნდა მოეღოს. "მანჩესტერ იუნაიტედს" წესად არა აქვს, ერთ წელზე მეტად გაუგრძელოს კონტრაქტის ვადა ფეხბურთელებს, რომლებიც უკვე 30 წლის არიან.

თავისი 14-წლიანი პროფესიული კარიერის განმავლობაში რაიან გიგზი "მანჩესტერ იუნაიტედის" ღირსებას იცავდა. პირველი ბურთი მან 1991 წელს გაიტანა "მანჩესტერ სიტის" კარში. მთლიანობაში ფეხბურთელმა ამ გუნდის შემადგენლობაში 629 მატჩი ჩაატარა.

## "ვერდერი" "ბაიერნის" მცველს უმიზნებს

გერმანული კლუბი "ვერდერი" მიუნხენის "ბაიერნის" მცველის ტობიას რაუს შეძენის შესაძლებლობას განიხილავს. ამ სეზონზე 23 წლის ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში არ თამაშობს, ამიტომაც, სავარაუდოა, რომ იგი "ბაიერნს" ჩემპიონატის დამთავრებისას დატოვებს.

"არ ვარ მზად, რომ კიდევ ერთი სეზონი სათადარიგო სკამზე გავატარო," - აღნიშნა რაუმ.

საფეხბურთო გალერეა

# ივან ელგერა: „ჩვენ ჩემპიონები გავხდებით!"

***ივან ელგერა***
***დაიბადა:*** *1975 წლის 28 მარტს*
***სიმაღლე:*** *185სმ, წონა: 73კგ*
***კლუბები:*** *"ალბასეტე" (ალბასეტე, ესპანეთი, 1996-1997), "რომა" (რომი, იტალია, 1997-1998), "ესპანიოლი" (ბარსელონა, ესპანეთი, 1998-1999), "რეალი" (მადრიდი, ესპანეთი, 1999-)*
***ტიტულები:*** *ესპანეთის ჩემპიონი - 2001, 2003, ესპანეთის სუპერთასი - 2001, 2003, ჩემპიონთა თასი - 2000, 2002, ევროპის სუპერთასი - 2002, საკონტინენტთაშორისო თასი - 2002*
*ესპანეთის ნაკრებში ჩატარებულ 47 მატჩში გაიტანა 3 გოლი.*

ლაშა გოდუაძე

ესპანეთის ჩემპიონატში ვითარება სულ უფრო იძაბება - "ბარსელონას" უმთავრესი კონკურენტი მადრიდის "რეალი" ახლა მხოლოდ ექვსი ქულით ჩამორჩება, ფინიშამდე კი ჯერ კიდევ დიდი დროა.

პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში "რეალმა" ჩინებულ სტილში დაამარცხა "ბარსელონა". მადრიდელებმა ოთხი გოლი გაუტანეს მეტოქეს და პირველობისთვის ბრძოლა უფრო თავდაჯერებულებმა განაგრძეს.

"რეალის" მცველი ივან ელგერა, რომელმაც ჩემპიონატის მეორე წრეში სამი გოლი შეაგდო, თვლის, რომ მის გუნდს ჩემპიონის ტიტულის მოგების შანსი აქვს. უკანახაზელის განცხადებით, თუ "რეალი" დარჩენილ ექვსივე თამაშს მოიგებს, "ბარსელონას" აუცილებლად აჯობებს.

ინტერვიუ, რომელსაც დღეს გთავაზობთ, პოპულარულმა ესპანურმა გაზეთმა "დიარიო ას"-მა გამოაქვეყნა.

**- დღესდღეობით "რეალს" და "ბარსელონას" ექვსი ქულა აშორებთ, ჩემპიონატის დამთავრებამდე კი ექვსი ტურია. თვლით თუ არა, რომ თქვენს კლუბს კვლავ აქვს პრიმერადივიზიონის მოგების შანსი?**

- ბრძოლას ნამდვილად აქვს აზრი. მეტოქის გადასწრება გაგვიჭირდება, მაგრამ ეს შეუძლებელი სულაც არაა. მთავარია, ყოველი შეხვედრისთვის სათანადოდ განვეწყოთ და არათუ მატჩში, თითოეულ წუთს მაქსიმალურად დავიხარჯოთ. ასეთ შემთხვევაში სასურველ შედეგს მივაღწევთ.

**- მაგრამ, გასათვალისწინებელია "ბარსელონას" ფაქტორიც - კატალონიელები ექვსი ქულით გისწრებენ, ეს კი სულაც არაა მცირე უპირატესობა...**

- მათთან ბოლო გამარჯვებით კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ "ბარსელონა" სულაც არაა უძლეველი და უნაკლო. მინდა კატალონიელთა მეტოქეებმა იცოდნენ, რომ მონდომების შემთხვევაში ამ გუნდს დაამარცხებენ. მთავარია, თავდაჯერებულნი იყვნენ. მგონი, "ბარსელონა" სეზონის დასაწყისში უფრო ძლიერი იყო, ვიდრე დღესაა.

**- როგორ ფიქრობთ, თქვენთან მარცხის შემდეგ "ბარსელონა" "შეშინებულია"?**

- არ გამოვრიცხავ. იცით, ერთ რამეში ძალიან ვარ დარწმუნებული - თუ ექვსივე შეხვედრას მოვიგებთ, ჩემპიონები გავხდებით. რატომღაც მგონია, რომ ბოლო ტურებში ფრანკ რაიკაარდის გუნდი არაერთხელ წაიფორხილებს და მნიშვნელოვან ქულებს დაკარგავს.

**- თქვენთან წაგების შემდეგ ბარსელონელთა თავდამსხმელმა სამუელ ეტოომ განაცხადა, რომ "რეალს" ჩემპიონობის შანსი მაინც არ ექნება...**

- ვფიქრობ, ეტოო ჩვენი შეფასებისას ძალიან ცდება! ჩანს, ის ზედმეტადაა დარწმუნებული თავის და "ბარსელონას" შესაძლებლობებში. თუ თვლის, რომ "რეალი" სუსტია და პირველობისთვის ვერ იბრძოლებს, ვურჩევ, ჩვენი ბოლო დაპირისპირება ხელმეორედ ნახოს. როგორც ჩანს, ვერ შეიგრძნო, რამდენად ვჯობივართ "ბარსელონას".

**- დარჩენილი კალენდარი ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ბუნებრივია, გარკვეული მოსაზრებები გაქვთ. თქვენი აზრით, რომელ შეხვედრებში დაკარგავს "ბარსელონა" ქულებს?**

- ჩვენთან შედარებით კატალონიელებს ძალიან რთული განრიგი აქვთ.



ვფიქრობ, მათ გაუჭირდებათ "ვალენსიას" და "მალაგას" წინააღმდეგ გასვლითი მატჩების ჩატარება. შესაძლოა, ვერც "დეპორტივოს" და "სევილიას" მოუგონ, თუმცა, ზუსტად არ ვიცი. ისევ ვიმეორებ, მე ერთი რამისა მჯერა - ჩემპიონატის დამთავრებამდე "ბარსელონა" არაერთ ქულას დაკარგავს.

**- ერთ-ერთ ადრინდელ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ "ბარსელონას" სიძლიერე, გარკვეულწილად, ჟურნალისტების მოგონილია. ახლაც ასე ფიქრობთ?**

- თქვენი აზრით? "ესტადიო სანტიაგო ბერნაბეუზე" ამ კლუბთან მოგების შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მას არაფრით ჩამოვუვარდებით. დიახ, "ბარსელონას" კარგი ფეხბურთელები და გამჭრიახი მწვრთნელი ჰყავს, მაგრამ "რეალს" არაფრით სჯობს - დღესდღეობით "ბარსელონა" ნამდვილად არაა ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატი. მისი სიძლიერე ჟურნალისტებმა გააზვიადეს. მერწმუნეთ, ეს ასეა.

**- მოდით, გასული სეზონის მიწურული გავიხსენოთ: "ბარსელონა", რომელიც კარგა ხანს მაჩანჩალათა შორის იყო, მეორე ადგილზე გავიდა, "რეალი" კი, რომელიც მუდმივად სამეულში იყო, მის უკან აღმოჩნდა. რამ გამოიწვია ეს?**

- მძიმე სეზონი იყო და ჩემპიონატის მიწურულს ძალიან გადავიღალეთ. კატალონიელებს კი, უბრალოდ, საკუთარი თავისთვის სურდათ იმის დამტკიცება, რომ რაიმეს მიღწევა შეუძლიათ. იცით, ჩვენთვის წარმატებად ჩემპიონობა ითვლება და სხვა არაფერი, "ბარსელონა" კი მეორე ადგილითაც კმაყოფილი იყო. მგონი, ეს სატრაბახო არაა. ვერ ვხვდები, რა მნიშვნელობა აქვს მეორე ან მესამე ადგილს. ჩემთვის, ისევე როგორც "რეალის" ყველა ფეხბურთელისთვის, მთავარია ჩემპიონობა!

**- მომავალ შეხვედრაში ვერ დაგეხმარებათ გრავესენი. თვლით თუ არა, რომ მისი არყოფნა დიდი დანაკლისია?**

- ის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, მაგრამ "რეალში" შეუცვლელი არავინაა. ჩემი აზრით, გუტი და დევიდ ბექჰემი მას სათანადოდ შეცვლიან.

**- "ბარსელონას" წინააღმდეგ ლუიშ ფიგუს ძირითად შემადგენლობაში არ უთამაშია. ამაზე რას იტყვით?**

- ახალს არაფერს: მხოლოდ და მხოლოდ მწვრთნელის გადასაწყვეტია, თუ ვინ უნდა ითამაშოს და ვინ - არა. რადგან ლუშემბურგომ ასე გააკეთა, ესე იგი, ასე იყო საჭირო. ჩვენ, ფეხბურთელები, მის გადაწყვეტილებას ვემორჩილებით, რადგან შედეგზე პასუხისმგებელი, პირველ რიგში, მწვრთნელია. რაც შეეხება კონკრეტულად ფიგუს, ვფიქრობ, სათადარიგოთა შორის აღმოჩენა არ გაუხარდა, თუმცა, ყველამ ვიცით მისი შესაძლებლობები და პირადად მე მჯერა, რომ ლუიში დარჩენილ მატჩებში კლუბს უდიდეს სიკეთეს მოუტანს.

**- ჩემპიონატის მეორე ნახევარში სამი გოლი გაიტანეთ. ასეთი წარმატებული თამაში რას უნდა დავუკავშიროთ?**

- ვერ გეტყვით. ალბათ, უფრო მიმართლებს. რომ გითხრათ, სხვანაირად ვთამაშობ-მეთქი, მოგატყუებთ. ისე, მთავარია, "რეალმა" მოიგოს და ჩემთვის ნამდვილად არა აქვს მნიშვნელობა, გავიტან თუ არა გოლებს.

კრივი

# კლიჩკო და მისი უცნაური მეტოქე მზად არიან

გერმანიაში 23 აპრილისთვის დაგეგმილი უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკოსა და კუბელი ელისეო კასტილიოს შერკინება დასკვნით ფაზაში შედის. უმცროსი კლიჩკო საწვრთნელ ორთაბრძოლათა სერიებს ასრულებს, კვირას კი საკუთარ ბანაკთან ერთად დორტმუნდში გადაფრინდება.

იმისთვის, რომ ვლადიმირი სრულად დატვირთონ, უკრაინელის საწვრთნელ ბანაკში კიდევ ერთი სპარინგ-პარტნიორი მიიყვანეს. ესაა 27 წლის ლატვიელი მძიმეწონოსანი ედგარ კალნარსი, რომელიც, თავის მხრივ, შეუერთდება კლიჩკოს ახლანდელ პარტნიორებს ლარი დონალდს, ფერნელი ფელიზსა და ჯონათან ბენქსს.

"კუბელთან ჩხუბი ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან გამარჯვების შემთხვევაში დავამტკიცებ არა მარტო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის საკუთარ ამბიციას, არამედ გავალ ფინიშის სწორზეც, რომელიც კრის ბერდთან ჩხუბის საშუალებას მომცემს, - კლიჩკოების ოფიციალური საიტისთვის მიცემული ინტერვიუდან [illegible] ჩემს უწინდელ წარუმატებლობებს. ჩემთვის სხვა გამოსავალი არ არსებობს".

თავის მხრივ, ვლადიმირის მწვრთნელი ემანუელ სტიუარდი მთლიანობაში კმაყოფილია შეგირდის მზადებით. იმ შემთხვევაში, თუ უკრაინელი 23 აპრილს კუბელზე გაიმარჯვებს, ვლადიმირი გახდება IBF-ის (ფედერაცია) უმთავრესი ტიტულისთვის ბრძოლის ოფიციალური პრეტენდენტი. ჩემპიონის ქამარს კი კრის ბერდი ფლობს.

"ვლადიმირი მშვენიერ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია, - აღნიშნავს სტიუარდი. - ის ისეთი ძლიერია, როგორც არასდროს. კარგად იცის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ ორთაბრძოლაში წარმატება. ამიტომ საქმეს ძალზე სერიოზულად უდგება. მალე თავადაც დარწმუნდებით ვლადიმირის შესაძლებლობებში".

რაც შეეხება კლიჩკოს მეტოქეს, 29 წლის კასტილიოს, უკრაინელთან შესახურებლად სპარინგ-პარტნიორებად ჰყავს ლენს უიტაკერი, მაიკლ გრანტი და ჯამილ მაკლაინი. კუბელის მწვრთნელი ნორმან უილსონი აღნიშ- [illegible] რით, მომავალ დაპირისპირებაში გამარჯვების გასაღები მოთმინებაში იქნება. ანუ, კასტილიომ უნდა მოითმინოს მანამ, სანამ უკრაინელი არ დაიღლება და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადავიდეს აქტიურ ქმედებაზე.

"შეგიძლიათ არ დაიჯეროთ, მაგრამ ამ ბრძოლისთვის დეკემბრიდან ვემზადებით, - ვითარებაში გვარკვევს უილსონი. - საქმე ისაა, რომ თავიდანვე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს კლიჩკოს უნდა შევბრძოლებოდი. ვარჯიშს დეკემბრიდანვე შევუდექი. ელისეო კარგადაა მომზადებული. ერთ, ორ და სამ რაუნდში გამარჯვება არ იქნება. ჩხუბი დიდხანს გაგრძელდება. გამარჯვების იმედი რომ არ გვქონდეს, რინგზე არც გავიდოდით".

მთლიანობაში ძალზე ცოტა რამის თქმა შეიძლება კასტილიოზე. დაიბადა 1975 წლის 29 აპრილს ჰავანაში. "Cuba Liberta"-ს გუნდში ჩაირიცხა. 1996 წლის 24 თებერვალს ნახევრად მძიმე წონაში შედგა მისი, როგორც პროფესიონალის, დებიუტი და დებიუტანტ ენტონი მაკ პირველივე რაუნ- [illegible] და ორწელიწადნახევარს გაგრძელდა. 1998 წლის 13 ნოემბერს, როდესაც აქტივში 11 წაუგებელი (აქედან 10 ნოკაუტით) ორთაბრძოლა ჰქონდა, კასტილიომ 34 წლის ამერიკელ საჰადა აბდულა აზიზის წინააღმდეგ რინგზე ასვლაზე უარი განაცხადა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, შეხვედრის შედეგად ფრე გამოაცხადეს.

...კუბელ მოკრივეს ცხრა თვე დასჭირდა იმისთვის, რომ რინგზე დაბრუნებულიყო, ამასთან, მისთვის ახალ წონით კატეგორიაში - მძიმე წონაში. მძიმეთა დივიზიონში გადაბარგებულის დებიუტი 1999 წლის 7 აგვისტოს შედგა, როდესაც აგუსტინა კორპუსი მეხუთე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა. მაშინ, როდესაც ყველას ეგონა, რომ საფუძველი ჩაყრილი იყო, რომ შეიძლებოდა სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლა, კუბელი რინგიდან სამი წლით გაუჩინარდა.

2002 წლის 22 ივნისს კასტილიო გამარჯვებით გამოჩნდა. პირველივე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა 45 წლის ბილ მედეი. კასტი- [illegible] რამ ისევ სადღაც გაქრა, ამჯერად წელიწადნახევრით.

2004 წლის 16 იანვარს კუბელი ისევ გამარჯვებით დაბრუნდა. 29 წლის ონიბო მაქსიმე გჰაბოუსთან ჩხუბში ოთხ რაუნდში მსაჯებმა კასტილიოს ერთხმად მიანიჭეს გამარჯვება, მაგრამ არც ეს დაბრუნება აღმოჩნდა კუბელისთვის საბოლოო. შარშან მან კიდევ ორი ორთაბრძოლა ჩაატარა. ჯერ 31 წლის კურტის ტეილორი დაამარცხა მესამე რაუნდში, ხოლო მეორე შეხვედრაში 33 წლის დრეკსი ფრენკ ჯეიმსს პირველივე რაუნდში სძლია.

მაგრამ არც ერთი მათგანის სახელი კრივის გულშემატკივარს არაფერს ეუბნება. ერთადერთი მნიშვნელოვანი ორთაბრძოლა, რომელიც კასტილიომ ჩაატარა, ეს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის, 37 წლის მაიკლ მურერის დამარცხებაა - 2004 წლის 3 ივლისს მსაჯთა ერთსულოვანმა გადაწყვეტილებამ ცხრარაუნდიან ორთაბრძოლაში კასტილიოს მიაკუთვნა გამარჯვება.

და კიდევ, ვლადიმირ კლიჩკოსთან ჩხუბი კასტილიოსთვის პირველი ორთაბრძოლა იქნება, … ფარგლებში გაიმართება.












ინფოთეკა

## მორატი "ინტერის" დატოვებას გეგმავს

მოვლენებმა, რომლებიც სამშაბათს მილანის სტადიონ "სანსიროზე" განვითარდა, აიძულა "ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი, კლუბში თავის მომავალზე სერიოზულად დაფიქრებულიყო.

თვითმხილველთა თქმით, ემოციურმა მორატიმ მანამ დატოვა სტადიონი, სანამ უეფას წარმომადგენლები მატჩის შეწყვეტის გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. როცა პრეზიდენტი მანქანაში ჯდებოდა, მას თავს დაესხნენ გუნდის გულშემატკივრები, თუმცა, ზიანი ვერ მიაყენეს.

მორატი სერიოზულად ფიქრობს პრეზიდენტის პოსტის დატოვებაზე. მან მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე ითხოვა.

## "პორტუმ" ორი არგენტინელი შეიძინა

პორტუგალიური სპორტული გაზეთის "O Jogo"-ს ცნობით, ამ ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა "პორტუმ" ორი არგენტინელი ჩემპიონი ლუხო გონსალესი და სისანდრო ლოპესი შეიძინა. თუმცა, კლუბის წარმომადგენლებმა ეს ინფორმაცია არ დაადასტურეს.

როგორც ამბობენ, ფეხბურთელებმა "პორტუსთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

## "სელტიკი" აპირებს, ბელამის კონტრაქტი შესთავაზოს

შოტლანდიური კლუბის "სელტიკის" პრეზიდენტმა ბრაიან კუინიმ გულშემატკივრებს პირობა მისცა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა მათთან იჯარის წესით მოთამაშე "ნიუკასლის" ფეხბურთელს კრეიგ ბელამის სრულფასოვანი კონტრაქტი შესთავაზოს.

"თუ ამის ნებას მოგვცემენ, მაშინ ამ ფეხბურთელს ისეთ კონტრაქტს შევთავაზებთ, როგორიც მას ეკადრება", - განაცხადა კუინმა შოტლანდიის ერთ-ერთ რადიოსთან საუბრისას.

## გლეიზერი დანებებას არ აპირებს

რამდენიმე დღის წინათ ამერიკელმა მილიარდერმა მალკოლმ გლეიზერმა ახალი წინადადებით მიმართა "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობას კლუბის შეძენასთან დაკავშირებით. გაზეთ "სანის" ცნობით, კლუბის წარმომადგენლებმა უკვე განაცხადეს, რომ ამ წინადადების (რომელიც 800 მილიონ გირვანქა სტერლინგს გულისხმობს) უარყოფა "ძალიან ძნელი საქმეა", თუმცა, მთავარი მწვრთნელის სერ ალექს ფერგიუსონის დამოკიდებულება კვლავაც ნეგატიურია.

გარდა ამისა, გამოცემისვე ცნობით, განხეთქილებაა თავად გუნდში. საქმე ის გახლავთ, რომ წამყვანმა ფეხბურთელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს კლუბის მეორე მწვრთნელს კარლოს კეიროშს და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ ვარჯიშზე სასტიკი უარი განაცხადეს.

## ფერდინანდი კვირაში 100 ათას გირვანქა სტერლინგს ითხოვს

Tribalfootball-ის ცნობით, ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველის რიო ფერდინანდის აგენტი პინ ზახავი ჯერაც არ შეხვედრია კლუბის აღმასრულებელ დირექტორს დევიდ გილს ფერდინანდის მომავალზე მოსალაპარაკებლად. აგენტმა აღიარა, რომ მის კლიენტს "მანჩესტერ იუნაიტედში" დარჩენა და ახალი კონტრაქტის გაფორმება უნდა, ოღონდ თუ კლუბის ხელმძღვანელობა მას ღირსეული წინადადებით მიმართავს. ფერდინანდი კლუბს კვირაში 100 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდას სთხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ახალი კლუბის ძებნას დაიწყებს.

ძველ შეთანხმებას 2007 წლის ივნისში გაუვა ვადა.

## პირლო ტრავმირებულია

"როიტერსის" ცნობით, შესაძლებელია "მილანის" ნახევარმცველმა ანდრეა პირლომ ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩი გამოტოვოს ჰოლანდიის "პეესვეს" წინააღმდეგ. შეხვედრა 26 აპრილს გაიმართება. ამის შესახებ განცხადება გააკეთა კლუბის წარმომადგენელმა.

ფეხბურთელის ფორმის აღსადგენად, სულ ცოტა, ათი დღე მაინცაა საჭირო.

გარდა ამისა, პირლო გამოტოვებს ასევე იტალიის ჩემპიონატის მატჩებს "პარმასა" და "სიენას" წინააღმდეგ.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# მთავარია, რომ საქმე კეთდება







ეტყობა, მე იმდენად ხშირად და აქტიურად ვერევი არა ჩემ საქმეში, რომ ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ამ კვირაში თბილისის მერიის მხრიდან საკმაოდ მოულოდნელი წინადადებით მომმართეს და ამ ბოლო პერიოდში ჩვენს დედაქალაქში წამოწყებული "რემონტის" დეტალური დათვალიერება შემომთავაზეს. თბილისი რომ "რემონტდებოდა", ეს, რა თქმა უნდა, შემჩნეულიც და დაფასებულიც მქონდა, მაგრამ სამუშაოების მასშტაბმა მაინც გამაოცა. თბილისელი სკეპტიკოსები ამ სარემონტო სამუშაოებს მხოლოდ ამერიკის პრეზიდენტის ჩამოსვლასთან დაკავშირებულ მღელვარებას რომ უკავშირებდნენ და ამაში ქალაქის ხელმძღვანელობის ვერანაირ დამსახურებას ვერ ხედავდნენ, ესეც ვიცოდი. "პოტიომკინის სოფლებივით ღებავენ რაღაცას," - ეს ირონიული ფრაზაც არაერთხელ მქონდა გაგონილი და უნდა გამიგიტყდეთ, აპრიორი ნერვებს მიშლიდა. რა მნიშვნელობა აქვს, რისთვის ან ვისთვის აკეთებენ? ამერიკის პრეზიდენტისთვის ალამაზებენ ქალაქს? კი ბატონო პრეზიდენტი ამ ახალდაგებულ ასფალტს, შელესილ, გარესტავრირებულ, აღდგენილ, შეღებილ შენობებს თან ხომ არ წაიღებს? ბუში ორ დღეში თბილისიდან, იმედია, კმაყოფილი წავა, ჩვენ კი - სკეპტიკოსებსაც და არასკეპტიკოსებსაც - "გარემონტებული" დედაქალაქის ნახევარი მაინც დაგვრჩება. როგორც მიმდინარე სამუშაოების ახლოდან დათვალიერების შედეგად აღმოვაჩინე (რამდენადაც მე მესმის), გასაკვირად ხარისხიანი, არაზედაპირული, არანაჩქარევ-მიფუჩეჩებული მუშაობა მიდის. შეიძლება ვცდები, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ მენტალურად დამთავრდა ის დრო, როდესაც ბრეჟნევის ჩამოსვლისთვის ქალაქის ერთ კონკრეტულ მოედანს მუყაოებით აფარებულ თეატრალურ დეკორაციად აქცევდნენ და "მასოვკის" მაგივრად იქ იძულებით მომღიმარე ხალხს პარტიიდან გარიცხვის შიშით გაყრიდნენ-ხოლმე. როგორც ბუშის შესახვედრად დღეს არც ერთ ქართველს ძალდატანება არ სჭირდება და ნებისმიერი ჩვენთაგანი ამას დიდ პატივად მიიღებს, ასევე, თუნდაც მის ჩამოსვლასთან დაკავშირებული მუშაობა, სულ სხვაგვარ ენთუზიაზმს, ხალისსა და შესაბამისად ხარისხსაც იწვევს. რაღაც თუ კეთდება, რატომ არ შეიძლება ამის მარტივად, ობიექტურად დანახვა? ყველაფრის მიღმა მიზეზების ძიება რატომ არის აუცილებელი? ნუთუ, ურწმუნოება, დაუნახაობა, სკეპტიციზმი ჩვენში, ათწლეულების მანძილზე, ასე ღრმად არის გამჯდარი? რა მნიშვნელობა აქვს, რისთვის კეთდება, თუ კეთდება და თანაც კარგად?!

მხიარული, სახალისო წითელ-ყვითელ-ვარდისფერ ფერებად შეღებილმა აეროპორტის ტრასზე განლაგებულმა უსახურმა კორპუსებმა ბავშვის გიგანტური სათამაშო "კუბიკები" მომაგონა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახლებისთვის შერჩეული ფერთა გამის დიდი მოტრფიალე არ გახლავართ და მე პირადად მათ არასდროს შევარჩევდი, რომ იტყვიან - "კაცია და გუნება". აი, რას და გუნებას კი ნამდვილად გაგიხალისებენ. თანაც, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარი საქარხნო, მასიური დასახლების თანამედროვე გარეუბნები მსოფლიოს ნებისმიერ დიდ ქალაქშიც ზუსტად ასეთივე უშნო და უსახურია და მხიარული შეფერილობით, მეტ-ნაკლებად, ხელოვნურად არის გალამაზებული. პარიზიც კი, რომელიც მსოფლიო დედაქალაქებს შორის დახვეწილობით, თავშეკავებულობით გამოირჩევა, გარეუბნების სილამაზით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. ფრანგებიც მაღალსართულიანი სახლების შესაღებად ხალისიან ფერთა გამას ირჩევენ, რომ თვალი ოდნავ მოატყუონ, გაამხიარულონ. დღეს, აეროპორტიდან მოყოლებული მთელ ამ ტერიტორიაზე ყველა სახლი, ქოხი, ბეტონის ღობე ილესება, გასამაგრებელი - მაგრდება, დასანგრევი - ინგრევა, მოგლეჯილი - დუღდება, სახლების კედლები ილესება, სწორდება, იღებება, ყველა პატარ-პატარა მაღაზიის გარშემო სხვადასხვა ფერად შეღებილი მონაკვეთები ერთ მთლიან ტონში ჯდება, უბადრუკი სიჭრელე ისპობა, სკვერები ლაგდება, კეთდება, სახურავზე აგლეჯილი რკინები ან იცვლება, ან ფიქსირდება. დღეს თბილისის ხელმძღვანელობა სხვადასხვა მიზეზის გამო, რომლებსაც ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მთელი ძალით ცდილობს, რომ ქალაქის ერთ დიდ ნაწილში მაინც ყველაფერს მოვლილი, ცივილიზებული სახე მისცეს. აეროპორტის გზის გასაყარზე აღმართული ზურა წერეთლის უზარმაზარი მონუმენტი, რომელიც ქურდობის შედეგად მოგლეჯილ-აგლეჯილ-დასახიჩრებულია - უნდა აღდგეს და ეს სამუშაოებიც უკვე დაწყებულია. აიღება მახინჯი, უბადრუკი, ბინძური ცელოფნებით გარშემორტყმული გზისპირა ჯიხურები, სადაც დამტვერილ-დაობებულ სიგარეტსა და საღეჭ რეზინებს თვითნაკეთებ ლუმელებთან მიმჯდარი დედაბერები ყიდიან. თბილისის უმეტეს ნაწილში ისეთი ასფალტი იგება, რომელიც დღევანდელ სტანდარტებსა და მოთხოვნებს შეესაბამება. ჩვენი "პატრიოტი" პოლიტიკოსების ყოფილი წინასაარჩევნო პლაკატების ნარჩენებით აჭრელებული შენობების კედლები, ბოძები საგულდაგულოდ იფხიკება, იწმინდება და, ასევე, იღებება. და, რაც მთავარია, თბილისის ისტორიული ნაწილის თითოეული სახლის, უნიკალური შენობის აღდგენა, რესტავრაცია, ფერის შერჩევა მხოლოდ და მხოლოდ ძეგლთა დაცვის სამსახურის მკაცრი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს და ნებისმიერი ნიუანსი, დეტალი სპეციალისტებთან წინასწარი შეთანხმებით კეთდება. მერია, ამ შემთხვევაში, უსიტყვო შემსრულებლის როლშია მოვლენილი, რომელიც პროფესიონალების ინსტრუქტაჟს ბრმად ექვემდებარება. აი, თუ როგორია მათი პროფესიონალიზმი და როგორი იქნება მათი ცოდნის, გემოვნების შედეგი, ეს მერე გამოჩნდება. დარწმუნებული მინდა ვიყო, რომ შედეგი ბევრად უფრო სწორი იქნება, ვიდრე ის, რასაც ათწლეულების განმავლობაში ვიყავით შეჩვეული. გაიხსენეთ, როდესაც ნებისმიერი რაიკომის მდივანი, მთავრობის მაღალჩინოსანი ან, თუ გნებავთ, ქვეყნის პირველი პირიც კი სრულიად ერთპიროვნულად, საკუთარი გემოვნებისა და მენტალიტეტის შესაბამის გადაწყვეტილებებს ღებულობდა, ქალაქს საკუთარი სოფლის ორღობესავით ღებავდა ან არც ღებავდა, თბილისს უკანონო არაპროფესიონალური მშენებლობებით საშვილიშვილოდ ამახინჯებდა, დასავლური ნოსტალგიით გამსჭვალული პალმებს რგავდა და კაკლებს თხრიდა და ა.შ. დამთავრდა ის დრო, როდესაც თუნდაც პრეზიდენტი წყვეტდა, სად, რომელი მეფის, რამხელა და რა თანხად ღირებული ქანდაკება დამდგარიყო, რომელი შენობა რა ფერის უნდა ყოფილიყო და საერთოდ ყოფილიყო თუ არა და რომელი ისტორიული უბანი უნდა გასწორებულიყო მიწასთან, რომ იქ უსახური რესტორნები ან "ყურები" აშენებულიყო. დღეს "ივერია", "ყურები" ინგრევა, თბილისი "რემონტდება" და ეს პროცესი, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მგონი, მაქსიმალურად დაცულად, დელიკატურად და სწორად მიმდინარეობს. აი, თუ ვისთვის, ვისი ჩამოსვლისთვის "რემონტდება" თბილისი, ეს კი, მგონი, სულერთია. მაქსიმალისტებს უნდათ, რომ თბილისის ათასი სხვა წვრილმანი და არაწვრილმანი პრობლემაც ბარემ ახლა მოგვარდეს. ოპტიმისტები კი იმედოვნებენ, რომ ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტები პერმანენტულ სახეს მიიღებს და იგი ჩვენი დედაქალაქის სხვადასხვა უბნებს რიგ-რიგობით მოინახულებს. ამით კი ჩვენი ლამაზი ქალაქის პრობლემები საბოლოოდ გადაიჭრება...

# „სვეცკი" ბომჟებიც არსებობენ



ბოლო პერიოდის ტელეეთერიდან გავიგე, რომ სიტყვა "სვეცკი" ძალიან ბევრისმთქმელი, ხმარებადი, და, რაც მთავარია, მოდური და კარგი ტონის მანიშნებელი ყოფილა. მეც, ბუნებრივია, არც მოდას და არც "სვეცკობას" არ მინდა ჩამოვრჩე და ამ სიტყვის მნიშვნელობის სულ სხვაგვარად აღქმის მიუხედავად, ერთ "სვეცკი" ბომჟზე, მის ნაცნობებსა და მეზობლებზე სრულიად, არასვეცკი" ამბავი მინდა მოგიყვეთ.

თბილისის ყველაზე "სვეცკი" უბნის - ვაკის, ასევე, ყველაზე "პრესტიჟულ-სვეცკი" მონაკვეთი - ყოფილი კინოთეატრ "ყაზბეგის" მიდამოები, სადაც ბინების ფასებით დაწყებული პატარა, ღია "მარკეტის", საპარიკმახერო-სოლარიუმის თუ კაფე "სობეს" ფასებით დამთავრებული, ნიუ-იორკს, ლონდონს ან ტოკიოს უფრო შეესაბამება, ვიდრე თბილისის რეალობას და სადაც "სვეცკი" მოსახლეობა "ელიტარულ" ბინებში ცხოვრობს, "პრესტიჟული" მანქანებით გადაადგილდება და საერთოდ "სვეცკობს", თბილისის მრავალფეროვნების ფონზე კი განსაკუთრებული, "არასვეცკი" კონტრასტულობით გამოირჩევა. გარდა იმისა, რომ "ელიტარული" სახლების "სვეცკი" მცხოვრებლები თავისი ფანჯრებიდან ნაგვის პარკებით მორთულ ხეებს უყურებენ (სხვათა შორის, მათივე ნაგვის უმეტესად ძალიან "სვეცკი" პარკებს), გადავსებულ ნაგვის ბუნკერებს, რომლებიც, ფაქტობრივად, არასოდეს იცლება, სნობურად ზემოდან უცქერენ და გვერდს უვლიან, სწორედ ამ მონაკვეთზე, ფაქტობრივად, ყოველდღე ელიტის რომელიმე წარმომადგენელს, ასევე ელიტური ოჯახის შვილები ლუი ვიუტონის ან პრადას ჩანთებს ჰპარავენ, ართმევენ და გარბიან; სამარშრუტო ტაქსების კატეგორიულად "არასვეცკ" მძღოლებს კი "გეგეშიძის ბაღი" ტუალეტად აქვთ გადაქცეული, ამ ყველაფრის პარალელურად, ამ "ელიტარულ" მონაკვეთზე "სვეცკი" ბომჟიც ცხოვრობს. ბომჟი საერთო ტენდენციას არის აყოლილი; პრესტიჟულ მეზობლებს ცდილობს, არაფერში ჩამოუვარდეს და იქვე მდებარე, გაუგებარი, მიტოვებული, მაგრამ მოდური ყვითელი ფერის ჯიხურის უკანა ექსტერიერში, ნაძვებს შორის, მშვენიერი სვეცკი ინტერიერი მოიწყო. საიდანღაც ვიღაცის მიერ "ზესვეცკობის" მომენტში დაუფიქრებლად გადაგდებული მშვენიერი სავარძელი მოათრია, ჟურნალებისთვის განკუთვნილი პატარა მაგიდა იშოვა, თაროები გაიკეთა და მათზე ბუნკერიდან მოძიებული, შემდგომ დახარისხებული პროდუქტებით სავსე ქილები შემოაწყო. ხე-ტყეზე დაწესებული "მკაცრი" კონტროლის გამო, კანონმორჩილი ბომჟი შეშას არ ხმარობს და ასევე ბუნკერიდან (რას არ მონახავ "სვეცკი" ბუნკერში) ამოღებული სხვადასხვა საგნებით ყოველ საღამოს ცეცხლსაც ანთებს და ნაკლებად ელიტური უბნების, შესაბამისად, ნაკლებად "სვეცკი" ბომჟებს მასპინძლობს - ქილებით შემონახული დელიკატესებითა და გადაგდებულ ბოთლებში მორჩენილი ალკოჰოლით უმასპინძლდება. შედეგად კი, ყოველ საღამოს "ელიტარული" უბანი ბომჟების, რბილად რომ ვთქვათ, უშუალო, მხიარული დროსტარების მომსწრე ხდება. ერთადერთი, რასაც დისონანსი შეაქვს მთელ ამ ამბავში, ის არის, რომ ვაკელი ბომჟი ამდენი გაუგებარი საგნის ნამწვისგან თუ, უბრალოდ, დაუბანლობისგან, სრულიად "არასვეცკი" ფერისა და სუნისაა. კუპრივით შავი სახის კანის მქონე "სვეტი" შემაშინებლად გამოიყურება და კაცობრიობის არც ერთი რასის წევრს არ მოგვაგონებს. ახლომახლო მცხოვრებ ბავშვებს ბომჟის ამიტომ ეშინიათ. საღამოობით ამ მონაკვეთზე უნიკალური ჯიშის ძაღლებსაც ვერ ასეირნებენ იმის შიშით, რომ ძაღლებს რაიმე არ შეეყაროთ და მოძრაობის გადატვირთულობის მიუხედავად, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გადასვლას მანამდე ცდილობენ, სანამ შავ კაცსა და მის მეგობრებს თვალს მოჰკრავენ ან მისი ნავსაყუდარიდან მომავალ სურნელს შეიყნოსავენ. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს კი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე "პრესტიჟული" სოლარიუმი და "ელიტარული" სილამაზის სალონი მდებარეობს, სადაც მომსახურეობისთვის განსაკუთრებული "სვეცკობის" გარდა, გრძელ რიგში ჩაწერა და სალონის "ვარსკვლავის" - ერიკას სიმპათიისა და კეთილგანწყობის მოპოვებაა საჭირო.

კონტრასტულობაზე საუბრით დავიწყე და კინაღამ არ დამავიწყდა მთავარი ამბავი, რომელიც "სვეცკი" ვაკელებსაც კი ღირსშესანიშნაობად აქვთ აღქმული. ბარნოვი-აბაშიძის ქუჩის ეს მონაკვეთი ყოველ დილას პარალიზებულია, ვინაიდან "პრესტიჟულ" სილამაზის სალონში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სამსახურამდე დადის და თმის ვარცხნილობას იკეთებს. ვაკელი ბავშვებისგან განსხვავებით, ბურჯანაძეს "სვეცკი" ბომჟის არ ეშინია. მისი მრავალრიცხოვანი დაცვის უზარმაზარი ჯიპები, მძღოლების პროფესიონალიზმისა და წინდახედულობის ხარჯზე, ისე ჩერდებიან, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ ბომჟის ინტერიერსა და გარეგნობას



თვალი ვერ მოჰკრას და დილიდან, შემთხვევით, გუნება-განწყობა არ გაიფუჭოს. კარგად ნასწავლი, პროფესიონალური დაცვაა და არ უნდა გაგვიკვირდეს. თავის საქმეს ხუთიანზე ასრულებენ და არა მარტო პარლამენტის თავმჯდომარის უსაფრთხოების, არამედ ემოციებსა და მხედველობის არეალსაც კი იცავენ. უბრალოდ, საინტერესოა, ყნოსვას რაღას უშვებიან. ნუთუ მათი პროფესიონალიზმი იქამდე მიდის, რომ წინასწარ ფრანგულ სუნამოებს ასხურებენ, ბუნკერების, ბომჟის, მისი ტუალეტის, კოცონისა და სტუმრების ნასუფრალის სუნს ამით კლავენ და პარლამენტის თავმჯდომარეს "სვეცკი" ჰაერს უქმნიან?

ძალიან მინდა, იმედი ვიქონიო, რომ ამ წერილს თუნდაც აუღელვებელი, აუჩქარებელი, გაწონასწორებული, თვითღირსებით აღსავსე, მოკლედ, "სვეცკი" რეაქცია მაინც მოჰყვება, რომელიც, სიტყვას გაძლევთ, ჩემი "სვეცკობის" შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად დაფასებული, დანახული და აღნიშნული იქნება.

# პაპი თუ ნიჭი?



ძნელია იმის თქმა, რომის პაპთან შეხვედრამ მართლაც ასე ჯადოსნურად იმოქმედა თუ, უბრალოდ, ქართველებისთვის ასეთმა დამახასიათებელმა მრავალმხრივმა ნიჭმა, ადრე თუ გვიან, თავი იჩინა, მაგრამ მოსკოვში წლების მანძილზე მოღვაწე ცნობილმა ექიმმა, პროფესორმა გიორგი გიგინეიშვილმა, 1991 წელს რომის პაპთან აუდიენციის შემდეგ მოულოდნელად ხატვა დაიწყო. გიორგი გიგინეიშვილმა ფუნჯის ხელში აღების, საღებავების გაზავების, დანახულის ტილოზე გადატანის შინაგანი სურვილი, სათქმელის თქმის აუცილებლობა იგრძნო და მას შემდეგ, მეცნიერული, საზოგადო მოღვაწეობის, ლექციების კითხვის და ევროპის წამყვან საქველმოქმედო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის პარალელურად, თითქმის ყოველდღე, ყოველ საღამოს ხატავს. შემოქმედებითი პროცესი მისთვის დასვენებასაც და შინაგან დაკმაყოფილებასაც, ახალ ენერგეტიკას, საზრდოს გულისხმობს. 1994 წელს ქართველი ექიმი გიორგი გიგინეიშვილი იუნესკოსთან არსებული მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის წევრი გახდა. მისი ნამუშევრების გამოფენები ბრიუსელში, ვენეციაში, ფლორენციაში, მოსკოვში და ევროპის სხვა ქალაქებში მოეწყო. როდესაც გიორგი გიგინეიშვილმა პირველად ხატვის აუცილებლობა, სურვილი იგრძნო, მას გულწრფელად ეგონა, რომ ამას მხოლოდ თავისთვის აკეთებდა, მაგრამ გავიდა დრო და გაირკვა, რომ მისი შემოქმედება საზოგადოებისთვისაც საინტერესო და ღირებულია.

"Каждое из полотен Гигинеишвили воплощается с мастерством и аналитичностъю, которая заставляет припомнитъ его осноЖвнную деятельность всемирно признаного ученого-медика. Он весь отдан поиску наиболее адекватного выражения нестрой мозайки нашего ежедневного бытия". - დანიელ კრიპპა. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის კურატორი პორტოფინოში. იტალია.

"В его работах нет умысла, амбициозного желания найти легкий путь к славе и успеху, только мириады всевозможных оттенков чувств, которые время от времени испытываем каждый из нас". - ენდრიუ ვიელავსკი. ნიუ იორკი.

ყველაფერი კი რომის პაპთან შეხვედრით ან ბევრად უფრო ადრე დაიწყო.



სახელი ____________ მისამართი ____________

გვარი ____________

ასაკი ____________ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____________

სიმაღლე ____________

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გიხერხდებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვარით ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" უქმნის ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოთმენის სურვილი.

**გთხოვთ შეავსოთ ბარკოდით ბლანკი ფრთხილად**

[illegible]

**ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ წებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწერეთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოსახული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი



ცირკის მოედანი; კატის ხმიანობა; ქართველ ქალთა [illegible]; იტალიური "ნიღბების თეატრის" პერსონაჟი; ხელოვნური ენა / სამი მუსიკოსი; საბოლოო სიტყვა / მტაცებელი ცხოველი; ჰიტლერის ცოლის გვარი; *** წინაიდელი; ავტომატური ელექტრო ხელსაწყო; დღის ან მამის მამა; დასავლეთისავა; ქინძის სახელწოდება ევროპაში; გულმკერდის რეზა მეთახილი კორიდავი; ხნარის ძველი სახელი / ღმერთების ძალაი; ასურეთის დედაქალაქი; უცნაურად, უცებ; მავთულის ჯიმინი; ავტონომიური რესპუბლიკა რუსეთში; მეფენარი ქორების სუკი; ბულგარელი წინასწარმეტყველი; ქალაქი აზერბაიჯანში; ნაპოლეონის მარშალი; წყალი - ლამინურად; თეატრის თანამშრობი / საპაპოს ალის. წესიერი; სათავადიანი ვაჟი; ევროპის მმართველობა ბიტური XIX-ში; ლამის ურინველი; კარარა რესტორანი / მახრჩობელა გველი; ფეხბურთელთა ფეხსაცმელი; გადაშენებული მტრაანალი ფრინველი; დალესტნის მთავრობელი ქვეყანა; *** ბაილერი; "გაგაჩხული მგმოხულა, ***"; ფერი, ფერდები; თვის მეენარეული სადგაბავი; ფინარის გაბრიდი; ბუკების ჭურჭელი ლეიბისათვის; აანძის ერთ-ერთი თაგანი / ნორვეგიის დედაქალაქი

წინა ნომრის სკანვორდები:
სკანვორდის პასუხები (სურათზე: სოლიტერი) [illegible]

## TV პროგრამა

16 აპრილი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "ჩალის ქუდი" (გ) **15.20** მხ. ფილმი "ინგლისური მკვლელობები" (გ) **17.00** სერიალი "ადამსების ოჯახი" **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.15** მხ. ფილმი "ასტერიქსი და ობელისკი: მისია კლეოპატრა" **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ფსიქო" - მხ. ფილმი "ჩაეწერეთ რიგში" (18) **01.00** კურიერი **01.20** მხ. ფილმი "ვიწრო ზღვარი" (18)

### JST

**09.00** სტერეო-სტილი **11.00** "საბავშვო ხუთეული" **11.30, 16.45, 20.30** სტერეო-ნიუსი **11.54** პოპ-ათეული **12.30** სმს-ჩარტი **13.30** სტერეო-რეპი **14.00** ავტოპილოტი **15.00** სმს-ჩარტი **16.00** პოპ-ათეული **17.00** რეტრო **17.30** "საბავშვო ხუთეული" **18.00** სმს-ჩარტი **19.00** ლიტ. ვიქტორინა **20.00, 23.00** "ქალაქური" **21.00** რეტრო **21.15** პოპ-ათეული **22.00** სმს-ჩარტი **01.00** ავტოპილოტი

### 1-ლი არხი

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "კონანი და მისი მეომრები" **08.40** საბავშვო სერ. "მაუგლი" **09.10** მომავლის ცირკი **09.45** სპექტაკლი **11.30** "ტაქსი" (გამ.) **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "ღამურა" **13.20** მხ. ფილმი "ციხე-სიმაგრე" **15.00** მუსიკა **16.00** "ჰოლმარკი" - "მაიმუნების მეფე" **17.00** "არტე" წარმოგიდგენთ - "ანგელოზთა მდუმარება" **18.00** "მთავარი" **18.10** არქივი **18.30** "მრწამსი" - გალობა **19.10** დოკ. ფილმი "მოგზაურობა"- ლონდონი **20.00** "მთავარი" - საინფ. პროგრამა **20.30** სერ. "დანაშაული" **21.30** "რაციო" - მარინა ივანიშვილი **22.30** "ჩვენ" **23.45** ბიოგრაფიული პორტრეტები - ჩეგევარა. **00.45** მხ. ფილმი "აპოკალიფსისი" (15) **02.00** საინფ. გამოშვება

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.50** მუსიკა **09.30** ანიმაციური ფილმი "მხიარული მელოდიები" **10.20** სერიალი "ვუპი" **10.50** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** ტელეჟურნალი "სცენა" **12.00** სერიალი "კარაბინერები 2" **13.00** ჯეოსტარი - ფილარმონია. (განმ.) **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** გადაცემა "მედი" **14.30** ჯეოსტარი -ფილარმონია. (განმ.) **15.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** სერიალი "კარაბინერები-2" **18.20** საფესტივალო ჩვენება "ანგელოზის გადაფრენა" **20.30** მინისერიალი "მისტერ ნიკი" **21.30** ფარული კამერა **22.00** კრიმ. სერიალი "სთშ" **23.00** მხ. ფილმი "წმინდა წელიწადი" (გ) (ჟან გაბენი) **00.30** მხ. ფილმი "სიამოვნების ქუჩა" (18) (ლეტიცია კასტა)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **19.50** ტელეზღაპარი **20.05** მულტ. სერიალი "ჟაკ კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **20.55** დოკ. ფილმი "მეტი, ვიდრე გუშინ" **21.45** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **22.10** კინოსეანსი "ლაზარე"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.00** ქრონიკა **09.10, 13.15, 02.40** იმედის მელოდიები **09.30** ანიმ. ფილმი "შავი მეკობრე" **10.30** "უცხო სუნელი" **11.00** "ჩვენი ეზოს ამბები" **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "დილის ფოსტა" **12.40, 02.10** ტვ-მარკეტი **13.30** მხ. ფილმი "უდანაშაულო დამნაშავე" (გ) (ლ. ნილსონი) **15.15** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაცი-ნიუსი **20.00** "არ იდარდო" **21.00** ტვ-ლოტო **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. "სამპდორია"- "პალერმო" **00.20** მხ. ფილმი "ხათაბალა" (12) (ჯ. ნიკოლსონი)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** მულტფილმი **10.30** დოკ. ფილმი "ნოსტრადამუსი" **11.30** თეატრი **14.30** კომედია "გულების დამპყრობი" **16.30** მუსიკა **17.10** "ჭიტა-ჭიტა" **17.30, 20.30** საინფორმაციო გამოშვება **17.55** თრილერი "ცეცხლის ხაზზე" **20.05** "ზ.თ" **21.05** "ფერისცვალება" **21.30** მხ. ფილმი "ინდოჩინეთი" **00.00** საინფორმაციო დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "უკანასკნელი ვახშამი"

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Сериал **"ДЕСЯТОЕ КОРОЛЕВСТВО". 06.40** Приключенческий фильм **"ЧЕРНАЯ ГОРА" 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.10** Андрей Макаревич в программе "Три окна". **10.40** "Любовные истории". Николай Лукинский. **11.20** "Встань и иди". **12.10** История с географией. "Подземный рейх". Фильм 2-й. **13.00** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". **13.30** Умницы и умники. **14.10** "Пестрая лента". Павел Луспекаев **15.10** "Слабое звено" **16.00** **Футбол. "Крылья Советов"** (Самара) - **"Локомотив"** (Москва). Прямой эфир. В перерыве - "Классика Уолта Диснея. Впервые в России". **18.10** Субботний "Ералаш". **18.30** "Кто хочет стать миллионером?" **19.40** Бенефис Ефима Шифрина. **21.00** Время. **21.20** Бенефис Ефима Шифрина. Окончание. **23.20** Сигурни Уивер в боевике **"ЧУЖОЙ - 3" 01.20** Мишель Пфайффер в фильме **"ВЕК НЕВИННОСТИ".** Молодой, преуспевающий адвокат Ньюленд Арчер, живет спокойно и размеренно, как и подобает настоящему джентльмену из высшего общества. Он помолвлен с милой и благовоспитанной Мэй Уэлланд, и впереди его ожидают счастье и покой. Однако втайне ото всех, Ньюленд мечтает о сильном и пылком чувстве, способном изменить его обыденное существование. Когда кузина Мэй, красавица-графиня Оленская возвращается в Нью-Йорк после серьезных неудач в личной жизни, Арчер страстно влюбляется в нее. Теперь ему предстоит принять нелегкое решение: продолжать жить в хорошо знакомом ему мире или окунуться в неведомый, но такой желанный... **04.00** Сериал **"МЕДИЦИНСКАЯ АКАДЕМИЯ". 05.00** Док. фильм "Гонки по вечной мерзлоте".

### НТВ

**05.50** Мультфильм "Возвращение с Олимпа". **06.10** Арнольд Шварценеггер в боевике **"СТИРАТЕЛЬ". 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильм "Ну, погоди!" **08.25** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА: СРЕДИ НАС УБИЙЦА". 08.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" **10.20** "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** "Особо опасен!" "Беглые". **14.10** Лев Дуров в фильме **"34-Й СКОРЫЙ". 16.20** "Женский взгляд". Вера Васильева. **16.55** Своя игра. **17.55** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2". "КОРПОРАЦИЯ". 1**-я с. **19.35** Профессия - репортер. **20.05** "Программа максимум". Скандалы. Интриги. Расследования. **20.50** Михаил Ульянов в боевике **"ВОРОШИЛОВСКИЙ СТРЕЛОК".** Трое молодых подонков изнасиловали внучку ветерана-фронтовика. Один из негодяев оказался сыном высокопоставленного милицейского чиновника, и дело попытались замять. Не найдя правды в кабинетах, бывший "ворошиловский стрелок" решает сам восстановить справедливость: он продает дом в деревне, покупает снайперскую винтовку и начинает вершить суд... **22.55** XVIII торжественная церемония вручения нац. кинематографической премии "Ника". **02.30** "2:1". Ток-шоу **03.05** Сериал **"ФИЛАДЕЛЬФИЯ". 05.05** Сериал **"ТАРЗАН".**

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

**სახელმწიფოს მიერ უძრავ ძეგლებსა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებზე მუდმივი მზრუნველობის, მოვლა-პატრონობისა და დაცვითი მექანიზმების ეფექტურად ამოქმედების, მათი სახელმწიფო რეესტრში შეტანის მიზნით**

# ა ც ხ ა დ ე ბ ს   კ ო ნ კ უ რ ს ს

**უძრავ ძეგლთა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა ინვენტარიზაციისათვის მათი სახელმწიფო რეესტრში შესატანად**

**კონკურსი ითვალისწინებს:**
ქალაქების თბილისის, თელავის, სიღნაღის, ასევე თელავისა და სიღნაღის რაიონის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშთა (უძრავი ძეგლებისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა) იდენტიფიკაციის, ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანისა და თითოეულ მათგანზე უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათის მომზადების უზრუნველყოფას.

**ჩასატარებელი სამუშაო**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ძეგლთა სიის საფუძველზე ჩასატარებელია აღნიშნულ ქალაქებსა და მითითებულ რაიონებში მდგარ ობიექტთა ინვენტარიზაცია. კერძოდ: ფოტოფიქსაცია, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული დახასიათება, ფენათა განშრევა, დათარიღება, სხვა ფაქტობრივი მონაცემები.

**ობიექტთა რაოდენობა:**
**თბილისი - 700 ერთეული**
**თელავი და თელავის რაიონი - 160 ერთეული**
**სიღნაღი და სიღნაღის რაიონი - 160 ერთეული**

შენიშვნა: საველე მუშაობის დროს შესაძლებელია ღირებულების მქონე, სიაში არ შესული ობიექტების გამოჩენა.

**კონკურსებში მონაწილეობის წესი**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პროფესიონალ ხელოვნებათმცოდნეს, არქიტექტორს, ან სპეციალისტთა ჯგუფს, რომელსაც გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მოღვაწეობის სათანადო გამოცდილება და მუშაობის შესაბამისი უნარ-ჩვევები.

**განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:**
- განაცხადი სამინისტროს მიერ შემუშავებული ფორმის მიხედვით:
- ინფორმაცია განმცხადებლ(ებ)ის კვალიფიკაციის შესახებ (ბიოგრაფიული მონაცემები და პროფესიული გამოცდილება)
- სამუშაოს საბოლოო სახის წარმოსადგენად სამინისტროდან გაცემული ნიმუშის მიხედვით შევსებული რამდენიმე სააღრიცხვო ბარათი.

კონკურსში გამარჯვებულის შერჩევა მოხდება კონკურსანტ(ებ)ის გამოცდილების, განსახილველად წინასწარ წარმოდგენილი სააღრიცხვო ბარათის ხარისხის, საველე სამუშაოსთვის შემოთავაზებული დროისა და მოთხოვნილი თანხის გათვალისწინებით.

საბოლოო პროდუქცია წარმოდგენილ უნდა იქნას როგორც ელექტრონულ ფორმატში, ისე ამონაბეჭდის სახით.

თბილისში, თელავსა და სიღნაღში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშთა ინვენტარიზაციისათვის კონკურსით გათვალისწინებული ბიუჯეტი განსაზღვრულია 24 950 ლარამდე.

**განაცხადების მიღება იწარმოებს კონკურსის პირობების გამოცხადებიდან 15 დღის განმავლობაში.**
**საკონკურსო კომისია განაცხადს განიხილავს განაცხადის მიღებიდან 5 დღის ვადაში.**

**განაცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე გარდა ორშაბათისა, 11-დან-15 საათამდე.**
**განაცხადი მიიღება შემდეგ მისამართზე**
თბილისი, სანაპიროს ქ. N4, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, ოთახი 404

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
**98-74-20 ან 99 91 96**





# ქაღალდის არქიტექტურა

## იაპონელი მშენებელი ღარიბებს ემსახურება



გაიცანით, ეს შიგერუ ბენია, იაპონელი არქიტექტორი. მისი სავიზიტო ბარათი - მუყაოა. გადამუშავებული მუყაოს სახლები.

დიახ, ასეა. როცა კობეში, იაპონიაში 1995 წელს მიწისძვრა მოხდა, ბენმა მუყაოს ნაჭრებისგან ლტოლვილთა თავშესაფრები და შეხვედრების მოსაწყობი ცენტრი ააგო. მერე, როცა თურქეთსა და ინდოეთსაც შეუტია სტიქიამ, შიგერუ ბენი იქაც გაახსენდათ და ორივე წელს - 1999-სა და 2001-შიც ბენის "ქაღალდის" სახლებში შეასახლეს უსახლკაროდ დარჩენილი ლტოლვილები.

არქიტექტორს მონდომება დაუფასეს და გაეროს ლტოლვილთა საკითხების კომისარმა მრჩევლადაც აიყვანა. მერე ბენმა "მოხალისე არქიტექტორთა ქსელი" შექმნა ღარიბ ქვეყნებში უსახლკარო მოსახლეობის დასახმარებლად. ორიოდე დღის წინ კი მას ტომას ჯეფერსონის მედალი გადასცეს არქიტექტურაში; ჯილდო, რომელიც მის ვან დერ როეს (1966 წ.), პეის (1976 წ.) და ფრენკ გერის (1994 წ.) აქვთ მიღებული. ყველამ იცის, რომ სამივე არქიტექტორი ნოვაციებით გამოირჩეოდა: შუშის ცათამბჯენებით, მონუმენტალური მუზეუმებით და ტიტანის ტალღებით. მათ გვერდით ბენის დამსახურება კი მეტად მოკრძალებულად გამოიყურება, სამაგიეროდ უფრო ჰუმანურია: იაპონელი ხომ მუყაოს ჭრის, მისი გამყარების ტექნოლოგიას დღითი დღე ხვეწს და მერე სახლებს ღარიბებისთვის აშენებს. თუმცა, არა მარტო ღარიბებისთვის - მისი შენობები საგამოფენო პავილიონებისთვისაც ზედგამოჭრილია და ფანჩატურების ფუნქციებსაც ითავსებენ.

"არქიტექტორები მონუმენტურ ნამუშევრებზე იხარჯებიან. მე კი ყოველთვის მღლიდა პრივილეგირებულთათვის მუშაობა. ამიტომ მათი დახმარება გადავწყვიტე. მე მათ ვეხმარები საკუთარი ძალისა და სიმდიდრის კეთილშობილურად ხარჯვაში" - ამბობს არქიტექტორი და ხარჯვაში გულისხმობს იმ თანხებს, რასაც შეძლებული ფენა ლტოლვილთა თავშესაფრების ასაშენებლად გასცემენ.

მოკლედ, ნიუ იორკი და თანამედროვე ამერიკული ხელოვნება იაპონელის ჰუმანურობითაა მოხიბლული და დიდი ინტერესით ეცნობა შიგერუ ბენის გამოფენას, რომელიც 6 ივნისის ჩათვლით თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მიმდინარეობს. უზარმაზარი ინსტალაცია 64 მუყაოს სვეტისგან შედგება, კედლებს კი დიდი ფოტოპლაკატები ამშვენებს - კიდევ უფრო მეტი "ქაღალდის ნივთმტკიცებით".

ბენს თავისი ქმნილებები ძალიან მოსწონს რამდენიმე მიზეზის გამო: ისინი გამოირჩევიან ელეგანტურობით, ეკონიმიურობით და გარემოს დაცვის კუთხითაც. ამავე მიზეზების გამო ბენს, ნახევრად ხუმრობით, "ქაღალდის არქიტექტორსაც" ეძახიან, თვითონ კი ეს საშინლად არ მოსწონს: "ვერ ვიტან, როცა ასე მეძახიან" - ამბობს და წარბებს ჭმუხნის, თან ცდილობს, მარტივად და გასაგებად აუხსნას ჟურნალისტებს, თუ რატომ დაიწყო ქაღალდით შენება. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ პრესას ერთ ლაკონიურ განმარტებას სთავაზობს: "იმდენად კარგია, რომ გადასაგდებად მენანება". ცხადია, მუყაო იგულისხმება, რომელიც ბენის აზრით არის: იაფი, გადამუშავებადი, მეორედ გამოყენებადი, არატოქსიკური და ესთეტიკური თვალსაზრისითაც - მიმზიდველი.

ნიუ იორკში წარმოდგენილი ექსპოზიცია კი ხუთი წლის წინ ნიუ იორკელი მხატვრის გრეგორი კოლბერტის შეკვეთით შეიქმნა. კოლბერტს სურდა, მობილური ნაგებობა შეექმნა, რომელსაც გამოფენებზე ატარებდა ხოლმე თან და თავის გრანდიოზული ზომის ფოტოებსაც ამ მოძრავ შენობაში გამოფენდა. ბენმა მისთვის ასეთი რამ მოიფიქრა: სამშენებლო მასალად მუყაოს ყუთები გამოიყენა. დაახლოებით 148 ყუთისგან კედლები ააშენა, ინტერიერისთვის კი გადამუშავებული მუყაო გამოიყენა. მშენებლობა ხუთ კვირაში დასრულდა. ანუ, ხუთ კვირაში მხატვარმა სამოგზაუროდ მზადმყოფი მუზეუმი ჩაიბარა...

ზევით სტამბულიც ვახსენეთ. შიგერუ ბენმა მიწისძვრის შესახებ საინფორმაციო საშუალებებით შეიტყო და შოკში ჩავარდა. მაშინვე დახმარება გადაწყვიტა. პირველივე რეისით ტოკიოდან თურქეთში გადაფრინდა და შოკი გაუძლიერდა: დაზარალებულები ლითონის გადასაზიდ კონტეინერებში აფარებდნენ თავს. ბენმა მათ მუყაოს სახლები აუშენა - ეკოლოგიურად სუფთა, გამძლეც და ლამაზიც.

შიგერუ ბენის ყველაზე მასშტაბური ქმნილება 2000 წლის ჰანოვერის ექსპოსთვის დამზადებული შენობა გახლდათ - 3.100კვ.მ.-ის ფართობის მქონე იაპონური პავილიონი - ულამაზესი ქაღალდის ნაგებობა.

ახლა შიგერუ ბენს ახალი მისია აკისრია - ცუნამით დაზარალებული შრი ლანკელების დახმარება. ასე რომ, მუყაოს არქიტექტურის მორიგი შედევრები ახლა იქ შეიქმნება.

# ითამაშეთ, იფრინეთ და ისიამოვნეთ

ირმა კახურაშვილი




გუშინ გაზეთმა "24 საათმა" და მისმა პარტნიორმა ავიაკომპანიამ "ბრითიშ ეარვეისმა" ამავე გამოცემის ფურცლებზე გამოცხადებული ვიქტორინის შედეგები სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" საზეიმო ვითარებაში შეაჯამა. გამარჯვებულთა სიმრავლის მიუხედავად, ლატარიას მართლაც არაჩვეულებრივი საჩუქარი - ორი ბილეთი რეისზე თბილისი-ლონდონი-თბილისი მხოლოდ ერთს - 36 წლის ნიკა მჭედლიშვილს ერგო.

ბრიტანეთის ავიახაზების საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერ თამარ შანიძის თქმით, მსგავსი ლატარია ადრეც ჩაუტარებიათ, უფრო ზუსტად, 2004 წელს, როდესაც ავიაკომპანიამ რეისების სიხშირე გაზარდა. "თუმცა, დღევანდელი ვიქტორინის ჩატარების ინიციატორი "24" საათი" იყო. მან თავად გამოთქვა ამის სურვილი. ასეა თუ ისე, ჩვენ კმაყოფილი ვართ იმ ცოდნით, რომელიც ვიქტორინის მონაწილეებმა გამოავლინეს. მასში 150-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა და სწორი პასუხი 143-გან მივიღეთ. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ჩვენი ავიაკომპანია იყო და არის პოპულარული," - გვითხრა თამარ შანიძემ.

ორგანიზატორთა განცხადებით, ლატარია ჩვეულებრივად, გამჭვირვალედ გათამაშდა. მოგებული ბილეთი ყუთიდან ერთ-ერთი მონაწილის მცირეწლოვანმა შვილმა ამოიღო და გამარჯვებულთა შორის გამარჯვებულიც გამოვლინდა. "როცა ნიკა მჭედლიშვილი გათამაშებაზე მოვიწვიეთ, ჩაგვეკითხა, რამდენი მონაწილეაო. პასუხი რომ მიიღო, გვითხრა: ჩემი შანსი ნულის ტოლია. როგორც ხედავთ, პესიმისტური განწყობის მიუხედავად, გაუმართლა," - იხსენებს თამარ შანიძე.

თავად გამარჯვებული, სხვათა შორის, "24 საათის" აქტიური მკითხველი, მოულოდნელმა სიხარულმა ცოტა დააბნია კიდეც. მან გაგვიმხილა, რომ გათამაშებაში მონაწილეობა ბოლო მომენტში გადაწყვიტა. "ნამდვილად ძალიან გამიმართლა, მით უმეტეს, რომ მე მხოლოდ რაციონალური აზარტის მომხრე ვარ, ანუ როდესაც წაგების რისკი ძალიან მცირეა... ორი კვირის წინ ლონდონში ვიყავი, მაგრამ ეს საქმიანი მოგზაურობა იყო. ახლა კი ამ ორ ბილეთს მხოლოდ დასვენებისთვის გამოვიყენებ. მაისში მეუღლესთან ერთად ერთი კვირით ლონდონში გავემგზავრები," - ამბობს ნიკა, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის გამო ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეისის" მომსახურებით ხშირად სარგებლობს.

საინტერესოა, რომ ნოვატორული ნიჭით განთქმული ზემოხსენებული კომპანია ბორტზე მომსახურების მაღალი დონის, კორპორაციული ურთიერთობების ხარისხიანობისა და ბილეთის "ელექტრონულად" დაჯავშნის გარდა, საქართველოს მოქალაქეებს ახლო მომავალში კიდევ რამდენიმე სიახლეს შესთავაზებს.











## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.